ლიტერატურული გაზეთი

№11 (339) 9 - 22 ივნისი 2023 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ბექა ახალაია

თასმები

სტადიონთან მომიხდა გავლა, ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ, ერთ-ერთმა უცებ მოირბინა და ბოდიშებით მთხოვა, თასმები შემეკრა მისთვის მარჯვენაზე. რაღა თქმა უნდა, ძირს დავიხარე — შევუკარი, მადლობა მითხრა, გაიქცა, ისევ შეუერთდა თავისიანებს. ცოტა ხანს დავრჩი და ვუყურე თამაშს, სულ მალე იმ ბავშვმა გოლი გაიტანა — ყოვლად ლამაზი და ეფექტური.

დაესივნენ ბავშვები, მაგრამ სუყველას გვერდი აუარა, ჩემკენ ყვირილით გამოიქცა და ჩამეხუტა... ცრემლი მომაწვა, მისმა ბავშვურმა გულწრფელობამ ჩემზე ძალიან, მართლა ძალიან, იმოქმედა, მაშინვე მივხვდი, რომ თუ ის ფეხბურთს არ გაჰყვება, გადაივიწყებს ამ ამბავს, მაგრამ — თუ გაჰყვება (ფეხბურთელი თუ გამოვა მისგან), სუყოველთვის ემახსოვრება და გაიხსენებს.

IV-V

გიორგი ბალახაშვილი

იბადებიან

ყველაზე დიდი პოეზიაა, როდესაც სიტყვას ამარხულებ.
დუმილის დასარღვევად ემზადები. თავგამეტებით. უპრიანად.
სიტყვის ემბრიონის სიმსუბუქე. თვალშისაცემი — ჭუპრიდანვე.
იბადებიან ფარვანებად. მილოცვებად და გაზაფხულად.
იბადებიან მიზეზებად. სიყვარულად და მოტევებად.
იბადებიან ფრაგმენტებად. იბადებიან კოცნებადაც.
იბადებიან იმედებით. მოლოდინებით. ოცნებებით.
იბადებიან რეფრენების გაურკვეველი მოტივებით.
იბადებიან გოგირდებად, ხანაც ზეჟანგებად წყალბადების.
იბადებიან გახელებად. გადარევად და გაგიჟებად.
იბადებიან, რა თქმა უნდა, იბადებიან ბადიშებიც...
იბადებიან ბადეებად, ბოდეებად და დაბადებად.

VIII-IX

ბუქურაული

მდევარი ფარსმაში-ღა მიეწია ბუქურაულს.

— ჰაჰაიტ! — დასჭყივლა ბუქურაულმა და მხარსუკან თოფი გაატყვრო. მდევრებმა ბორცვი ისაფრეს და საყუჩში ჩასხდნენ. ტყვია მიწას ამტვერებდა.

— დავიჭერთ, — ბოქაულმა ოდნავ ამოსწია თავი. იმავე წამს ტყვიამ ქუდი წააძრო და უკან გადაუგდო.

— თუკი ორივენი არ დაგვხოცა, — ამხანაგი უფრო ღრმად ჩაძვრა საფარში.

ბოქაულმა მწარე სიცილით აიღო საფარში დაგდებული ქუდი.

— სადღა წაგვივა, აქ მაგას შინ არავინ შეუშვებს.

— ეყოლება ვინმე ნათესავი.

— აქ მარტო მესისხლეები ჰყავს. ვიცი, რასაც გეუბნები.

— მაშ ისინი უფრო ადრე დაიჭერენ ან მოკლავენ. ეგრე კი ჯილდოს დავკარგავთ.

— უნდა დავიცადოთ, ვიდრე ტყვიები გამოელევა. მე აქ ვუდარაჯებ, შენ სოფელში წადი და ხალხი გააფრთხილე, მთავრობის ბრძანება გააცანი.

ამხანაგი გვერდით გახოხდა და დაბლა ჩაიწია, რათა საყუჩიდან უხიფათო ადგილას გასულიყო. სანამ წამოდგებოდა, ბოქაულს მიუხედა.

— ისე, მგელივით კი გვებრძოდა.

— ტყუილად გაიფუჭა თავი...

— კაპიტან-ისპრავნიკი რო არ მოეკლა...

— ეჰ, ბედი მაინც არ მოასვენებდა... ეგეთებს ეშმაკი რო აუჩნდებათ, მერე ვეღარაფერს უშველი. წადი, ნუღარ გვიანობ.

ბოქაულის ამხანაგი წამოხტა და ძუნძულით გაიქცა ცხენებისაკენ. ტყვია აქამდე ვერ სწვდებოდა. ირიბად გახედა კოშკის ლეგა კედელს აკრულ ლანდს. ბუქურაული ზურგით ეყუდა, თოფი ძირს დაეშვა და თავაღერილი, რაღაცას უმზერდა მთებს იქით.

„მკვდარია უკვე“ — გაიფიქრა მდევარმა და ცხენს აღვირი კისერზე გადაუგდო.

მარცხი

სომელიეთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე საქართველოდან მხოლოდ ორნი ვიყავით მიწვეულები, მაგრამ ჩემი კოლეგა ავად გახდა და ჩივიტა-ვეკიაში მარტო მომიწია წასვლა. ბილეთი ტრანზიტული იყო — სტამბულის გავლით, სადაც ტერორისტული აქტის შიშით, მგზავრები კარგა ხანი გვალოდინეს, სანამ გამნაღმველები თვითმფრინავში ბომბს ეძებდნენ. ამის გამო რომს ნაგვიანევად ჩავედი, ჩივიტა-ვეკიასაკენ კი გამთენიისას გავემგზავრე ავტობუსით. ღამენათევი და დაქანცული გავცქეროდი ტოსკანის ნაყოფიერ ველებს, ბაღ-ვენახებით მოჩითულ დაბლობს. სხვა დროს ეს წალკოტი გამახარებდა, მაგრამ ახლა ისე მეგონა, რაღაც სიზმრისეულ სივრცეში მივცურავ-მეთქი.

სასტუმრო „არკადიაში“ (ალბათ, განგებ ერქვა ასე) სიმპოზიუმის ხელმძღვანელს ჩემი მონაცემები ჩავაწერინე და დასაძინებლად ნომერში ავედი, მაგრამ ვერც კი წავთვლიმე და ისევ ქალაქის დათვალიერება გადავწყვიტე. უზადო იტალიური ქალაქი იყო: ვიწრო ქუჩაბანდები, მოკირწყლული მოედნები, შადრევნები, პალაცოები, აივნიანი სახლები სიძველესა და მშვენიერებისადმი აქაურთა ტრფიალს მოწმობდა. მოედნის ახლო ღია კაფეში ჩამოვჯექი და ყავა და მინერალური წყალი მოვითხოვე. ადრეული დილა იყო, კაფეშიც მგონი, ჩემს მეტი არავინ ჩანდა. კაფეს გვერდით, სტოასებურ გასასვლელთან, ერთობ პეწენიკი, ბერეტიანი ბერიკაცი თვლემდა, ეკვდერის მსგავს პატარა შენობის კედელს მიჰყრდნობოდა, გადაჯვარედინებული ხელები ბუნიკიან ჯოხზე დაეწყო და ცხენივით თავჩაქინდრული ისვენებდა.

ოფიციანტმა ყავის ფინჯანი წინ დამიდგა და მარმარილოს მაგიდას ტილო გადაუსვა.

— კიდევ ხომ არაფერს ინებებთ, სენიორ? — მკითხა ღაღანა ინგლისურით.

— გმადლობთ, არაფერი მინდა.

ბიჭმა მინერალური წყლის ბოთლს თავსახური მოხადა და ჭიქაში შუშხუნა სასმელი ჩამომისხა.

— ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ის მოხუცი სენიორი ვინ არის?

— რომელი, სენიორ?

— აი, იქ რომ ზის.

— პაპაჩემია.

— პაპათქვენი?

— დიახ, გიკვირთ?

— რატომ უნდა მიკვირდეს, მგონი, პაპა ბევრს ჰყავს.

ოფიციანტმა გაიცინა.

— რატომ დაგაინტერესათ? — მკითხა მერე.

— ცალკე ზის და იმიტომ.

— აა, თქვენც შენიშნეთ? ახირებული მოხუცია და ხალხს ვერ ეგუება.

— რა მიზეზით?

— აბა, რა ვიცი, სენიორ, ხომ გითხარით, ახირებულია-მეთქი, ყოველდღე ასე ზის და არავის ელაპარაკება. არც — მე.

— მართლაც გასაკვირია.

— ყოფილი სამხედროა და ალბათ, ამიტომ არის ასე ბრაზიანი. სამხედროებს, ხომ იცით, უდისციპლინოები ეჯავრებათ, — ოფიციანტს ეტყობა, კაფეში შესვლა ეზარებოდა და ამიტომაც ასე დაუფარავად მითხრობდა საოჯახო ამბავს, რასაც სხვა ეროვნების ევროპელი უთუოდ მოერიდებოდა.

— მერედა, ვინ არის აქ უდისციპლინო?

— მე, სენიორ.

— რა გქვიათ?

— ჯოვანი.

— და თქვენ უდისციპლინო ხართ, ჯოვანი...

— პაპას არავინ უყვარს, ჩემი ჩათვლით. მგონი, საერთოდ ადამიანები სძულს, — პაპამისის ძვირს არ იშურებდა ჯოვანი, თითქოს ბერიკაცის ავგულობა სიამოვნებდა.

— ვითომ, ჯოვანი? ხომ არ სცდებით?

— შეიძლება, სენიორ, მაგრამ თავში რომ რაღაც ვერ აქვს რიგზე, ცხადია. არც გაემტყუნება, ომში იყო, იქნებ კონტუზიაც მოუვიდა. მამაჩემმა ერთხელ ფსიქოლოგიც კი მოუყვანა, მაგრამ პაპამ ჯოხი მოუღერა და გააგდო. მას მერე აღარც მამაჩემს ელაპარაკება. ნამდურავებივით არიან.

— იქნებ რაიმე შეემთხვა, რაიმე განსაკუთრებული... ვთქვათ, ადრე სატრფომ უღალატა და...

ბიჭმა გადაიხარხარა.

— სენიორ, რას ამბობთ, პაპაჩემი და შეყვარებული?

— ადრე, ჯოვანი, სიყმაწვილისას, გულჩახვეულობა კი ახლა გამოაჩნდა.

— სენიორ, თქვენც ფსიქოლოგი ხომ არ ხართ?! პაპაჩემმა არ გაგიგოთ, თორემ არ მოგერიდებათ და ჯოხითაც შეიძლება გამოგეკიდოთ. თქვენ მას არ იცნობთ, რკინის კაცია, უდრეკი.

— რკინის კაცებსაც აქვთ დარდი.

— არა, სენიორ, ცდებით, ის სხვანაირია.

კაფედან ჯოვანის მეპატრონემ დაუძახა და ისიც გამშორდა. ყავა დავლიე, მინერალური წყალი დავაყოლე და ცოტა ხანი გამვლელთა ცქერით ვერთობოდი. დროდადრო მოხუცს გავხედავდი ხოლმე. ისევ უძრავად იჯდა, თითქოს ვერავის და ვერაფერს ამჩნევსო, მაგრამ აჰა, მოედანზე სამთავრობო ესკორტმა ჩაიქროლა და ბერიკაციც უცებ აღელდა, ჯოხი შემართა და ავტომობილებს გვარიანი იტალიური წყევლა-კრულვა თუ გინება დაადევნა. ამას მისი აჭარხლებული სახითა და მაღლა აწვართული ხელის კანკალით მივხვდი.

ფული მაგიდაზე დავტოვე და წამოვდექი. ბერიკაცს განგებ წინ გავუარე. არც კი შემოუხედავს. მანამდე აქოჩრილ ტალღასავით აღელვებული, იმავე ტალღასავით უცბადვე დაწყნარებული იჯდა, ოღონდ ახლა თავი ლამის ბუნიკზე ედო.

სასტუმროში დავბრუნდი და სიმპოზიუმისათვის გავემზადე. ის ბერიკაცი გადამავიწყდა. ანკი რატომღა უნდა მომგონებოდა?! ეგ არის, დროს თუ ვიხელთებდი, ჯოვანის კაფეს (ასე შევარქვი იქაურობას) ვსტუმრობდი ფინჯანი ყავის დასალევად. მსიამოვნებდა ის ადგილი, რაღაცნაირი მყუდრო მოედანი იყო, თითქოს ხალხმრავალი (ნაშუადღევის მერე მაინც), მაგრამ წყნარი. პეიზაჟის უცვლელი ნაწილი კი ჯოვანის მოხუცი წინაპარი იყო. ჯოვანის რაღაც-რაღაცები გამოვკითხე და ბერიკაცი არც ისე უცნობი ვინმე გამოდგა. სტუდენტობისას თურმე ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრი ყოფილა და ომშიც უბრძოლია (ეს უკვე ვიცოდი), და მედლებიც მიუღია იმ მთავრობისაგან, რომელსაც ჯოხს უღერებდა ხოლმე, თუკი მთავრობის ხალხს თვალს მოჰკრავდა სადმე...

ჩივიტა-ვეკიადან კვირის ბოლო წამოვედი და ბერიკაცი აღარ მინახავს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ჯოვანის შევხვდი, მაგრამ უკვე პარიზში, და ისევ სომელიეთა სიმპოზიუმზე ჩასული. ჯოვანი დაცოლშვილებულიყო და ოჯახობაც თან წამოეყვანა, პარიზის დათვალიერებას აპირებდნენ. ქუჩაში შემთხვევით გადავეყარე და დავუძახე. ჩემდა გასაკვირად, მყისვე მიცნო. ცოლი და ბავშვები საყიდლებზე გაუშვა და ჩვენ კი კაფეში ჩამოვსხედით. ერთმანეთი მოვიკითხეთ. სენიორ რივოლი ვუხსენე.

— გარდაიცვალა.

— ალბათ, სიბერით, არა, ჯოვანი?

— არა, სენიორ, ტყვია იკრა შუბლში.

— რას ამბობ? დაუჯერებელია!

— ხომ გეუბნებოდი, უცნაური, ღჯუკაცი იყო-მეთქი...

— ჰო, ჯოვანი, მეუბნებოდი, მაგრამ... ბარათი არ დაუტოვებია ან არ დაუბარებია, თავს რად იკლავდა?

— არა, და მიზეზი არც არავის მოუკითხავს, გული არავის დასწყვეტია მისი სიკვდილით.

— მიზეზი მაინც უნდა ჰქონოდა.

— აბა, რა გითხრათ, სენიორ! არქივში რაღაც საბუთები კი ვნახე...

ჩემკენ შეთქმულივით გადმოიხარა და აჩურჩულდა:

— მგონი, პაპაჩემის საიდუმლო შევიტყვე, ოღონდ აღარ ვიცი, თქვენც უნდა გაგიმხილოთ თუ არა?

— ნუთუ ეგეთი საშინელი საიდუმლოა?

— თქვენი იმედი კი მაქვს, სენიორ, მაგრამ მართლმსაჯულების მეშინია... ჯანდაბას, ის ხომ მკვდარია უკვე და პასუხსაც ვეღარავინ მოჰკითხავს!

თითო კათხა ლუდი კიდევ დავლიეთ და ჯოვანიმ სენიორ რივოლის „საშინელი საიდუმლო“ მომითხრო. დუჩეს მმართველობის დროს სენიორ რივოლი, ღარიბი პროვინციელი სტუდენტი, რომში ანტიფაშისტურ ორგანიზაციაში გაწევრიანებულა და ტერორისტულ აქტებშიც მონაწილეობდა თურმე. როცა ორგანიზაციას ფინანსურად გაუჭირდა და ანტიფაშისტურ პლაკატებსაც ვეღარ ბეჭდავდნენ, მან ფულის შოვნის იოლი ხერხი მოიფიქრა — ავენტინზე მცხოვრები მდიდარი ბარონესა უნდა მოეკლა და გაეძარცვა.

„ხალხი ყავისფერი ჭირისაგან უნდა ვიხსნათ, — ამაყად მიუგო მან პარტიულ ამხანაგებს, როცა ყოყმანი შეატყო მათ, — ერთი ადამიანის სიცოცხლე არაფერია მილიონების სიცოცხლესთან შედარებით.“

ნაცნობი დარაჯის დახმარებით ის მებაღედ დაუდგა ბარონესას, ვინც გასაოცარი სიძუნწით და გულქვაობით იყო ცნობილი. ბარონესას სიუჟმურე და სისასტიკე საარაკო გამხდარიყო — მსახურებს ხელით სცემდა და მამისტოლა კაცებს თმა-წვერს აგლეჯდა. კრეზუსივით ოქრომრავალი და ამავე დროს მეტისმეტად ქვაწვია, მევახშეობდა და სახლი დაგირავებული, უსარგებლო ნივთებით ჰქონდა გამოვსებული. ახალი მებაღეც იმიტომ აიყვანა, რივოლი ლამის უხელფასო მუშაობას რომ დასთანხმდა, რაც ბარონესასთვის მსახურის ჭეშმარიტი ღირსება იყო. მართალია, რივოლის მებაღეობისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ეიმედებოდა, ჩანაფიქრს რომ უფრო მალე აისრულებდა, ვიდრე ბარონესა სიცრუეს შეუტყობდა. ამიტომაც სასწრაფოდ შეუდგა ოთახების განლაგებისა და ბარონესას დღის წესრიგის შესწავლას: ვინ სტუმრობდა, ვისთან მიდიოდა, როდის ეძინა თუ ეღვიძა, და მალევე დარწმუნდა, რომ ბარონესას განძს ვერ მოიპარავდა, რადგან მისი ქალბატონი შინიდან იშვიათად გადიოდა, ფულს და ძვირფასეულობას კი საიმედოდ დაკეტილ ოთახში ინახავდა. ჰო, მკვლელობის გარეშე საუნჯეს ვერ მოხელავდა, ამიტომ სწრაფად უნდა ემოქმედა. რივოლიმაც დუქანში ჩაქუჩი იყიდა და ბარონესას ეწვია. სიესტის ჟამი იყო, ვილა დაცარიელებულს ჰგავდა, რადგან ყველას ეძინა. რივოლიმ ბარონესას მიუკაკუნა.

„რა მოხდა, რივოლი? — თუთიყუშის ხმით უკმაყოფილოდ გამოსძახა მოხუცმა ქალბატონმა შიგნიდან, რაკი ასე უდროოდ გააღვიძეს, თან კარი ოდნავ გამოაღო, რომელსაც სიფრთხილის გამო ჯაჭვით კეტავდა, — ხანძარია თუ მიცვალებულები საფლავიდან გამოვიდნენ, ძილს რომ მიფრთხობ?“

რივოლიმ ჩაქუჩი ზურგს უკან დამალა.

„არ მინდოდა შემეწუხებინეთ, სენიორა, მაგრამ სახლში მგონი, ქურდები არიან.“

„ქურდები? მსახურები გააღვიძე, ჩქარა, პოლიციას აცნობე,“ — შეჰკივლა ბარონესამ.

„ვერ მოვასწრებთ, სენიორა, თავს უშველეთ.“

ბარონესა არც კი შეყოყმანებულა და კუთხისაკენ გაექანა, სადაც სეიფი ჰქონდა. მისთვის ხომ თავის გადარჩენა უპირველესად განძის გადარჩენას ნიშნავდა. რივოლიმაც იდროვა და ჩაქუჩის დარტყმით ჯაჭვი ჩაწყვიტა, ოთახში შეიჭრა. ბარონესა უკვე სეიფს აღებდა. ჩაქუჩმომარჯვებული ცრუ მებაღე რომ დაინახა, მყისვე ყველაფერს მიხვდა და შეჰღაღადა:

„აჰა, წაიღე, ოღონდ ნუ მომკლავ...“

რივოლიმ ზიზღით დახედა განძს.

„წუპაკო!“ — შესძახა და ჩაქუჩი მოუქნია. დედაბრის ჩახვრეტილი თავისქალიდან სისხლმა ამოხეთქა. ეტყობა, დარტყმა მეტისმეტი მოუვიდა და სისხლი ასიგნაციებს და ოქროულობას გადაესხა, რამაც რივოლი ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა, მაგრამ ყოყმანის დრო აღარ იყო და მანაც ეგრევე მოხვეტა საუნჯე და ქურთუკში გამოკრა. მერე მიაყურადა. ვილაში კვლავ სიჩუმე იყო, ჩანს, არავის არაფერი გაუგონია. ოთახიდან ფრთხილად გამოვიდა და კიბეზე დაეშვა. განძის დასამალად ადგილი უნდა

მოეძებნა, რაკი დღისით-მზისით მას აქედან ვერ გაიტანდა. სადმე უნდა დაეფლა და ღამით ისევ ამოეთხარა. ბაღის კუთხეში მიაგნო ამ ადგილს, ორმო ამოთხარა და განძს მიწა მიაყარა. ფეხითაც დატკეპნა და ბალახ-ბულახით დაფარა, ნათხარი რომ ვერავის შეენიშნა. უცებ ზურგს უკან შრიალი და ხვნეშა მოესმა და შიშით გააცია. ეგონა, რომელიღაც მითური და საშინელი ცხოველი უახლოვდებოდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ დანაშაულზე წაასწრეს და ამხილეს. ნუთუ ყველაფერი დაიღუპა და ანტიფაშისტური მოძრაობაც მოკვდა? რივოლის ხომ უფრო მეტად ეს ადარდებდა, ვიდრე თავისივე უსაფრთხოება. თავს მაინც სძლია და შემობრუნდა.

დარაჯის სულელმა გოგო ლუჩიამ ენა გამოუყო და ბრანნიც უჩვენა. რივოლი შეყოყმანდა. დაინახა თუ არა გოგომ, განძი რომ დამალა? უნდა შეემოწმებინა. მან ლუჩიას ვითომ უდარდელად გაუცინა და თითი თოჯინასაკენ გაუშვირა, ბილიკზე რომ მოაწოწიალებდა.

„შენი შვილია?“

გოგომ თავი დაუქნია. გამოგლეჯილ, ბინძურ კაბაში გამოხვეული იდგა, თითი პირში ჩაედო და წუწნიდა, ბენტერა თვალი კი რივოლისათვის მიეშტერებინა.

„რა ჰქვია?“

„არლეკინო.“

„გინდა, არლეკინოს კანფეტი ვუყიდოთ?“

„მე ვუყიდი.“

„შენ? მერე ფული?“

გოგომ მეორე ხელი გამოშალა და რივოლიმ სისხლიანი ასიგნაცია დაინახა.

„სად იპოვე, ლუჩია, ეგ ფული? ვინმემ მოგცა?“

„ბარონესამ.“

„ნუ სტყუი, — ბრაზით უთხრა რივოლიმ და უცებ ლუჩიას დახრჩობა მოუნდა, რათა მალევე გაეჩუმებინა, — მომეცი და საჯინიბოში რაღაცას გაჩვენებ.“

გოგომ დაეჭვებით შეხედა ვიწრო შუბლსქვემოდან.

„გინდა წამართვა?“

„არა, ლუჩია, დროებით შეგინახავ და მაშინვე დაგიბრუნებ, როგორც კი საჯინიბოში იმას გავაკეთებთ, რასაც შენ და კუმეო აკეთებთ ხოლმე.“

ლუჩიას თვალები გაუბრწყინდა. კუმეო მეფუნთუშის ბიჭი იყო, ბარონესასთან პური დაჰქონდა. რივოლის ხშირად შეუმჩნევია, როგორ განაპირდებოდნენ ხოლმე ის და ლუჩია საჯინიბოს უკან და ღლაბუცობდნენ. დონდლო და ლოხი კუმეო გოგოს კოცნიდა და ჯგვლემდა, ლუჩია კი ხითხითებდა და მკერდს იღეღავდა.

საჯინიბო ეზოს კუთხეში იყო. რივოლიმ კარი შეაღო და იქაურობა მოათვალიერა. არავინ ჩანდა. რივოლიმ გოგო შიგნით შეიყვანა და კარი მიიხურა. ლუჩია ცხენის სადგომთან გაჩერდა. თოჯინა ისევ ხელში ეჭირა.

„მომეცი, ლუჩია, ფული, აქ მაინც არ დაგჭირდება...“

გოგომ ხელი აიქნია და თოჯინა თეჯირს იქით გადავარდა. სადგომში გარინდულმა ცხენმა დაიხვიხვინა. ლუჩიას მაღლა აწეული მკლავი გაუშეშდა და მუქი იღლია გამოუჩნდა. რივოლი უხერხულად წაეტანა, თავის მოსაჩვენებლად, ვითომ მოხვევას უპირებდა, მაგრამ მოულოდნელად სადგომის კარი შეიღო და გოგო გულაღმა გადავარდა, აპლაკული ფეხები მუქ ბინდში გაიქნა. რივოლიმ დაინახა, როგორ აიყალყა უცებ გაგიჟებული ცხენი და საჯინიბო ჭიხვინმა შეძრა. რივოლიმ სცადა, გოგო ფეხით გამოეთრია, მაგრამ გაცოფებული ცხენი წრიალებდა და ახლო არ უშვებდა. შეიძლება გოგო მკვდარი იყო უკვე. ცხენის ფლოქვებს ხომ ადამიანი ძნელად გადაურჩება. რივოლისაც აღარ დაუხანებია და გარეთ გამოვარდა, რადგან მალე აქ მეჯინიბეები და მსახურები მოირბენდნენ და ვინძლო ბარონესას გვამიც ენახათ, როცა ამბის მოსახსენებლად მიაკითხავდნენ. მას ალიბი სჭირდებოდა. გოგო თუ მოკვდა, მით უკეთესი, რადგან განძის სამალავსაც და დამმალავსაც ვეღარ გათქვამდა. ეზოს უკანა მხრიდან გალავანზე გადაცოცდა და ქალაქისაკენ დაეშვა უახლოესი ტრატორიისაკენ, რათა კათხა ლუდი შეეკვეთა და ხალხს დანახვებოდა, რომ ბარონესას მკვლელობის დროს აქ იყო. ტრატორიაში საღამომდე დაყო და მერეღა გაბედა უკან დაბრუნება. როგორც ივარაუდა, ყველაფერი ისე მომხდარიყო. ბარონესა უკვე მორგში წაესვენებინათ და პოლიციის კომისარსაც მსახურები დაეკითხა. ცხადია, მასზე ვერაფერს იეჭვებდნენ, რადგან ალიბი ჰქონდა. რივოლიმ ფრთხილად გამოიკითხა ლუჩიას ამბავიც. უთხრეს, გოგო გადარჩა და მშობლებმა შინ წაიყვანესო. რივოლი ღრმად დააფიქრა მომხდარმა. უმჯობესი იქნებოდა, თუკი აქაურობას დროებით გაეცლებოდა, რადგან საჯინიბოსთანაც და ეზოშიც პოლიციელები მორიგეობდნენ. გოგო თუ გათქვამდა, მყისვე შეიპყრობდნენ. ამიტომ იატაკქვეშეთში უნდა გადასულიყო, განძს კი მერე მოაკითხავდა, თუკი ყველაფერი კეთილად დასრულდებოდა.

ვინძლო რამდენიმე კვირაც კი მოუწიოს ლოდინი... ანტიფაშისტურ მოძრაობასაც დროებით უნდა შეეწყვიტა საქმიანობა, სანამ ბარონესას მკვლელობის ამბავი მიინავლებოდა და რივოლი საუნჯეს ამოთხრიდა...

ეს რამდენიმე კვირა რივოლიმ ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრთან გაატარა სოფლად, თან ნაცნობი ფოსტის დამტარებლის მეშვეობით, ვინც ორგანიზაციას თანაუგრძნობდა, ბარონესას მკვლელობის ამბავს რეგულარულად იგებდა. დამნაშავე, რა თქმა უნდა, ვერ იპოვეს. პოლიციამ ეს ამბავი, როგორც ჩანს, უგერგილოდ გამოიძია, რადგან ქვეყანაში სხვა ტერორისტული აქტები მოხშირდა და საქმე უამრავი იყო. რივოლის შეეძლო ბარონესას სახლში დაბრუნებულიყო ვითომ საბოლოო კუთვნილი ხელფასის ასაღებად. მან ხომ წინდახედულად მკვლელობამდე გათავისუფლება ითხოვა სამსახურიდან, ალიბის გასამაგრებლად. ახლა კი მივიდოდა და ანგარიშს მოითხოვდა. მკვდარი ბარონესა, რასაკვირველია, ხელფასს ვერ აუნაზღაურებდა, მაგრამ რივოლის კი მიზეზი ექნებოდა, კიდევ რამდენჯერმე სწვეოდა იქაურობას და განძი წამოეღო. მან მართლაც შეუმჩნევლად ამოთხარა ორმო, მაგრამ განძი იქ არ დაუხვდა...

აი, სულ ეს იყო, რაც ჯოვანინმ მომითხრო. ისე გამოდიოდა, სენიორ რივოლის ტყუილად მოეკლა ბარონესა, რაკი საუნჯე დაიკარგა. ვინ წაიღო? ჯოვანის თქმით, სენიორ რივოლის ჩანაწერებით ამას ვერ მიხვდებოდი. ოღონდ საგულისხმო ის იყო, რომ მოხუცს სწორედ ამ მარცხმა დაუბნია გონება. ჯოვანის ვუთხარი კიდეც, ფსიქოლოგი პაპაშენს ვერაფრით დაეხმარებოდა, რაღაი ის განძის დაკარგვამ გააბოროტა და დანაკარგს კი ვინ უზღავდა-მეთქი. ჯოვანი დამეთანხმა. მერე კიდევ დავლიეთ ლუდი და ის იყო უნდა ავმდგარიყავით (ჯოვანიმ ოფიციანტსაც კი უხმო ანგარიშის გადასახდელად), უცებ რომ ბერიკაცის უმიზეზო ბრაზი მომაგონდა მთავრობისადმი.

„მითხარი, ჯოვანი, რას ერჩოდა სენიორ რივოლი მთავრობას? აკი ვნახე, თუ როგორ უღერებდა ჯოხს სამთავრობო ესკორტს.“

„ჰო, ეგ მართლაც უცნაურია, მაგრამ პაპაჩემს ჭირივით სძულდა ჩვენი ქალაქის მერი.“

„რატომ?“

ჯოვანიმ მხრები აიჩეჩა.

„ის... მერი როგორი კაცია? იქნებ სენიორ რივოლის მისი საქმიანობა არ მოსწონდა, როგორც ყოფილ სამხედროს, და უდისციპლინობას ამუნათებდა?“

„ეგ სწორად შენიშნე, მეგობარო, მაგრამ ჩვენი ქალაქის მერი დიდებული კაცია და აქაურები მასზე გიჟდებიან, რადგან ყველას ეხმარება და არც ყოყოჩაა. დიახ, სენიორ კუმეო ხალხის ნამდვილი რჩეულია, უბრალო, რიგითი მოქალაქე და...“

„კუმეო?“

„ჰო, მართლა, მერი სწორედ ის კუმეოა, მეფუნთუშის ვაჟი, ბარონესას სახლში პური რომ დაჰქონდა.“

„მერი როგორ გახდა?“

„აი, ეგ კი ცოტა უცნაურია. ომის შემდეგ კუმეო მოულოდნელად გამდიდრდა, არავინ იცის, როგორ და რით. ცხადია, რომ ფული უცებ გაუჩნდა და ჭკვიანურადაც მოიხმარა. გართობაში როდი გაუფლანგავს, სარეწებში დააბანდა, ტოტალიზატორების და სამეძაო სახლების მეწილე იყო, მაგრამ არ გაყოყოჩებულა, ეკლესიამონასტრებს დიდ თანხას სწირავდა და არც ქველმოქმედებას ივიწყებდა. მერე ჩვენს ქალაქში ვილა იყიდა, წყნარად რომ ეცხოვრა. აქაურები აღმერთებენ, რადგან გაჭირვებულებს დაუნანებლად ეხმარება. აი, ამიტომაც აირჩიეს მერად და მე თუ მკითხავთ, ღირსიცაა — მისებრ თავმდაბალი და სადა ადამიანი იშვიათია. არ ავიწყდება, უბრალო ხალხის წრიდან რომაა გამოსული. ცოტა ფუფუნება კი უყვარს, მაგრამ მგონი, ეპატიება, ის ხომ საკუთარ ფულს ხარჯავს, სამაგიეროდ, ბევრ რამეს აკეთებს ქალაქისათვის.“

„ბარონესას განძი, ჯოვანი? ნუთუ არავის მოუკითხავს?“

„განძი?“

„ჰო, რომელიც ვითომ დაიკარგა... როგორ გგონია, პოლიციამ იპოვა და საქმეც იმიტომ დახურა?“

ჯოვანიმ დაბნეულმა შემომხედა და სანამ რამეს მეტყოდა, კვლავ ვკითხე, ლუჩიას რა ბედი ეწია-მეთქი. ის და კუმეო ხომ...

„გოგო სულელად დარჩა, თუმცა კუმეომ მას უამრავი ფული დაახარჯა. ევროპის საუკეთესო კლინიკებში გზავნიდა, მაგრამ სულ ტყუილად. ლუჩიას არაფერი ეშველა. სხვათა შორის, ამითაც ჩანს კუმეოს კეთილშობილება. ვერავინ დაავალდებულებდა, ასე ეზრუნა სულელი გოგოსთვის, რომელსაც ბავშვობაში იცნობდა.“

„ჰო, ჯოვანი, ნამდვილად კეთილშობილური საქციელია, ოღონდ მიზეზად კი მადლიერება უნდა ჰქონდეს.“

„მადლიერება? — ჯოვანი დაფიქრდა, თითქოს რაღაცას ხვდებოდა, — მოიცა, ის... ლუჩია... ბარონესას განძი...“

„სწორედაც, ჯოვანი, კუმეომ სავარაუდოდ, ლუჩიასაგან შეიტყო საუნჯის ამბავი და, აი, შედეგიც — ის ახლა ცნობილი და პატივცემული ქალაქის თავია, სენიორ რივოლი კი... მითხარი, შენ რომ გეპოვა ის განძი, როგორ მოიქცეოდი?“

„ბასტარდო!..“ — პასუხის ნაცვლად ლამის შეიგინა ჯოვანიმ, როგორც ნამდვილმა იტალიელმა, თუმცა გაურკვეველი იყო, განძის მპარავს ემუქრებოდა თუ ბედს ექადნოდა, რომელსაც ასე ოინბაზურად აეცლია ცხვირნინ პოტენციური მემკვიდრეობა...

ვარდნა

ლიფტში ვიყავი გაჭედილი და სანამ ლიფტიორი მოვიდოდა, მეგობარს მობილურით დავურეკე.

„იქნებ გაქრე?! — მირჩია მან, — განა გიჯობს, ისევ გარეთ გამოაღწიო?“

„გავქრე?“

„მანდ იყავი, არ გამოხვიდე! ნუ გეშინია, მე მოგხედავ.“

მის ხმაში ნუგეში და მხნეობა ჟღერდა. მაგრამ ლიფტი სხვებსაც ხომ სჭირდებოდათ და მსურდა თუ არ მსურდა, კაბინა უნდა დამეტოვებინა.

„ლიფტიორს მე შევაყოვნებ, მანამდე კი იქნებ მოახერხო და ბაგირი გადაჭრა. ეგ უახლესი ლიფტია, არ ჩავარდება, სამაგრი იჭერს.“

ეს აზრი არცთუ ურიგო მეჩვენა. ლიფტში სამომავლო ცხოვრება უკვე მხიბლავდა კიდეც. ოღონდ ვერ ვხვდებოდი, როგორ შეაკავებდა ჩემი მეგობარი ლიფტიორს, რათა მას კაბინიდან არ გამოვეშვი?!

„ნუ გეშინია, — დამაიმედა კვლავ, — მომენდე და არაფერი იფიქრო.“

რაღა უნდა მექნა?! ველოდი. შუქი ჩაქრა და კაბინის სახურავს რაღაც მძიმე დაეზღერთა. კაბინა შეზანზარდა. ვიგრძენი, როგორ დაიძაგრა ბაგირი და კაბინაც თითქოს დაექანა, მაგრამ მყისვე გაჩერდა. ჩემმა მეგობარმა სიმართლე მითხრა: ეს უახლესი ლიფტი იყო და კაბინას მჭიშნედ იჭერდა სამაგრი. არ ჩავვარდებოდი, მაგრამ სად იყო ლიფტიორი? ჩემი მეგობარი?! ვხვდებოდი, რაღაც მოხდა, ვიღაც ჩამოვარდა ზემოდან და კაბინის სახურავს დაეცა. მკვდარი კაცი მაწვა ზემოდან, მე კი ცოცხლად ვიყავი დამარხული ჩაბნელებულ ლუსკუმაში, რომელიც ვინ იცის, როდის დაიძვროდა; საით? საკითხავიც აი ეგ იყო: ველარ გამერკვია, რა სჯობდა — ზემოთ ასვლა თუ ქვემოთ დაშვება, დედამიწის წიაღისაკენ, თავისკენ რომ მიხმობდა მშობლის გაწვდილი მკლავებივით, ჩემს ჩასახუტებლად გამზადებული...

სიცარიელე...

ოთახიდან ის ნივთები გამოგვქონდა, უსარგებლოდ რომ მიგვაჩნდა, თუმცა ვინ იცის, იქნებ ოდესმე მაინც დაგვჭირვებოდა ისინი.

„აი, ჩემი ფეხსაცმელი, ჩემი პერანგი, ჩემი კბილის საწმენდი ჯაგრისი,“ — ამბობდა რომელიმე ჩვენგანი.

„აი, ჩემი სიყვარული, ჩემი რწმენა, ჩემი სიბრძნე,“ — პასუხობდა სხვა და მყისვე დაეჭვებული კითხულობდა, ნუთუ ყველაფერი უნდა გადავყაროთო.

„ყველაფერი!“ — იყო პასუხი და ჩვენ შიშმა დაგვრია ხელი. მაინც ვეზიდებოდით ნივთებს, როგორც ზედმეტ ტვირთს, რადგან ოთახი სიცარიელის ნაწილი იყო და სიცარიელეს უნდა დაესადგურებინა იქ.

VI

პენსიის დღე

$
სამანტა. 86 წლის

პენსიის დღე. ღია ვერანდა, დიდი. მოხუცთა
თავშესაფრის ძველი შენობა. გიყვართ ბინადრებს
ვერანდაზე ჯდომა. არც ისე დიდხანს მოგიწევთ
იქ ჯდომა და, მშვენივრათ იცით. იცი. წინა დღეს

შვილიშვილმა შემოგიარა, მთელი სამი თვე
არ ყოფილა, გადაიკარგა. თმა შეუღებავს,
ძლივს იცანი. ხშირად იღებავს, მაგრამ ამით ვერ
გაგაკვირვებს, გოგოობაში თავისუფლება

შენც გიყვარდა, დაგემსგავსა და ეს გიხარია,
შვილი არ გგავს, ისე არ გგავს, რომ ზოგჯერ ეჭვებშიც
ჩავარდნილხარ... არასდროს მოდის, შენთვის სცალია?!

ადრე გწყინდა, ასეც უთვლიდი. მერე შეეშვი.
გულისტკენა დაგრჩა, ახლა კი ისე ძალიან
აღარ გტკივა. ეჩვევი სიკვდილს შვილის გარეშე.

€
ჯაკომო. 90 წლის

პენსიის დღე. ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდი,
მომვლელი თუ დაგჭირდებოდა... მთელი მსოფლიო
მოიარე, სად არ ყოფილხარ, ანუ იმდენი
იარე, რომ სხვებსაც ეყოფათ! კინო. ფილმები —

აი, რასაც გადააყოლე მთელი ცხოვრება
და გიყვარდა, ისე გიყვარდა... ოპერატორის
ასისტენტი იყავი მხოლოდ. დღემდე მოგყვება
უტკბილესი მოგონებები. მერე, რატომღაც,

მიგივიწყეს — რასაც თესავდი, ის ვერ მოიმკე...
ემიგრანტი შენი მომვლელის სამშობლოშიც კი
ნამყოფი ხარ, სადღაც გიგდია — ფოტოც შემოგრჩა.

კარგად გახსოვს (შენი მომვლელი ედემს ადარებს)
საბჭოეთის სამხრეთ საზღვარზე, ერთი პატარა
და ლამაზი, მართლა ლამაზი, მისი „ჯეორჯა“.

£
შარლოტა. 68 წლის

პენსიის დღე. ოდნავ ქარია, პროვინციული
ქალაქისთვის ქარიც კი არის რაღაც სიახლე,
მეზობლები გესტუმრნენ, ხოდა, როგორც ჟიური —
შოუს ნომერს, ისე აფასებთ — ათბალიანი

შეფასების სისტემით — ამინდს, მწვანე ჩაის სვამთ...
ლურჯ კედელზე —
ჯგუფური ფოტო „რკინის ლედისთან“,
მაშინდელი — სკოლა-კოლეჯში (ჩაის დაისხამ,
სხვებსაც უსხამ) ლიტერატურას რომ ასწავლიდი.

დღეს ესაა შენი ცხოვრება, ასე ჯდომა და
ლაპარაკი, ზოგჯერ წიგნები — კლასიკოსები.
შენს ფინჯანზე, ფინჯნის კიდეზე, წასმულ პომადას
აკვირდები, უმაკიაჟოდ სახლში ყოფნაც კი

გეძნელება, მოუვლელობას ახლაც ვერ იტან...
ხვალ ჩამოვა უმცროსი შვილი კონტინენტიდან.

₽
ნიკოლაი. 77 წლის

პენსიის დღე. ცოტაღა დარჩა გაზაფხულამდე,
ამბობენ, რომ გაზაფხულიდან თქვენი არმია
„მაგ ნაცისტებს“ კისერს მოუგრეხს. ახლაც გარბიან
ეგ ლაჩრები თურმე ბრძოლიდან... აბა, ღალატი —

ევროპისკენ ჩუმად ყურება — ასე მარტივად
შერჩებოდათ?! დაიმსახურეს! შენი ორივე
შვილიშვილი იქაა ახლა... ხომ აღარავინ
გყავს, მათ გარდა, მაგრამ თუ რამე, დიდი პატივი

არის მათთვის სამშობლოსათვის თავის გაწირვა,
ასე ზრდიდი... ამერიკას და „გარყვნილ ევროპას“
აქ რა უნდათ?! უკრაინაა თუ კავკასია —

თქვენ გეკუთვნით! სულ ასე იყო, ხოდა, აწი რა
უნდა მოხდეს, ასე არ იყოს?! ჰქონდათ მცდელობა
თქვენგან წასვლის,
მაგრამ არასდროს ეგ არ გასვლიათ!

₿
ილმაზი. 75 წლის

პენსიის დღე. წუხელ იწვიმა, მაგრამ დილიდან
მზე აცხუნებს,
ფანჯრის დაბზარულ რაფას ეყრდნობი,
სახლებს მიღმა მოჩანს ხეები, იქით — ფერდობი,
იმ ფერდობზე სასაფლაოა, ერთი კვირის წინ

ვაჟიშვილი დამარხე... ცდილობ, აღარაფერი
შეიმჩნიო, ეგღა გაკლია, ვინმემ — ამათთვის
სეირია — თქვას, ვერ უძლებსო. თუმცა სიმართლე
ის არის, რომ მართლა ვერ უძლებ...
დაბლა ქვაფენილს

გამვლელები მიუყვებიან და მიწისძვრაზე
საუბრობენ, გუშინ რომ მოხდა. შენი შვილი კი
ვიღას ახსოვს. სინანული და ოდნავ სიბრაზეც

გეუფლება. დიდხანს მოგიწევს ასე თამაში,
ითამაშებ! ჩაიკეტები?! არა, პირიქით —
ძველებურად შეივლი დღესაც ჩაიხანაში.

₾
ნათელა. 79 წლის

პენსიის დღე. დილა. მოთოვა. როგორც ყოველთვის,
ავტობუსი სავსეა ხალხით, ეს მოღუშული
სახეები მოქმედებს შენზე... ვერ მოიშალე
ასეთების გულთან მიტანა. ზოგჯერ ამართლებს —

შემოსძახებ საკუთარ თავს, რომ სულ არ გეხება
უცნობების პრობლემები და მათ სახეებზე
აღბეჭდილი დარდი და ცდილობ, რამე ლამაზი
ეპიზოდი, ცოტა რომ იყო შენს ცხოვრებაში,

გაიხსენო... მაგრამ მალევე თვალს გააპარებ
რომელიმე მგზავრისკენ, ხოდა... მორჩა ზღაპარი!..
მერე ითვლი (ოღონდ მშვენივრად იცი, ათასჯერ

დაგითვლია, თუმცა რას იზამ, წესი — წესია):
საჭმელს, წამლებს, კომუნალურებს... რამდენ რაღაცას
უნდა ეყოს შენი გროშები — შენი პენსია?!

თეჯი

დილით ჯერ ძმასთან, ძმის ოჯახში,
გაივლი და ძმისშვილებს
წაიყვან ბაღში, გაიყოლებ. შენი სკოლაც, იქვე,
ორ ნაბიჯშია, გზის გადაღმა, ხელოვნებას ასწავლი
დაწყებითებში, რვა წელია, მეცხრე წელიც მალე
მიიწურება, შეეჩვიე, მიეჯაჭვე თანდათან,
თორემ თავიდან არ გინდოდა, სხვას ეძებდი, იქნებ
გეპოვა რამე უკეთესი, მაგრამ — ვერა, და დღემდე
შემორჩი. ატყობ საკუთარ თავს, თანამშრომელ ქალებს

(ანუ კოლეგებს) ნელ-ნელა რომ ემსგავსები, გაშინებს
ეს მსგავსება და ცდილობ ხოლმე, შენთვის იყო, მათთან
ურთიერთობას ერიდები, ეს კი ისე საშინლად
აღიზიანებთ, ათას რამეს გიგონებენ, რას არ
ამბობენ შენზე, შენ ფეხებზე გკიდია და ეს უფრო
აცოფებთ, რა ქნან, სხვანაირად არ გამოსდით, რადგან
სულ ეგ არიან... მათნაირი?! — შენ არ გინდა, არაფრით
არ გინდა, იყო მათნაირი! ცდილობ მაინც! ასე

გადის ცხოვრება. ბიჭი გიყვარს, უმცროსია, ოღონდ მას
არ უყვარხარ და კარგად ხვდები. ყოველ შაბათს ხვდები
სადღაც, ბინაში... გინდა, თავი შეაყვარო, ბოლომდე
ბრძოლას აპირებ! ყველაფერი მხოლოდ უფლის ნებით
ხდება, იცი და ეკლესიას ხშირად სტუმრობ, იმ ბიჭის
და შენს სახელზე ორ ცალს სანთელს იყიდი და ხატებს
კოცნი, ერთ-ერთთან შეჩერდები, მარცხენაში დაიჭერ
სანთლებს,
მარჯვენით ერთმანეთში გადაგრეხ და ანთებ.

ჩვევა

ასე შვრები: გამორჩეულ და განსაკუთრებულ
ლექსს რომ დაწერ, უნდა დალიო, აღნიშნავ, თითქოს
რაღაც დიდად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა,
კარგად იცი, სისულელეა, სასაცილოც კი
ვიღაცისთვის, ალბათ, ეს ჩვევა, მაგრამ ირწმუნებ,
უფრო სწორედ, იტყუებ თავს, რომ შენი ქვეყნისთვის
კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ გააკეთე.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, თითქოს ეს მხოლოდ
საბაბია დალევისთვის და სხვა არაფერი,
მაგრამ ასე ნაღდად არ არი, სმა თუ მოგინდა,
ისეც დალევ, უბრალოდ, შენს ლექსს როცა აღნიშნავ,
გსიამოვნებს ეგოისტურად, სხვა მუღამი აქვს
ამ დროს თრობას, ოღონდ ეს მხოლოდ ხანდახან ხდება
როგორც წესი, რადგან ასეთი ლექსი ხანდახან

იწერება, თუმცა არი, რომ ათ დღეში ორ-სამ
ასეთს დაწერ, ხოლო ეს ნიშნავს ორ-სამჯერ თრობას.
დედაშენმა შენი ამ ჩვევის შესახებ კარგად
იცის, ხოდა, ღმერთს ეხვეწება, რამე მაგარი
არ დაწერო, მერე დალევა რომ არ მოგინდეს...
და შენ ფიქრობ, რომელი არი მართალი თქვენში:
შენ, რომელიც თავს იტყუებ, თუ დედა, რომელიც
ზრუნავს შვილის ჯანმრთელობაზე?! —
ის, რა თქმა უნდა!

ყურის ტკივილი

ჩემს შვილს წუხელ ყური ასტკივდა, გამოვიძახე
ტაქსი, წამლის ყიდვა მინდოდა. აფთიაქები,
როგორც წესი, დაკეტილია ღამით, აქა-იქ
თუ შეხვდები ღია აფთიაქს. უნდა იცოდე
ადგილები, სადაც იქნება სადღეღამისო.
ტაქსის მძღოლი დაახლოებით ჩემი ასაკის
ბიჭი იყო, როცა ვუთხარი, რა სჭირდა ჩემს შვილს,
შეწუხდა და გაიხსენა, რომ მის შვილსაც თურმე
რამდენჯერმე ასტკივდა ყური, მერე ისიც თქვა,

ბავშვობაში მტკიოდა მეც და მურტალიაო...
საკმაო ხანს ვიარეთ, მაგრამ არსად არ იყო
ღია, ბოლოს, ვაჟას მეტროსთან ძლივს მივაგენით.
ვიყიდე და უკან დავბრუნდით, ვკითხე, რამდენი
იყო ჩემზე, ეკრანს დახედა, მითხრა. ტარიფზე
ცოტა მეტი მინდოდა, მისთვის გადამეხადა,
რადგან ბევრი ვიარეთ, მაგრამ არ გამომართვა,
არაფრით ქნა. ჩემის მხრივ, ჩემსას ვცდილობდი, ის კი

არ მართმევდა, პანელზე დაყრაც მეუხერხულა.
ასე მანამ ვიძიძგილავეთ, სანამ ჩემი არ
გავიტანე, მივეცი ფული, დავემშვიდობე.
კიბეს სწრაფად ავუყევი და მაშინ დავფიქრდი:
სანამ მე ფულს ვთავაზობდი და ის უარობდა,
რამდენი დრო, რამდენი წუთი გავიდა, ჩემს შვილს
რამდენი ხნით გავუხანგრძლივეთ მწვავე ტკივილი?!
არადა, ჩვენ კარგი გვინდოდა... რა მარტივია,
რომ სიკეთე მავნებლობაში გადაიზარდოს.

ნაგვის ურნები

სასაფლაოა. შესასვლელთან, ჭადრის ძირას, ნაგვის
სამი ურნა დგას, თითქმის მუდამ ყვავილებით სავსე,
და ავტობუსით რომ ჩავუვლი, საფლავებზე მეტად

მათი დანახვა მთრგუნავს... ყოფის, არსებობის, მსგავსი ილუსტრაცია არასოდეს შემხვედრია (იქვე ახლოს ყიდიან იმ ყვავილებს)... რას ფიქრობენ, ნეტავ, ურნები — ნაგვით რომ აავსონ, ურჩევნიათ, იქნებ?!

ის გოგო

ბავშვობაში დედაშენზე თუ იტყოდა ვინმე — „ის ქალიო“ — ბრაზობდი ჩუმად. გინდოდა, მისთვის ყველას „გოგო“ ეწოდებინა, არც კი უშვებდი გონებაში, ისიც ოდესმე თუ გახდებოდა „ქალი“... ახლა მაგიდას უზის „ის გოგო“ აგერ და შენ წნევას უზომავ... წნევებს უჩივის უკვე.

ნიკა

ყინვაა, მაგრამ შენ გარეთ ხარ, ვერ ჩერდები სახლში, გამოცდილებით იცი, ასე ადვილია უფრო. არანაირი შინ დარჩენა — სიარული მხოლოდ. არანაირი მეგობრები, ქეიფი და სუფრა — არასდროს გშველის, უარესად მოგშხამავს და აგშლის. როცა დადიხარ, გაცილებით ეფექტურად მალავ, რაც შენში ხდება... და რა ხდება?! — მიგატოვეს ისევ, ქალი ადგა და უმიზეზოდ მიგატოვა, მიზეზს ეკითხებოდი სულ ტყუილად... გაგივიდა ვადა... იცოდი, ეს დღე დადგებოდა, ელოდი და დადგა, თუმცა ჯერ გიჭირს შეგუება... და არ იცი ჯერაც — პატარავდება შენი გული წლებთან ერთად, რადგან ვინც მიგატოვა, თითო გრამი წაიყოლა ყველამ.

ავტომეესადგომე

გაჭირვებით ახლაც კი გიჭირს, არ გილხინს, თუმცა ერთ დროს უფრო გიჭირდა,
სად არ, ნამდვილად, სად არ
მუშაობდი, როგორმე თავი და ცოლ-შვილი რომ შეგენახა... ერთ-ერთი იყო ახალგახსნილი აკვაპარკი — უშველებელი ავტოსადგომის მესადგომე იყავი, ჯოხით და უნიფორმით, დილის რვიდან ღამის ათამდე ხვატში იდექი

და უცქერდი სნობებს, რომლებიც გაგიჟებულნი აწყდებოდნენ ახალ ხილს, და ერთ შესვლაზე იმდენ ფულს ტოვებდნენ, რამდენიც იყო შენი მთელი თვის ხელფასი და... იდექი, თან კი ფიქრობდი, თითქმის, დასრულებულ რომანზე, ბოლო წლები რომ წერდი ღამღამობით, მუდამ დაღლილი... და გულუბრყვილოდ ამყარებდი მასზე იმედებს... ავტოსადგომზე

შენი საქმე იყო, რომ სტუმრებს თანამშრომლების ადგილებით, ბოლო სექტორში, არ ესარგებლათ, დაფაც იდგა, სამყოფიც იყო მათი სექტორი, მაგრამ მაინც მოაყენებდნენ მანქანებს აქეთ. როცა თხოვდი გადაყენებას, უკადრისობდნენ. თავიანთი, უპირატესი, სოციალური და ყოფითი მდგომარეობით გათამამებულთ,

ღამის იყო, შეურაცხყოფად მიეღოთ შენი ეგ შენიშვნა, მილიონ რამეს გეუბნებოდნენ უაღრესად აღშფოთებულნი... რაღა თქმა უნდა, დაგავიწყდა, რასაც ამბობდნენ, წლები გავიდა, მხოლოდ ერთის ნათქვამი გახსოვს, ერთისღა მხოლოდ, დრო მის სიტყვებს თითქოს ამკვეთრებს უფრო,
განა შლის
და მკაფიოდ ჩაგესმის ახლაც: „—
ვახ, ეს სად ვცხოვრობ,
ყველა როგორ გეუფროსება ამ ქვეყანაში!“

გადასასვლელი მეორე ხაზზე

მძიმე ჩანთას მივათრევ ვაგზლის მეტროსადგურში, საბურთალოს ხაზიდან მინდა, პირველ ხაზზე რომ გადავიდე, ხოდა, მივათრევ ათასი რამით გადავსებულ, გაძეძგილ ჩანთას. ხშირად ვისვენებ. გულში ვბრაზობ საკუთარ თავზე —
ტაქსით მგზავრობას
ეს ვარჩიე, მეტრო ვარჩიე, რადგან საცობებს ავცდენოდი... საცობი სჯობდა... გადასასვლელი დერეფანი სავსეა ხალხით, მარცხენა მხარეს მოიჩქარის უწყვეტი რიგი, ხოლო მარჯვნივ კი

მივიჩქარით, ოღონდ არ ვიცი, ჩემს ამ სიარულს აჩქარება რამდენად ჰქვია. გაჩხერილი ვარ ტალღაში და სხვებსაც ხელს ვუშლი,
ვგრძნობ, რომ აშკარად
უხერხულად, უკმაყოფილოდ მივლიან გვერდით და ფეხებზე ჰკიდია ყველას ჩემი წვალება. მხარზე ხელს ვგრძნობ,
უკმაყოფილო მგზავრი მგონია,
ვიხედები მისკენ, მზად მყოფი მწარე პასუხის გასაცემად... ამომდგომია ხელჯოხიანი, ჩია ტანის, მოხუცი კაცი და მეუბნება:

„— მომე, ბაბუ, დაგეხმარები, ერთად წავიღოთ!“

ნათია კაპანაძე

* * *

წვიმებმა იმატა...
დილიდან მეორე
დილამდე
გაბმულად წვიმს.
ეს
დარდებს მიმატებს,
დარდების ტარება
მიმძიმს...

*

მძიმეა ეს ყოფა
და სანამ ხელები
ამ
კანკალს
აიტანს,
მე ისიც მეყოფა,
თუ შენი მკლავები
ყოველთვის
დამიცავს.

*

თუ შენი ხელები,
ხელები,
რომლებმაც
ამდენი მაწვალეს,
ისევ მოძებნიან
ჩემს ტანზე გაბნეულ
ხალებს
და
ნაწნავებს...

*

თუ ჩემი სიმშვიდე
(ესოდენ ნაკლებად
რომ მსტუმრობს,
წლებია),
ყინვას შეუჩვევი
ხელების სიფითრე
და
ყვავილებია...

*

შენ ხელი ჩამკიდე
ისე, რომ სხეულმა გალღობა დაიწყოს.
რა ჭირს გადამკიდე —
წარსულში ჩავრჩი
და
წარსულმა წამიღო...

*

წვიმებმა იმატა,
ვეჩვევი წვიმის ხმას
— მიმძიმს.
ცხოვრებამ იმარტა
და ახლა
ყოველდღე
წვიმს!

ვედრება

ბიძაჩემის ხსოვნას

ღმერთო, შენსკენ წამოვიდა ამ დღეებში კაცი ერთი, წამოსვლამდე წამოსცდა, რომ იყო მხოლოდ პაციენტი ამ ცხოვრების. წლები აქაც ტკივილებში გაატარა, შენთან ისე წამოვიდა, ტკივილი სხვას გაატანა. იმ ტკივილით ახლა მისი ახლობლები ვიკვებებით, უკანასკნელ გზაზე
მისთვის ცრემლებს დავღვრით გამეტებით...
ღმერთო, ერთს გთხოვ, როცა მოვა,
ცოტა ახლოს იმყოფინე,
აქ რაც დარდი რამე ჰქონდა, გევედრები, ამყოფინე. შრომა უყვარს, მაგრამ
მის გულს რაც კი რამე ძალა ჰქონდა,
ერთიანად შეგვალია, მუდამ თავზე ძალადობდა და ეგონა, ქვეყნად ღმერთი
ცოტას კიდევ მაცოდვილებს,
გული ჩაწყდა, მაგრამ
ამას შენ არასდროს გაგრძნობინებს...
შენზე, ვიცი, არასოდეს წამოსცდება საყვედური უნებლიე შეცოდების გამო, გთხოვ, არ დაემდურო, ჩვენზე ცუდი არრა უთხრა, აღარ დაადარდიანო, მარჯვენა ფეხს ცოტა ითრევს,
მიეშველე, მადლიანო.
გზას მარტო თუ გაუყვება, დაე, იყოს ნება მისი, იქნებ სადმე მიეგებოს თავშლიანი დედამისი... შენსკენ როცა მოდიოდა, აქეთ წვიმდა გამეტებით, მზიანი დღე დაახვედრე. რაც კი კარგი გემეტება, მისთვის იყოს,
ერთი წუთით არ დამწყდება შენზე გული,
გადაცვალე მის ღიმილში ცოდვიანი ჩემი სული.
ღმერთო, შენსკენ წამოვიდა
ცოტა ხნის წინ კაცი ერთი,
გევედრები, მიმიხედე, ღმერთო, თუ ხარ ჩემი ღმერთი.

* * *

— დედი, მე სიკვდილს ვაპირებ...
ღამეს შევერწყა — ვერაგი...
ვიცი, მხოლოდ შენ გამიგებ,
სხვა ვერ გამიგებს ვერავინ...
დედი, მომბეზრდა ასეთი...
არა, ზოგადად ცხოვრება!
ნატვრა არ ახდა არცერთი,
მიდის დრო, მიდის... ღონდება!
და ვერ გამხელილ სურვილებს
და ვერ ახდენილ იმედებს...
როდესაც მომისურვილებს
და სხვისთვის ვერ გამიმეტებს,
მერე იქროლონ ქარებმა,
მერე გაფრინდეს მერანი,
დედი, როცა მე მოვკვდები
და დამივიწყებთ ყველანი!
როცა იმედის ნასახიც
აღარ დაგრჩება, იცოდე,
სიცოცხლე ისე გავლიე,
სიკვდილიც არ შევიცოდე!

* * *

შენ ეს ცხოვრება გაშინებს. უხმო
პროტესტმა შენში როგორ იმატა,
გამშვიდებს ახლა მხოლოდ წვიმა და
გახდი ყველასთან მკაცრი და უნდო.

ვერ შეეჩვევი, რასაც გაჩვევენ,
გზის დასასრული უკვე ახლოა,
ეგ შენი გული სამოსახლოა,
ინახავს ახლა მხოლოდ ნარჩენებს.

არ გავს ეს შარა იმ ბილიკს, ნაცნობს,
ზამთარმა მხრები თოვლით შეგმოსა,
თითქოს შენს გულში უნდა შემოსვლა
და მარადიულ სიცივეს გამცნობს.

ხომ გაილევა ფეხქვეშ ბილიკი,
არ გინდა რამე, სიჩუმის გარდა,
ჩამოაფარე ცხოვრებას ფარდა,
ანდა ცხოვრებამ გშთანთქა, პირიქით.

არ დასრულდება. ვინც უნდა გთხოვოს,
რთული იქნება თავის დაღწევა,
როგორც არ უნდა გსურდეს გაქცევა,
მაინც ყველაფერს მოითმენ ბოლოს.

* * *

უკვე წლებია, ცუდად მძინავს, ღამე მაშინებს,
გაუსაძლისი გახდა ყოფა, ვეჩვევი ლოდინს,
ნუ მიენდობი, ვინც გიღიმის ყველას მაშინვე,
ბევრი წავიდა, მაგრამ უკან არავინ მოდის.

დაცარიელდა თითქოს ქუჩა, ეზო, სახლები,
არავის ესმის ჩემი ხმა და ჩემი ძახილი,
მხოლოდ დროდადრო გაივლიან ქუჩის ძაღლები,
მზერა აქვთ თბილი. წამიერი, მაგრამ მახვილი.

არადა ერთად ვიცინოდით ეზოში უწინ,
ეს იყო ალბათ ბევრი წლის და თვეების წინათ,
რამ გამახსენა შენი თავი, ეშმაკმა უწყის,
როგორ გიყვარდა ჩვენი ეზო, ჩაი და წვიმა...

მე კი სიცილი დამავიწყდა და საკუთარი
თავი ისეთი, ძველებური, ლაღი და მშვიდი,
ხმები, რომელსაც არ ავყევი და გავატარე
და ასე თითქოს ცოდვებისთვის ჩემ თავსვე ვსჯიდი.

ახლა სახლია, სიმშვიდეა, მე ვარ და სარკე,
რომ სრულ სიგიჟეს ავარიდო როგორღაც თავი,
ჩემ თავს შევყურებ,
ვაკვირდები, ვეჭვდები, ვარკვევ,
რა იყო ადრე, სად იყო ან მე სად ვიყავი.

გაფანტულია მოგონების ყველა წერტილი
და, როგორც იქნა, როგორც იქნა, ველი განაჩენს,
იყოს ამბები ნაწილ-ნაწილ, იყოს წყვეტილი,
შევხვდებით სადმე. მოგიყვები მერე დანარჩენს.

* * *

ბეჩა, უცხო დიაცივით ნუ ზიხარ და ჭინჭრიქობ,
მიდი, ეგე, ღობის კიდეს ცოტა ხელი შეავლე,
გედეივლი საყოლებელ-გადაჯეგილ პომიდორს
იქავეა. არ დამზარდე, შემოგევლე, გენავე.

აწი, დღეის ამას იქით, რავარც უნდა მიჭირდეს,
ხმასაც აღარ ამევიღებ, სულ არაფერს არ ვიტყვი,
გაგონილა? ამ ხნის ვარ და კიდე რამე მიკვირდეს,
ჰოდა, აწი ქე ვიქნები უჩინარი და უტყვი.

ჩემხნის აგერ ქვაც კი აღარ დაგორაობს მიწაზე,
სირცხვილია, ცოტა უნდა შევასუსტო ფოფინი,
ვერაფერს ვერ მევიკეთებ მე ვერავის ჯინაზე,
სიცოცხლეო, სანამ იყავ, გიკმარე და მყოფნიდი!

ზურაბ ლავრელაშვილი

ცვარი

დანიელ სმოლეტი 1919 წლიდან კუნძულ ქიოსზე ბერძნული ენის მასწავლებლად იყო, სანამ ტიფი შეეყრებოდა და ჰოსპიტალში დააწვენდნენ. ჰოსპიტლიდან გამოწერის შემდეგ შინ დაბრუნება ითხოვა. თხოვნა შეუსრულეს და დანიელმა გიმნაზიაში თანამშრომლებთან გამოსამშვიდობებლად შეიარა.

უკვე საღამოვდებოდა, როცა მცირე საკვოიაჟით ხელში, დანიელი ნავსადგურისაკენ გაემართა. იმავე საღამოს ის „რადკლიფით“ ინგლისში უნდა გამგზავრებულიყო. ცხელოდა, ჭრიჭინები კუთავდნენ ბუჩქნარში, ზეთისხილის ბაღებიდან ოდნავი სიო უბერავდა. დანიელმა მომაღლო ბორცვიდან კუნძულს გადახედა, თითქოს აქაურობის საბოლოოდ აღბეჭდვა სურდა წარმოსახვაში. პირისპირ ნავსადგური ჩანდა, მარცხნივ და მარჯვნივ — კუნძულის მშვიდი და უნაყოფო პეიზაჟი („კუნძული — განცალკევებული სიტყვაა წინადადებაში,“ — გაიფიქრა დანიელმა, ვისაც ფილოლოგიური მიგნება მოსწონდა და უყვარდა). უცებ ღრმა ხეობაში მიმალული ვილა გაკრთა მხედველობის არეში. პორტიკებიანი თეთრი სახლი ისე მიბინარებულიყო კლდის ჩრდილში, თითქოს საგანგებოდ მიუმალავთო, ანდა ამ წუთას სწორედ მისთვის გაჩენილიყო საიდანღაც. დანიელსაც რატომღაც საშინლად მოუნდა, ვილა უკეთ დაეთვალიერებინა, საათი ამოიღო და იანგარიშა, რომ იქამდე მისვლას და მერე პორტში დაბრუნებას დიდი-დიდი საათნახევარი დასჭირვებოდა. მართალია, ნაავადმყოფარი და ნატანჯი იყო, მაგრამ სიარულმა და ზღვის ჰაერმა მოაღონიერა და ისიც ჩქარი ნაბიჯით გაეშურა მშრალი ხეობისაკენ, რომლის წიაღშიც, როგორც ლუსკუმაში, უთეთრესი ვილა კიანთობდა.

იქამდე მალე მიაღწია. ალაყაფის ვენზელზე ადამიანივით ზეზეურად მდგარი ლეოპარდი იყო გამოხატული. დანიელმა ხელი ასწია დასაკაკუნებლად, უეცრად კარი რომ თავისით გაიღო და წინ ეზო და მოჭიქულფილაქნიანი ბილიკი გაჩნდა. ეტყობა, ვიღაც უთვალთვალებდა, რაკი კარიბჭე ასე უეცრად გაიხსნა; შესაძლოა, სულაც კარსუკან იდგა ვინმე ანდა რაღაც მანქანებით ალაყაფი შორიდან გააღეს. დანიელს ბევრი არ უფიქრია, ბილიკს გაჰყვა. სახლი თითქოს თავისკენ ეწეოდა. ეზოში პალმები და ნაირგვარი ტროპიკული ხეხილი ღაღანებდა. დანიელმა მოხედვა ვერ მოასწრო, უკვე პარმაღთან რომ იდგა, თითქოს წამისუმალ აქ გაჩენილიყო. მან კრძალვით აიარა საფეხურები და შიგნით შეაბიჯა.

ვილა დიდი არ იყო. ცარიელ დარბაზში კედლების გასწვრივ სავარძლები ჩაემწკრივებინათ. შუაში კიდევ იდგა ერთი ტახტი თუ საკარცხული — ალბათ, უხუცესი მასპინძლის ან საპატიო სტუმრისათვის. დანიელს იატაკის ნათებამ თვალი მოსჭრა. შუქი სიღრმიდან ამოდიოდა, ბაცი, მიბნედილი, რის გამოც შორენკეცზე ჩრდილები ბოჟირებდნენ და იალ-კიალი სხივილით გადადიოდა ზღვის ტალღასავით. მერე იქაურობა ატორტმანდა და დანიელმაც შეჰყვირა, წინ გადაქანდა, თითქოს წაუქიმუნჯესო. იატაკი უცებ გაიპო და დანიელი ძირს ჩავარდა. არაფერი სტკენია, რბილად დაეცა ფაფუკ ნოხზე, მყისვე წამოხტა და ოთახი მოათვალიერა. პატარა კაბინეტში იყო, კაბინეტში კი არა, ბიბლიოთეკაში, კედლების გასწვრივ თაროებზე ძვირფასი ყდით შეჭედილი წიგნები ელაგა. დანიელმა ერთი მათგანი გადმოიღო, მაგრამ ვერაფერი გაარჩია — ასოები არ ეცნო, თანაც ნაწერი ციმციმებდა და თითქოს მკრთალდებოდა კიდეც, უჩინარდებოდა...

ხელის ცეცებით გაჰყვა თაროებს და ვიწრო, დაბალ კარს მიაგნო. კარი გაიღო და დანიელს ზღვის წმინდა ჰაერმა დაქროლა...

წინ ზღვა იყო, ოღონდ სხვა, უცნაური. წყლის ფერმა გააოცა. ბლანტი, სქელი მასა მძიმედ იზნიქებოდა და არაფრით ჰგავდა ეგეოსის ზღვის ფერს. არც იმასავით მსუბუქი და გამჭვირვალე იყო. ნაპირთან ახლო მარჩბივად ამოწვერილი ხმლები მიაპობდა ტალღებს. დანიელი უკეთ რომ დააკვირდა, მიხვდა, ესენი რომელიღაც ცხოველის რქები იყო, ზედ კი თვლები ასხმოდა, და ეს თვალები დაუხამხამებლად უცქერდნენ...

დანიელი კარს მიაწყდა, მაგრამ ის თავისით ჩარაზმულიყო. მაშინ კლდის გასწვრივ გაიქცა. გზადაგზა რაღაც უცნაურ ცხოველებს ახტებოდა, რომლებიც ქვიშაში დაბობღავდნენ და ბრჭყალებიან თათებს აჩენდნენ, ბაკნიდან ამოჩრილი კუდები კი მორიელებივით აეპრიხათ და ზედ იმათაც მძივებივით ასხმოდათ უწამწამო თვალები.

სულშეხუთული დანიელი აცაბაცა გარბოდა, მერე რაღას ფეხი წამოჰკრა და პირქვე წაღავდა, ცივ ქვიშაში სახე წაყო. თავი რომ წამოსწია, ზღვიდან ამომავალი ქალიშვილი დაინახა. შიშველი იყო და სილაზე მსუბუქად მოაბიჯებდა.

„მელოდი?“ — ჰკითხა ქალიშვილმა.

დანიელი ნათქვამის აზრს უფრო მიუხვდა, ვიდრე გაიგო, მით უმეტეს, რომ ქალიშვილი ბაგეს არ ამოძრავებდა და მხოლოდ იღიმოდა.

„არ ვიცი, ვინ ხარ?“

„შენ?“

დანიელმა უთხრა.

„გინდა, აქ დარჩე?“

„არ ვიცი, სად ვარ.“

„ჩემთან.“

„რა გქვია?“

ქალიშვილმა უფრო გაიღიმა.

„ესე იგი, გინდა...“

დანიელი შეიშმუშნა. უცებ გაახსენდა, გემზე რომ აგვიანდებოდა და სერთუკის ჯიბეში საათი მოიძია, მაგრამ ვეღარ ნახა — ალბათ წაქცევისას ამოუვარდა.

„გემზე უნდა ვიყო...“ — თქვა ხმამაღლა.

„შენი გემი წავიდა, დანიელ... დიდი ხანია.“

„რა დროა?“

ქალიშვილმა არ უპასუხა. ცას ახედა. დანიელმა მის მზერას თვალი ააყოლა და მოლურჯო, ბაცი მზე დაინახა, რომლის სხივებიც არც სწვავდა და არც ვნებდა.

„სად ვარ?“

„გემი წავიდა, დანიელ,“ — ქალიშვილმა ხელი გაუწოდა და დანიელიც კრძალვით შეეხო, წამოდგა, გვერდით გაჰყვა სანაპიროზე. მარტონი იყვნენ, იმ პირველი წყვილივით, ედემში რომ გაჩნდნენ, და დანიელმაც, ვისაც ფილოლოგია უყვარდა, მშვენიერ თანამგზავრს ევა უწოდა ფიქრში. თუკი სრული მსგავსება სურდა, აქ უნდა დარჩენილიყო, მით უმეტეს, რომ ქალიშვილიც იპატიჟებდა, და დანიელსაც დიდად არ დასწყვეტია გული, როცა გაიფიქრა, უწინდელ ქვეყნიერებას ვეღარ ვნახავო; განა რა აკლდა? ეგონა, ევა ახლა მთელ სამყაროს აინონიდა, — სამყაროს, რომელიც უკვე გადაავიწყდა... საცხოვრებლად მშრალი ეხი შეარჩიეს. დანიელი ზღვის პირას ლიფსიტებს და კიბორჩხალებს იჭერდა, საჭმელად ვარგის წყალმცენარეებს აგროვებდა, ზოგჯერ კი მოუქნელ და ზანტ ფრინველებზე ნადირობდა კომბლით. ეს უცნაური ფრინველები სამხრეთიდან ჩნდებოდნენ, სანაპიროზე დაყივყივებდნენ და კლდის თავს ეხიზნებოდნენ. დანიელი ფრთხილად ეპარებოდა და ჯოხს ან ქვას ესროდა. ხორცი ორი-სამი დღე ჰყოფნიდათ.

ერთ დღეს დანიელმა სანაპიროზე გამორიყული ხმალთევზას ლეში ნახა. ასე მონათლა წყლის ურჩხული, რომელიც ვეშაპს ჰგავდა და შუბლიდან წყვილი რქა მახვილებივით ამოზრდოდა. ლეში უკვე ყარდა და უწამწამო თვალებიც რქაზე ჩამქრალიყო. დანიელმა კაჟის დანით ურჩხულს რქა მოასხიპა და გაფხიკა, გააშანდაკა, სანადირო იარაღად აქცია, რითაც თევზებს ხოცავდა ყურეში. ხმალდახმალ გადასერავდა კაცის ლანდი ჩაძინებულ წყალს, ყურეში შემოცურებულ თევზებს უდარაჯებდა და დროს იხელთებდა თუ არა, ლაყუჩში ხმალს შუბივით ჩასცემდა. რქა ხიშტივით იყო, არ იდრიკებოდა, დანიელმა სახელური გაუკეთა და დაშნასავით ხმარობდა. ნადირსაც გაფატრავდა, სადმე თუ შემოეყრებოდა, მაგრამ კლდეები ამფითეატრივით შემოსდგომოდნენ სანაპიროს და ამათ მეტი აქ სხვა ორფეხა თუ ოთხფეხა სულიერი არ ჭაჭანებდა. დანიელს სიჩუმე ყურს სტკენდა. მარტო ტალღის ან მწირი ბუჩქნარის შრიალი თუ ისმოდა განთიადისას, სანაპიროს კი მზე ანათებდა და ზღვაც უხმოდ სუნთქავდა, ოდნავი მიმოხვრით, თითქოს ბაგეებს ალამუნებსო; უცვლელ პეიზაჟს ჭვრეტდი: მოლივლივე წყალს და მზით განათებულ ქვიშნარს. დანიელს აღარც სანაპიროზე მოფუთფუთე უცნაური ცხოველები აკვირვებდა. ჩანს, ბინა ქვიშნარში ჰქონდათ ან მზის ჩასვლის მერე ძვრებოდნენ სილაში, თორემ დანიელს სხვა დროს ისინი არ უნახავს. კუსმაგვარი არსებები წინ და უკან დაფათურობდნენ და რაღაცას ეძებდნენ. რამდენჯერ გასდევნებია, რათა მათი მოუსვენრობის მიზეზი ამოეცნო, მაგრამ კუ-მორიელები (ისინი მართლაც კუსა და მორიელის ნაჯვარს ჰგავდნენ ქერცლოვანი ბაკნითა და აპრეხილი კუდით) არ ჩერდებოდნენ, სწრაფად გარბოდნენ და ღონემიხდილი დანიელიც უმალ დაეხსნებოდა ხოლმე; საოცრებას მალე ეჩვევა ადამიანი. დანიელს აღარც ევა აკვირვებდა, თუმცა მისი არაფერი იცოდა; ვილის მფლობელთა შესახებ ჰკითხა, მაგრამ ქალიშვილს თურმე არც გაეგონა, სანაპიროს იქით ვილა თუ იყო.

„არც კუნძული გინახავს?“ — კვლავ ჰკითხა დანიელმა, ვისაც ისევ წამოუტივტივდა გუნებაში ოდინდელი ფილოლოგიური მიგნება, კუნძული სიტყვაა აზრის ოკეანეშიო, ევამ კი თავი გადააქნია და იუარა — ეტყობა, აქაურობას არასოდეს გასცილებოდა.

„აქ როგორ მოხვდი?“

„შენ, დანიელ?“

დანიელმაც უამბო, ვილა რომ დაინახა და ახლოდან დათვალიერება მოუნდა, ამის მაგივრად კი უცხო სანაპიროზე აღმოჩნდა.

„ზოგჯერ გვგონია იქ მივდივართ, სადაც გვინდა ხოლმე.“

დანიელს მისი ნათქვამი ეხამუშა. ევა რაღაცას უმალავდა: ვითომ მართლა არ იცნობდა ვილის პატრონებს? გადაწყვიტა ის კარი მოეძებნა, რომლითაც სანაპიროზე გამოვიდა, მაგრამ ვერ მიაგნო — კლდეებს არაფრით ეტყობოდათ, სადმე თუ გასასვლელი იყო; აბა, აქ რანაირად მოვხვდიო, მანამდე უკვირდა დანიელს, სანამ კიდევ არ ნახა უცხო ადამიანი, ვინც, ჩანს, მასავით ანაზდად ჩამოვარდნილიყო ქვიშნარში. დანიელი მას სილაში ჩამხობილს გადააწყდა და ევას უხმო. ორივემ ძლივს მიათრია უცხო კაცი ქვაბულამდე.

„ჰკითხე, რა ჰქვია?“

ევამ თავი გააქნია.

„არ იცის, ეტყობა თავი ქვას დაჰკრა.“

„კარგი, არა უშავს. აქ დავტოვოთ, გარეთ ხომ ვერ გავაგდებთ.“

„როგორც გინდოდეს, დანიელ, მერე მე არაფერი დამაბრალო.“

„დაგაბრალო? რა უცნაურს ამბობ?“

ევამ აღარაფერი უპასუხა. წყვილმა უცნობი მოასულიერა. იმ ღამით კაცს მათთან ეძინა, მეორე დღეს კი დანიელმა ხელების ქნევით განუმარტა, სხვა თავშესაფარი ეძებნა; ისიც გააგებინა, ყოველმხრივ დაგეხმარებიო; იმანაც მალე მონახა კლდეებში შედარებით მცირე გამოქვაბული და დანიელივით ლიფსიტების ჭერას მიჰყო ხელი. ხანდახან სანაპიროზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. დანიელი ყოველდღე იპატიჟებდა და ევას მიერ ცეცხლზე მომზადებული საჭმლით უმასპინძლდებოდა. მერე უცნობი მიდიოდა და თავისთვის ჩირთიფირთობდა კლდის ძირას, სადაც ბაღჩა გააშენა. დანიელმა უცნობს სახელი ვერ შეურჩია და „ის“ დაარქვა.

— ის მოდის! — ეტყოდა ევას და გასაგები იყო, ვისაც გულისხმობდა. „ის“ კი ზოგჯერ კლდეებს იქით გადასვლას ლამობდა. დანიელს კი, რაც ევა გაიცნო, სურვილიც არ გასჩენია, თავის ყუდრო-კარს გასცილებოდა. იმდენად დიდი დრო გასულიყო, ვის ან რას უნდა დაჰბრუნებოდა! თანაც აქედან გაღწევაც შეუძლებელი ჩანდა, რაკი „ის“ მუდამ გალახულივით უკან ბრუნდებოდა.

ასე ცხოვრობდნენ — ერთად და ცალცალკე. დანიელი ზოგჯერ უცხოსთან შეისწრებდა ხოლმე ევას ბაღჩაში, სადაც მწირი მცენარეულობა ხარობდა. ევა შიშველი აღარ იყო, მაგრამ დანიელს ეჩვენებოდა, გამიორგულდაო. ეჭვიანობდა? უცხო კაცი ვითომ თავისთვის საქმიანობდა, მცენარეებს დაჰგურგურებდა, ხანდახან ევას ყვავილს მოუწყვეტდა და აჩუქებდა, ხანაც ხილს მიართმევდა და დანიელიც ბრაზობდა, შურით იხერხებოდა, რადგან ცხადი იყო, ევას „ის“ მოსწონდა, მასთან ყოფნა ერჩივნა. არა, როდი ღალატობდა, მაგრამ ეს გაგარეულება ღალატზე უარესი იყო და დანიელს ერჩივნა, ევას მიეტოვებინა, ვიდრე ასე თანდათან დასცილებოდნენ ერთმანეთს; „ვერ დამიჭერ, დანიელ,“ — თითქოს ეუბნებოდნენ ევას თვალები, როცა ეს ვითომ უდარდელად სთავაზობდა, შინ წავიდეთო; საბრალო დანიელი! მარტო ეს უნდოდა, ევას მისი უპირატესობა ეღიარებინა და მზად იყო წყენა დაევიწყებინა. ერთი-ორჯერ უცნობთან გასაუბრება სცადა, მაგრამ იმან წაუყრუა; ჩანს, მოსწონდა ევა და თან დანიელთან ჩხუბს ერიდებოდა. ამიტომაც დანიელმა თვალთვალი და უკან დევნა დაუწყო ქალიშვილს, რათა მისი ორგულობა ერწმუნა, და აჰა, გარჯა დაუფასდა კიდეც — ერთ დილას ევა ბაღჩაში ნახა დაჩოქილი, კვლავ შიშველი, ლოტოსის ყვავილზე წახრილი, ბუტკოს გულგულიდან რომ სრუტნიდა ცვარს.

დანიელი ეჭვიანობამ გააშმაგა, ხმალი აიტაცა და მეტოქისაკენ გაექანა. „ის“ კი ქვაბულის კარში იდგა გულხელდაკრეფილი და დანიელს დამცინავი ღიმილით უცქერდა. ბრაზით და რისხვით ატანილი დანიელიც მისკენ მიჰქროდა, მაგრამ რაღაცას წამოედო და პირქვე წაიქცა. როცა წამოიწია, გარშემო აღარავინ იყო. დანიელი წამოდგა და ბრმასავით გაემართა ქვაბულისაკენ, რაკი ეგონა ევა და უცნობი იქ იქნებიანო. არავინ დაუხვდა. წინ მიიწევდა და ევას ეძახდა, ხმამაღლა უხმობდა. ექო გვირაბში გრგვინავდა და ყურს სტკენდა, მერე კი უცებ დაგუბებული ხმა გაიშალა და დანიელმა ქვეყნიერება დაინახა — თურმე ხეობაში გასულიყო. გაჭირვებით გააღწია ნაცნობ ბორცვამდე, მაგრამ ვილა ვეღარ ნახა. სად უნდა გამქრალიყო? თხის მწყემსს ამბავი ჰკითხა. ვერც მისგან გაიგო რამე. ვილა აქ არასოდეს მდგარა თურმე. გაცბუნებული დანიელი ქალაქში დაბრუნდა და პოლიციის განყოფილებას მიაკითხა.

— დამნაშავე ვარ, დამსაჯეთ, კაცი მოვკალი.

დანიელი დაჰკითხეს და წინასწარი პატიმრობის საკანში ჩაამწყვდიეს, ორი დღის შემდეგ კი ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანეს. კედლების გასწვრივ სკამებზე მსხდომ თეთრხალათიანებს დანიელი დაჟინებით უმეორებდა:

— ცოდვილი ვარ, კაცი მოვკალი, უნდა დამსაჯოთ.

ის სულით ავადმყოფად ცნეს და კლინიკაში დატოვეს. იქიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოუშვეს, მაგრამ დანიელი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. სამაგიეროდ, სანაპიროზე გამოჩნდა მაწანწალა, ვისაც მკერდზე მუყაოს ნაჭერი ეკიდა წარწერით: „მომერიდეთ!“ და მას მართლაც ყველა ერიდებოდა. კეთროვანივით. მაწანწალა ხშირად ხეობაში მიდიოდა და იქ რაღაცას ეძებდა, მაგრამ უკან მუდამ გაწბილებული ბრუნდებოდა.

ნესტან ეგეტაშვილი

ელაიდა

ელაიდამ ცხელი წყლისგან გაწითლებული ხელები ჭურჭლის ტილოზე შეიმშრალა, ღუმლიდან ალუბლის ნამცხვარი გამოიღო, გრძელი, კეხიანი ცხვირით რამდენჯერმე დაყნოსა, რომბებად დაჭრა, ფეხიან ლანგარზე დაალაგა და სამზარეულოს მრგვალ მაგიდაზე საზეიმოდ შემოდგა. წარმოიდგინა, როგორ ეძგერებოდნენ ფეხბურთიდან დაბრუნებული ტყუპები, დაუბანელ ხელებს ჩაავლებდნენ და სანამ ძიძა სამზარეულოში შემოვიდოდა, თითოთითო ნაჭრის გადასანსვლას მოასწრებდნენ. ტუჩებზე მაშინვე კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა. მაინც რა ცელქები იყვნენ ეს პატარა ონავრები. წინასწარ რომ სცოდნოდა, ალბათ ამ სახლში ფეხს არასოდეს შემოადგამდა — ახლა კი მათი მიტოვება ისე უჭირდა. დილით ორივეს გამოემშვიდობა, ბიჭებმა სიურპრიზი მოუწყვეს და ელაიდას თავიანთი ნახატები უსახსოვრეს. ხუჭუჭა, ოქროსფერ თავებზე რომ კოცნიდა, თვალზე ცრემლიც კი მოადგა. სანამ ამ სამსახურს იპოვიდა, სამი ბებია გამოიცვალა, სამივეს თავისი ხელით დაახუჭვინა თვალები. ისე იყო გაუთავებელი სიკვდილით დაღლილი და დათრგუნული, როცა მეგობარმა უთხრა დიასახლისი სჭირდება ახალგაზრდა ცოლ-ქმარსო, უყოყმანოდ დათანხმდა. იქ კი დახვდა ორი ონავარი ბიჭი, მარტო თვალების ტრიალითაც რომ უკვე ცელქობდნენ. ამ სახლში რომ მოვიდა, ტყუპები ორი წლისანი ხდებოდნენ. ბავშვებს დედა, ძიძა და ზოგჯერ სტუმრად მისული ბებია უვლიდნენ, თუმცა არც მას აძლევდნენ მოსვენებას.

ელაიდას სახლის საქმეები ევალებოდა — დალაგება, დარეცხვა, დაუთოება, სადილ-ვახშმის მომზადება. დილით ადრიანად მიდიოდა ფსიხიკოში, სამარას ქუჩაზე მდებარე ჟასმინის სურნელში ჩაკარგულ ორსართულიან სახლში, საღამოს კი მთელი დღის ბზრიალისაგან თავბრუდახვეული და დაღლილ-დაქანცული ავტობუსში ჯდებოდა და ომონიის მოედანთან, სოკრატეს ქუჩაზე, სხვა ემიგრანტ ქალებთან ერთად ნაქირავებ ოროთახიან ბინაში მიიჩქაროდა. ავტობუსში იწყებდა ხოლმე ფიქრს და ოხვრასაც ნელ-ნელა უმატებდა. დასივებული ფეხებით ტანს მესამე სართულამდე ძლივს აათრევდა, წყალს გადაივლებდა, ლოგინში ჩაწვებოდა და თავისი ბიჭების ხან პატარაობას იხსენებდა, ხანაც მათ დიდობაზე ჯავრობდა. ტყუპებს ანცობით თავის შვილებს ამსგავსებდა, ამიტომაც იმ სახლიდან ფეხს არ იცვლიდა. ოთახში, სადაც მის გარდა კიდევ რამდენიმე ქალი ცხოვრობდა, ან — გაუთავებელი ლაპარაკი და სიცილ-ხარხარი, ან კიდევ, გმინვა-ოხვრა და ხვრინვა-ფშვინვა ისმოდა. როცა ქალები თავ-თავიანთი ამბების მოყოლას იწყებდნენ, ელაიდა აუცილებლად გაიხსენებდა, როგორი ლამაზი ქმარი ჰყავდა. რაღაცას გვატყუებ, ამსიგრძე ცხვირით ეგ ბიჭი როგორ გითხოვდაო, იცინოდნენ ქალები და ელაიდაც მათთან ერთად კისკისებდა. ზამთარი იყო რომ წავყევი, ის კი, ჩვენი ეზოს ბოლოზე, მაინც ყოველდღე მიკრეფდა იებსო, ამასაც აუცილებლად იტყოდა და სიხარული და სევდა ერთად გაუკრთებოდა თვალებში. ეს მოგონებები ელაიდაზე ჯადოსავით მოქმედებდა, მისი მძიმე სხეული უწონო ხდებოდა — ისე შორს მიქროდა, იების სურნელიც კი სცემდა.

ალუბლის ნამცხვარს ქაღალდის ხელსახოცი გადააფარა, წინსაფარი მოიხსნა და გაზქურის გვერდით ჩამოკიდა. კარადას მიეყუდა და სამზარეულოს თვალი კიდევ ერთხელ მოავლო — ყველაფერი სისუფთავისგან ბზრიალებდა, სიამოვნებისაგან ჩაიღიმა, გაახსენდა, დილით ელენამ — ბიჭების დედამ — უშენოდ რა მეშველებაო, მერამდენედ დაიწუწუნა. ცუდი იყო, რომ ტყუპების სახლში დაბრუნებას ვეღარ დაელოდებოდა, კიდევ ერთხელ რომ ჩაეკრა ეს პატარა ონავრები გულში. აქედან ერმუს ქუჩაზე უნდა გაქცეულიყო, რძლებისთვის მზიასთან ერთად წინასწარ შერჩეული კაბები ეყიდა, ერთისთვის შინდისფერი, მეორისთვის — ლურჯი. მერე მონასტირაკიდან მეტროთი სინტაღმამდე წავიდოდა და ვულის ქუჩაზე, ზახაროპლასტიო „მელისაში“ ბავშვებისთვის ტკბილეულს იყიდდა. ხუთ საათზე უკვე სახლში უნდა ყოფილიყო, გოგოებს გამოემშვიდობებოდა, საჩუქრებით გატენილ ჩემოდანს აიღებდა და აეროპორტში ისევ მეტროთი წავიდოდა, რომ საცობში არ მოხვედრილიყო. არ სჯეროდა, ამდენი ხნის მერე სახლში რომ ბრუნდებოდა. ეშინოდა, რამე არ მომხდარიყო — თვითმფრინავზე არ დაეგვიანა, ფრენა არ გაუქმებულიყო ან თვითმფრინავი არ ჩამოვარდნილიყო, პირჯვარი გადაიწერა და კარადას მოსცილდა. შემოსასვლელში საკიდიდან პალტო და პრიალა, შავი ჩანთა ჩამოიღო და სახლის კარი გაიხურა.

ერმუზე უამრავი ხალხი ირეოდა. შეეშინდა, სანამ მაღაზიამდე მივიდოდა და წამოვიდოდა, ნახევარ საათზე მეტი დასჭირდებოდა, მერე ან მატარებელს დაეგვიანა ან მეტროს თანამშრომლები გაფიცულიყვნენ, მაგრამ რძლებთან იმ კაბების გარეშე ვერაფრით ჩავიდოდა. კი ჰქონდა ორი ერთნაირი ოქროს საყურე უკვე მათთვის, წინა შობაზე ერთი ელენამ აჩუქა, მეორის ფულს კი რამდენიმე თვე აგროვებდა, ხელფასიდან ცოტ-ცოტას ზოგავდა, შვილებს თავიანთ წილს მაინც უკლებლივ უგზავნიდა, ისევ თავის თავზე აკეთებდა ეკონომიას. ბედად ქალებმა ლატარიის თამაში დაიწყეს და იმ ფულით იყიდა მეორე საყურე. დიდხანს ეძება მაღაზიებში, ზუსტად ერთნაირი რომ ეჩუქებინა ორივე რძლისთვის, ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო. სხვადასხვანაირი რომ გავუგზავნო, არ გამინაწყენდნენო, ეჩურჩულებოდა მზიას, მაგრამ რძლები მაინც ხან რაზე უბზუებდნენ ცხვირს და ხან — რაზე. ბიჭებიც გამუდმებით კინკლაობდნენ, ეჭვიანობდნენ, ელაიდას გაგზავნილ თითოეულ ცენტს ერთმანეთს უთვლიდნენ. ნეტავ ძველებურად ისევ არაფრის მქონე ვიყოო, ხანდახან ამასაც ინატრებდა ხოლმე გამუდმებული ეჭვიანობით დაღლილი.

როგორც იქნა, მიაღწია მაღაზიას, აქოშინებული შევიდა და გამყიდველს წინასწარ შერჩეული კაბების ცალ-ცალკე შეფუთვა სთხოვა. ერთი წამით კი გაიფიქრა, იქნებ სჯობს, ორივეს შინდისფერი ან ორივეს ლურჯი ვუყიდოო, მაგრამ მალევე გადაიფიქრა, ერთად რომ მოუწიოთ სადმე წასვლა, ერთნაირი კაბებით ხომ არ იქნებიანო. კი ხვდებოდა, რომ რძლებს ერთმანეთი მაინცდამაინც არ ეხატებოდათ გულზე და სავარაუდოდ არც ერთად სადმე წასვლა მოუწევდათ, მაგრამ მაინც სხვადასხვა ფერი აიღო, მზიამაც ასე ურჩია. მაღაზიიდან ვულის ქუჩაზე გაეშურა ტკბილეულზე. ნახევარ-ნახევარი კილოგრამი შოკოლადში ამოვლებული ფორთოხლის ჩირი, ყუნწიანი ალუბალი და ნუში აიღო. „მელისადან“ გამოსვლას რომ აპირებდა, თვალი ხელით გაკეთებულ, ვარდისფერი შოკოლადის პიონებს მოჰკრა. ისეთი ლამაზი იყო, ნამდვილი ყვავილებისგან ძლივს გაარჩია. გემოც ასეთივე აქვს, როგორი ლამაზიცააო, ჰკითხა გამყიდველ გოგონას და მანაც მაშინვე გაასინჯა ყვავილის ერთი ფურცელი. გემრიელი იყო, აქამდე მსგავსი არაფერი გაესინჯა. რა ღირსო, იკითხა და წარმოიდგინა შვილიშვილების გაოცებული სახეები ბებო ნამდვილი პიონების მსგავს შოკოლადს რომ ჩაუტანდა. სახლში, ღობის ძირებზე, სულ ასეთი პიონები ერგა, ივნისში რომ იფეთქებდა და ერთიანად აყვავდებოდა, სამოთხეს ემსგავსებოდა მისი ეზო. სულ უნდოდა, ბიჭებისთვის ეკითხა და სულ ავიწყდებოდა, ნეტავ კიდევ თუ ხარობდა მისი პიონები. ოთხმოცდაცხრამეტი ევროო, უპასუხა გოგონამ. შეიცხადა და გამობრუნება დააპირა, მაგრამ გულმა მაინც არ მოუთმინა, თხუთმეტი წელიწადია, ჩემს გემოზე ერთი ცენტი არ დამიხარჯავსო, გაიფიქრა და აღტაცებულმა წამოიძახა, ამასაც ავიღებო. გოგონამ პიონების ყუთი ლამაზად შეუფუთა, მიაწოდა და თან გააფრთხილა, ხელნაკეთია, ფრთხილად მოექეცით, ყვავილები არ დაიმტვრესო. ისევ მეტროში ჩავიდა, ვაგონი ხალხით იყო სავსე, მაგრამ ახალგაზრდა მამაკაცმა დაინახა თუ არა ხელში პარკებითა და ვარდისფერი ყუთით, მაშინვე დაუთმო ადგილი. როგორი ზრდილობიანია, გაიფიქრა ელაიდამ და ფეხზე ამდგარ მამაკაცს თვალი გააყოლა — რა ახოვანია, რაღაცით ჩემს უდროოდ წასულ, გაუხარელ ქმარს გავსო. ჩაფიქრებულს დრო გვიანღა გაახსენდა, მაჯაზე საათს დახედა, ხუთის ნახევარს ცოტა აკლდა. შვებით ამოისუნთქა, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, არ აგვიანდებოდა. დამშვიდდი, ჩემო თავოო, ამოიჩურჩულა და კალთაში მოკალათებულ პიონების ყუთს ღიმილით დააცქერდა.

სახლში მხოლოდ მზია დახვდა, დანარჩენები სამსახურებში იყვნენ ჯერ კიდევ. მზია მეტრომდე მიჰყვა — ბედნიერო ელაიდა, როგორ მშურს შენი, ნეტავ შენი წყალი მალე მეც გადმომსხმოდესო, ცრემლიანი თვალებით გააცილა და უზარმაზარი ჩემოდნით, ერთი მოზრდილი ჩანთითა და შოკოლადის ყუთით ხელდამშვენებული ელაიდა გზას გაუდგა. მატარებელში ჩასთვლიმა, გულგახეთქილს გამოეღვიძა, ყუთი ხომ ისევ ხელში მიჭირავს, ჩანთაც აქვე მაქვს და ჩემოდანიცო, დამშვიდდა და იმის ფიქრს მოჰყვა, ვინ დახვდებოდა აეროპორტში. კი უთხრა ბიჭებს, ნუ შეწუხდებით, ამხელა გზაზე რატომ უნდა მომაკითხოთ, მე თვითონ ჩამოვალ სახლამდე ან ავტობუსით ან ტაქსითო, მაგრამ ხომ ვიცი მათი თავის ამბავი, ვერ მოისვენებენ და აეროპორტში მაინც დამხვდებიანო, ფიქრობდა. თან იმას დარდობდა, ამხელა გზა ნეტავ მშვიდობიანად გამოიარონო. შუაღამისას უწევდა ჩაფრენა სულ სხვა ქალაქში, მისი სახლიდან მანქანით ასე 2-3 საათის სავალზე. თან ისეთი ცუდი გზა იყო, სულ რვიანებით გამოსავლელი. ერთი მანქანით წამოიდოდნენ ალბათ ბიჭები. ნეტავი რომლის? იქნებ გზაში დაილაპარაკებდნენ, ყველა წყენას დაივიწყებდნენ, ერთმანეთზე აღარ იქნებოდნენ გულმოსულები. ბავშვობაშიც სათამაშოს გამო დაერეოდნენ ხოლმე ერთმანეთს, რასაც ერთი მოკიდებდა ხელს, მეორესაც ის უნდოდა, დაიწყებდნენ ძიძგილაობას, მერე ცემა-ტყეპაზე გადადიოდნენ, სულ მათ გაშველებაში იყო, მაგრამ დაკბენილი ლოყები, დაბეჟილი გვერდები და დაწიწკნილი თმა მალევე ავიწყდებოდათ, ისევ ერთად თამაშობდნენ, ისევ ერთად უყურებდნენ საღამოს მულტფილმებს. იქნებ უფროსი შვილიშვილიც დახვედროდა, არასდროს კი არ ენახა, მაგრამ სულ მის გაგზავნილ ტანსაცმელში იყო გაზრდილი. ჩაეღიმა. ისევ საათს დახედა. არ აგვიანდებოდა, არაფერი ჰქონდა სანერვიულო.

აეროპორტში ადრე მივიდა. სკამზე დაჯდა და რეისის გამოცხადებას დაელოდა. დაძაბული იყო. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში დაადგა ფეხი, აეროპორტში აღარ ყოფილა. მაშინაც პირველად იჯდა თვითმფრინავში, ყოველ შერყევაზე გული უსკდებოდა, სავარძლის სახელურებს ეჭიდებოდა. ახლა უცხო ენა უკვე ესმოდა, მაგრამ დაბნეული თვალებს მაინც აქეთ-იქით აცეცებდა, ეშინოდა, რაიმე არ გამორჩენოდა, თვითმფრინავს არ გაესწრო. ცოტა ხნის მერე მშობლიური ენა შემოესმა და მათზე მოლაპარაკე ხალხს აედევნა. სადაც ისინი წავიდნენ, იქით წავიდა, სადაც დადგნენ, იქ დადგა. რეგისტრაცია გაიარა, თავისი უზარმაზარი ჩემოდანი ორმოც კილოგრამზე მეტი აღმოჩნდა და დამატებით თანხის გადახდა მოუწია. მერე უსაფრთხოების შემოწმება გაიარა, ეშინოდა, პიონების ყუთი არ ჩამოერთმიათ, მაგრამ გადარჩა, მხოლოდ წყლის ბოთლი გადააგდებინეს. „Duty Free“-ში თავის ენაზე მოლაპარაკე ხალხი დაკარგა, დიდხანს იბოდიალა შოკოლადების, სასმელების, ზეითუნის ზეთების რიგში. ბოლოს სუნამოებთან ერთ წყვილს გადააწყდა და მათ აედევნა. როგორც იქნა, თავის gate-ს მიაღწია, მშვიდად დაჯდა, ახლა სანერვიულო აღარაფერი ჰქონდა, გარშემო სულ თავის ენაზე მოლაპარაკე ხალხი ეჯდა.

თვითმფრინავში მისი ადგილი ფანჯარასთან აღმოჩნდა. დაჯდა და შოკოლადების ყუთი კალთაში ჩაიდო. მის გვერდით ათიოდე წლის გოგონამ ისეთი თვალებით შეხედა, მიხვდა, ფანჯარასთან დაჯდომა უნდოდა. გინდა, გაგიცვლიო, ჰკითხა. მაგრამ ბავშვმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. დედამისს გაეღიმა, არადა, მთელი გზა ამას ნატრულობდაო. ფეხზე წამოხტა და გოგონას ადგილი დაუთმო. თვითმფრინავი ზუსტად ცხრა საათზე აფრინდა. ისე აუბაგუნდა გული. ხელის გულები მღელვარებისაგან გაუოფლიანდა, პიონების ყუთს მაშინვე მოაცილა, რომ არ დაესველებინა. მერე თვალები დახუჭა და როდის-როდის ჩაეძინა.

რომ გამოეღვიძა, თვითმფრინავი უკვე მიწისკენ ეშვებოდა. ალაგ-ალაგ ციმციმებდა სახლებიდან გამომავალი მკრთალი შუქი, გზების პირებზე ჩამწკრივებული ლამპიონები. ვიღაცამ მის უკან „სულიკოს“ ღიღინი დაიწყო. მის წინ ასაკოვანი ქალი ფეხზე წამოხტა, სათავსო გამოხსნა და თავის ჩანთას დაეჯაჯგურა, მაგრამ ბორტგამცილებელმა ძალიან მკაცრი ხმით დაუყვირა მიკროფონში: გთხოვთ, დაიკავოთ თქვენი ადგილიო და ისიც უსიტყვოდ დაემორჩილა. თვითმფრინავი დაჯდა თუ არა, ყველამ მქუხარე ტაში დაუკრა. ვიღაცა მის უკან ახლა უკვე ხმამაღლა ამღერდა. ელაიდაც აჰყვა, გაუბედავად აღიღინდა, მაგრამ მალევე გაჩუმდა. სიხარულით გული უფანცქალებდა. აქეთ-იქიდან ხალხი სწრაფად წამოიშალა. ბორტგამცილებელი განწირული ხმით ყვიროდა, გთხოვთ, დაიკავოთ ადგილებიო, მაგრამ კაცისშვილი აღარ უსმენდა, სათავსოდან ყველა თავისი ჩანთის ჩამოღებას ცდილობდა. აეროპორტის შენობაში მიმავალ ავტობუსში ფეხზე იდგა, მძღოლმა რამდენჯერმე ისე დაამუხრუჭა, კინაღამ შოკოლადის ყუთი ხელიდან გაუვარდა. რა დაგემართა, შე კაი კაცო, ტარებას ახლა სწავლობო, აქეთ-იქიდან ხალხი აყაყანდა. გაბრაზებულმა მძღოლმა შენიშვნა იწყინა და კიდევ ერთხელ უკვე განზრახ დაამუხრუჭა. ელაიდა არ ბრაზობდა, ხელში ვარდისფერი პიონების ყუთი ეჭირა და იღიმებოდა.

დასასრული მე-13 გვერდზე

შავი ქლიავი

გთხოვ, ჩემი კანის სუნზე იფიქრე.
შავი ქლიავის, კიდევ რა გითხრა...
სანამ არყოფნის ორმოს გავითხრი,
სანამ პანთეონს მარტის სიფითრე
შემოერევა — თებერვლით დაღლილს
და მივაკითხავთ ყოჩივარდებით,
ერთხელ მძინარეს მოგივარდები,
რომ ჩემი სუნით აგევსოს სახლის
ყველა ოთახი. კიბე და ფარდა.
სამზარეულო. ვიწრო ლოჯია.
სანამ ხალები დამიკოცნია.
საკუჭნაო და ვრცელი მანსარდაც
აგევსოს შავი ქლიავის სუნით,
როგორც შენ იტყვი, ჩემი სურნელით
სანამ ბოლომდე არ გავსულელდით,
სანამ ერთმანეთს ღამეებს ვჩუქნით,
სანამ ერთმანეთს დროდადრო ვხვდებით,
სანამ მე: გოგოს, შენ — ბავშვს მეძახი,
სანამ ცას დაჰკრავს ფერი ქეძაფის,
ფერი — შენი თმის და შენი მხრების,
გთხოვ, ჩემი კანის სუნზე იფიქრე...

ნარიყალა

ურცხვად ეტმასნება სიო სახურავებს.
ასეთ დღეებთანაც ვცადე მორიგება.
იქნებ თებერვალი იქცა ქრონიკულად?
ცივი ღამეების სია — უსახური...
გარდაუვალია, ვიცი, სიო ქარად
უნდა გადაიქცეს დიდი ალბათობით,
გახსოვს, ბავშვებივით ხშირად ვკამათობდით,
გახსოვს ამღვრეული ღრუბლის მინანქარი?
სისულელე არის ყველა კორექტურა.
მძიმე წერტილები — მსუბუქ ტირეებთან.
როგორ ავარიდო თვალის დირეები
ახლა უშენობის მწვავე კონიუქტივიტს?
იქნებ შეიცვალოს რამე მარტისათვის,
რადგან გაქცევითაც ისე დავიღალე,
მოსჩანს აივნიდან მთელი ნარიყალა,
ტურისტებისაგან შუაღამით ჩათვლემს.
დილით ეტმასნება სიო სახურავებს...

დილემა

ჩემზე რა გითხრა, დაიცდის, თუმცა,
შენს კანს კი — მწიფე კომშის სუნი აქვს,
სამზარეულოც შენისლულია —
თამბაქოს კვამლით, მეც ისე ურცხვად
ვაპარებ მზერას — შენი კაბისკენ,
თითქოს ვიპარავ რაიმე ძვირფას
ნივთს. ამ ოთახსაც მცირედით ნიღბავს —
ბურუსი, მაგრამ მაინც გავრისკე
თვალის შევლება და შენი ვიწრო
წელის სილუეტს ვლანდავ და თეძოს —
ვუცქერი, როგორც ვინმე — თავკერძა —
და ვფიქრობ ჩემთვის, არვინ მომისწროს,
ჩუმად მიკითხავ ლექსებს — წუხანდელს,
შენს ზანზალაკებს ბავშვივით შევრჩი.
გისმენ და იქვე სინდისიც მქენჯნის,
უნდა ვძულდე თუ უფრო ვუყვარდე?
ჩემზე რა გითხრა, დაიცდის, თუმცა,
შენს კანს კი — მწიფე კომშის სუნი აქვს...

ბლონდი

ზოგ სტრიქონს ეჭვი მაწერინებდა.
ზოგიც უაზროდ. უმიზნოდ ვწერე.
ზოგს მონატრების ერქვა სახელი.
მე ვერ შევძელი შენთვის გამხელა —
სიცოცხლე მქონდა ფარფატა მწერის
და მოთმინება — კაპელდინერთა.
თან მთელი ღამე უკრავდი ბიზეს.
ბაღში კრთებოდნენ გლოსინიები.
რა კარგი იყო შენი ვერანდა.
წასვლა იფიქრე, თუ მომელანდა?
დანაშაულის მონანიებით,
თითქოს წასვლისთვის ეძებდი მიზეზს.
მხოლოდ ორი დღის სიცოცხლე მქონდა
დარჩენილი და ერთი წაიღე.
ბოლოს ჩემივე თავი ვიტირე.
რა კარგი იყო სახლი — ქვიტკირის.
რა კარგი ვიყავ, როგორც ტარიგი.
რა კარგი იყო საღამოს ბლონდი...

ხარაგაული

დათო ჯიმშიაშვილს

მიტოვებული სახლების გლოვა.
სახლის კი არა. ნასახლარების.
ბოლო იმედსაც ასაფლავებენ
თვალები — ცივი, სველი და გლუვი.
მატარებლიდან შენობებს ითვლი.
უკეთ რომ ითქვას, ითვლი ნანგრევებს.
უშუქო სარკმლის ბედი გაღელვებს.
რიკოთამდე ხარ მისული, თითქმის.
უკან მოგრჩება ხარაგაული.
ბავშვობა. სკოლა. გადიდბიჭება.
სხვა ქალაქისკენ გადაბიჯება
და მაინც, მაინც ხარ აქაური...
გაფიქრებს ყველა სახლი — უკვამლო.
ნასახლარების საკვამურები.
საღამოს თბილისს დაუბრუნდები.
ქალაქს — მოწყენილს, რუხს და უკვალოს...

მანიფეს-ტიციან
Manifestum non eget probatione

ტიციან, ჩემს იქით სოხუმია.
გაგრა. ბიჭვინთა და ათონი.
ჩემს იქით არის შავი ზღვა,
რომლის სიშორეც ჩავიცვი,
რომლის ფიქრითაც ვათენებ,
რომლის გარეშეც მოვხუცდი...

08.03.2023

შეგვიპყრობდა სევდა ოდენ, ურვა მარტო,
კალენდარი რომ გაგვიხდეს ურვამარტო...

უვივალდო

არის სეზონებიც — ზოგჯერ უვივალდო.
იცის მობეზრება ამგვარ სეზონებმა.
მისვლა — უშენობის მტანჯველ წყურვილამდე.
ხელისგულებივით ჩრდილთა მოზომება.
ყველა უკოცნელი დილა — ღალატია.
შენი ბაგეების — მოკამკამეების.
მოდი, დავემალეთ ღმერთსაც, გალატეას,
მოდი, გავათენოთ მარტის ღამეები.
მოდი, დავისიზმროთ ოდენ ერთმანეთი,
ძილის საიდუმლო მხოლოდ მე თუ მანდე.
წყალსაც წაუღია თეთრი ხელთათმანი.
წყალსაც წაუღია ყველა სეკუნდანტი...

მარხვა

ვმარხულობ. სიტყვა — ბუმბულზე ლიტონია.
შორი ლიტანია. მსგეფსი. გახსნილება.
თოვლში ჩრდილებივით წვანან მარხილები.
მზეზე მარხილები წვანან —
ტრიტონივით.
მოდი. მომაშველე კოცნის ნიშადური.
სიტყვა შეაწიე ტუჩებს — ნამარხულებს.
სანამ უმერცხლებოდ მოვა გაზაფხული.
ბავშვურ აღტაცებით. ისე, ნიშანდობლივ,
რომ გადაგავიწყოს ყველა შეპირება,
რომ შეგაკვრევინოს წკნელით ბუდეები,
რომ ჩამოასვენოს მთვარე — გუბეებთან,
რომ ჩამოანგრიოს მყიფე ჯებირები,
რომ ჩამოგაშოროს ბიჭი — აბეზარა,
ჩირით, ალუბლებით, ფრანით, ყვავილებით,
სანამ მიტოვებას გულში გაივლებდე,
კეთილხმოვანება — ლოცვით გაგებზაროს,
მოდი, მომეკედლე ოქრო — ვერცხლებითურთ,
შორი ლიტანია. მსგეფსი. გახსნილება.
მზეზე ტრიტონივით წვანან მარხილები.
მოდი, მომიფრინდი შავი მერცხლებიდან...

პეიზაჟი

აპრილის თქეშივით მოაყრის ხანდახან
სიტყვებსაც, თან სველი მიწის ოხშივარს
ხარბად ვიყნოსავ და ვხვდები, ვივსებ
ქალაქის კვამლით გაჭვარტლულ ფილტვებს,
წყვილად აფრენილს ვუცქერ შოშიებს.
ვაგრძელებ წერას, თითქოს მკარნახობს
წერტილს და მძიმეს, ვიღაც მაღლიდან,
მკარნახობს სუნთქვას, აბზაცს და ტირეს,
მკარნახობს ყოველ ხაზს ანუ სტრიქონს,
რა მენაღვლება, არაფერს ვფიქრობ,
ვჩივი არაფერს, თუნდაც სულ მცირედს,
წამიც და ყეფას წყვეტენ ძაღლებიც.
ვსხედვართ და ვისმენთ წვიმის არიას,
ვსხედვართ და ვითვლით გუბეში წვიმის
ათას დაცემას და წრეზე გაშლას.
ხეებს კი ასდის სურნელი — ვაშლის.
მე მისველდება კოჭები. წვივიც
და მიხარია...

თოვლი

გინახავთ თოვლი ჩამავალ მზეზე?
თოვლი ასეთ დროს მიწაში ჩადის.
თოვლს არ აქვს გემო. ფერი და გეზი.
თოვლი ვერ იკლავს დარჩენის წადილს.
ცელქი ბიჭივით მოვა და წავა.
ხანდახან მოვა ჭყაპად ან წვიმად.
თოვლში ვერ ნახავ ნაკვალევს — წავის.
ვერც ჩვენს ნაკვალევს მიაკვლევს ვინმე.
თოვლი ხვალ ისევ მიწად იქცევა.
ადამიანიც ყოფილა თოვლი.
მსურს საქანელა — თოვლის გირწიო,
სანამ ჩვენს ნაცვლად ბავშვები მოვლენ...

IN THE DEATH CAR (ARIZONA DREAM)

ზოგჯერ პოეზია არის ოცნებათა ვრცელი გარნიზონი.
ხანაც შუბერტის მონაცრისფრო სასაფლაო — მუსიკის
აუხდენელ ოცნებათა.
მარტში დიდდებიან პატარა წყაროები — არიზონად.
მხოლოდ კანიონებს ესმით ერთმანეთის უსიტყვოდ,

თითქოს კოცნებამდე —
ერთდებიან და შეჯახებას ლამობენ
წამახულ ქარაფებით.
საოცარია მათ შორის მომწყვდეული კოლორადო.
წამის უკვდავყოფა.
ასეთ დროს გაღელვებდეს, დამიჯერე, უნდა არაფერი.
ფირი გამოცვალო და ჩაუჩხაკუნო პოლაროიდს.
უვრცეს უდაბნომდე.
ჩაჯდე კადილაკში. ტენტიანში.
გორან ბრეგოვიჩი ჩართო.
ჩაჯდე კადილაკში.
გორან ბრეგოვიჩი ჩართო. უტენტოში.
ელ-ეს-დე ჩაღეჭო.
ცისკენ მიაპყრო შავი თვალები — დახუჭული ფართედ.
წვიმამ შეგილახოს ცილინდრი და წითელი მაკინტოში.
ცხვირ-პირი დაღრიჯო.

მადათოვი

თავადაც არ ვიცი, რა უფრო მხიბლავდა,
შენი სიახლოვე თუ შენი სიშორე?
ტუჩებთან — ტუჩების შეხება გიჟური,
სისველე — სიბლანტე.
არც ისე პატარა, თან მყუდრო ბინაში
ყელიდან — თეძომდე ხალების გადათვლა,
რომელიც ზემოდან უმზერდა მადათოვს,
სრულიად მარტოსულს, თებერვლის წინაშე.
კენტი. 8 ნომერი. ყინული. ბუშმილსი.
ჭიქები — მსუბუქი. უძირო. უყელო.
თავხედი ბავშვივით ლავიწთან გიყურებ.
ნუ ღელავ. ნუ ღელავ. ნუ ღელავ დუმილზე.
დუმილსაც თვალებზე ამბორით ავავსებ.
თვალებზე. ნიკაპზე. ცხვირზე და კისერთან.
და მერე ვიკითხავ, რა გაკისკისებდა?
როდესაც მადათოვს გადავცქერთ ქარაფზე...

კოცნის ისტორია

თოვს და ფანტელებში შედიხარ, გეგონება
ან იქნებ, ფიფქები შენში შემოდიან?
მიდი, გაიხსენე კოცნის მელოდია,
შენზე მონდობილი დიდი გოგონების,
ერთად გათეული ვრცელი ღამეების,
ყავით. სიგარეტით. არყიან ბოთლებით.
დროდადრო კარგია, როდესაც ობლდები.
დროდადრო ყელიდან აწყვეტილ კამეებზე
ლექსი გეწერება. ხშირად კონვენცია.
თითქმის არასოდეს წერა ვერბლანების
გინდა. ერთმანეთში ისე გებლანდება
კართან მიმოყრილი თეთრი კონვერსები.
ტოტი აკაციის. ლურჯი ვრანგლერების.
მართლა აღარ ვიცი, როდის შემიყვარდი?
გახსოვს, რომ ვხვდებოდით ცივი ლენინგრადის
მყუდრო სასტუმროში, ხანაც „ანგლეტერში“,
ხანაც „მოსკოვში“ და ხანაც „ასტორიის“
ნათელ კორიდორებს სიცილით ვავსებდით.
ღამეც გვიტყდებოდა დიდი ხნის ნავსივით.
წრეზე ტრიალებდა კოცნის ისტორია...

ქარი

ყველაზე მეტად ქარი მიყვარს. ქარი, რადგანაც,
კურიერივით შენი კანის, თმის და ბალიშის
სურნელი მოაქვს, უკითხავად, თითქოს მაგიჟებს,
ჩვენ — ორივენი საცალფეხო ბილიკს ვადგავართ.
ქარს კი არ უყვარს აპრილი და ნამარტალი მზე,
როცა ახლოა ქარის სოლოს დასამარება...
ასეთ ქარსაც კი ვერსაითკენ გაეპარები,
ასეთი ქარი თუ აგირჩევს ხილულ სამიზნედ,
ბრმადაც რომ იქცეს, შემოანგრევს ურდულიან კარს,
შენს მარტოობას შემოსაზღვრავს ვრცელი სამანით,
ქარი შეარხევს აკაციებს და იასამანს,
ბაღსაც, რომელიც იებისგან გაქურდულია...
შემდეგ კი ქარი შეასკდება ზეთისხილის რტოს,
რომელზეც მთვარის ლივლივია ანუ ყვითელი
სხივები წვანან და ქარისგან სილას ითმენენ,
რომ ურცხვმა ქარმა ბოლო სოლო მოაგვირისტოს...

საკურები

ზეთისხილები — მთვარის შუქზე.
შენთან დარჩენის პერსპექტივა.
ჯერ უსახელო პროსპექტი ვარ.
ორი ჩიხით და სამი შუკით.
სადმე მოგნახავ აქვე, თუკი.
მერე არსაით გაიშვებით:
შენ და წელვიწრო გეიშები —
ზეთისხილების აკვედუკთან.
მოგცემ გვირილის საყურეებს.
თეთრის — ყვითელში გრადაციას.
ვიდრე სისველე გაგაციებს.
ვიდრე აყვავდნენ საკურებიც.
შენთან დარჩენის პერსპექტივა
ისე უსაშველოდ შორი არი.
მოდი. კოინდარი მოიარე.
ჯერ უსახელო პროსპექტი ვარ...

ARRIVERDERCI

რა საჭიროა, ჩემო კარგო, „Arrivederci“,
ლიტონის ფასად დაცდენილი „Ciao Ragazzi“...
ხომ არ აჯობებს ამაღამაც ორივე დავრჩეთ
მყუდრო ბინაში,
სანამ ერთურთს სიქას გავაცლით —
კოცნით, ფერებით, ჩახუტებით, თითებზე კბენით,
მოურიდებლად, უთქმელადაც,
ხანდახან მორცხვად,
ვალდებულებით — ერთმანეთის თვალებში ცქერით,
თმენით, რომ შენი ბაგეების ტკბილ-ცხარე მოცხარს
ბავშვივით უნდა დავეწაფო, ვიღაც თავხედი
და უტიფარი, უპრინციპო, უხამსი ბავშვი,
სანამ ამ ლექსებს დამიწვავდე ანდა დახევდე,
სანამ ტუჩების ეთერზეთი უჩემოდ გაშრა,
ეს ერთი ღამეც მოვინელოთ, ორივე დავრჩეთ,
მყუდრო ბინაში, სანამ ერთურთს სიქას გავაცლით,
რა საჭიროა, ჩემო კარგო,„Ciao Ragazzi“,
ლიტონის ფასად დაცდენილი „Arrivederci“...

თევზები

კასრში ჩაყრილი თევზები ვართ.
პირობითი გვაქვს სახელები.
ამაოდ ვცდილობთ გახელებას.
ქარონიცა და ბელზებელიც.
არის უმნიშვნელო გრადაცია
ნელი დგაფუნიდან — ლივლივამდე.
მთვარეს ხერხემლით ვირეკლავდეთ.
ნულთან მისული გრადუსივით.
ზურგის დამძიმება დოლაბივით.
სიზმრად — ტბები და კორომები.
მთვარის სინათლე — ორომიდან.
ფსკერი. იმპულსი. მოლანდება...
კასრში
ჩაყრილი თევზები
ვ
ა
რ
თ...

ქვები

არაფერია
იმაზე ლამაზი სანახავი,
როცა საფლავის ქვის სურათს
თოვლის ნამქერი
ან
წვიმა აქრობს,
დროებით...
მერე კი —
მზის შუქით გამთბარი ქვები —
წაშლილ სახეს
და
წარწერას იბრუნებენ.

თვალები

ვათვალიერებ ხშირად ფოტოებს.
გაუფერულდნენ შენი თვალები.
ერთ დროს მკაცრი და შეუბრალები.
სავსენი — რისხვით. ცეცხლით. წვალებით.
გახსოვს, მიმზერდი ეშაფოტიდან?!
ახლა კი შენი თვალები ჩაქრა.
ცეცხლისგან დარჩა ნაცარი, ოდენ...
მღვიმეებივით დაცარიელდნენ.
და უკეთ იცი, რაც არის ელდა,
ლავა — ქცეული ყინულის მაგმად...

დედი

...და სანამ სახლში დედის სუნი დგას,
არ დაჭკნებიან ეს გერბერები,
მე — მძინარესაც მოვეფერები —
ხელებზე. შუბლზე. შემდეგ გულისკენ...
შემდეგ გულისგან გადახდილ საბანს
შევუსწორებ და სუნთქვის სიხშირეს
ჩუმად მოვუსმენ, თავს დავიმშვიდებ,
რადგანაც მცირედს ვჯერდები საბაბს —
მშვიდად ყოფნისთვის, ხომ იცი, დედი,
ბევრი არასდროს გვინატრია რა,
შენი ხმა — ჩემი რია-რიაა.
შენი ხმა. არაფერი ზედმეტი...
შენი ხმა. შენი ლოცვა. ვედრება.
სათნო ღიმილი და წრფელი გული.
სანამ შენს სიზმრებს ბავშვივით ვუვლი
და გილგამეშმა მოჭრა კედრები,
მშვიდად იძინე,
ძილინებისა...

* * *

ზამთარში მოკვდა პაპაჩემი,
ღვინოს ნატრულობდა, მარნისას,
ვაშლის ბებერ ტანზე ჩატყდა წელი,
ვაშლის თოთო კვირტზე ასცდა ხელი,
გატყდა ნაფერები ძვალი ხმელი
(როგორც უბეში გაზრდილი გველი),
ვაშლის ტოტებიდან ჩაიქცა.

იწვა და დახუჭულ თვალებზე
სახლის სახურავები ეხურა.
თითქო ბალახები არწევდნენ,
თითქო ცალუღელა ხარს სწევდნენ,
თითქო მარცვალ-მარცვალ არჩევდნენ,
ანდა ფურცლითუთას არხევდნენ,
ისე მთავრდებოდა, შლეგურად.

ბებერი ამბავი ილოცა,
კაცის უბედოდ დაბადების,
ბოლოს იმღერა და ღვინოც სვა...
ბოლოს მომაკვდავმაც იცოცხლა,
თუმცა გზა ვერსაით მიჰქონდა,
მაინც თავის ქოხზე ტიროდა,
და
ქალაქში მოკვდა პაპაჩემი...

* * *

გუშინაც მთელი დღე გიძახდი:
— მე აქ ვარ,
მე აქ ვარ,
მე აქეთ...
შენ მარტო ჩემს თვალებს ხედავდი,
შენ მარტო ჩემს ტუჩებს ხედავდი,
შენ მარტო ჩემს მუხლებს ხედავდი...
და ვერ გაგაგონე ვერაფრით.

უბრალოდ, მე მინდა, უთქმელად
გესმოდე,
ვდნებოდე შენს ხელში...
წვრილია ჩემი ხმის ბაწარი,
გაწყდა და
შეგეშვი.

* * *

მე ჩემი თავი მივატოვე,
მარტო იმდენი
დავრჩი, ყოფას რომ გაუმკლავდეს,
საუზმეს, ფარდებს,
წიგნის თაროებს და სხვის კედლებს მოწმინდოს მტვერი
და ღამღამობით ლოცვა შეთხზას,
მთლად რომ არ წახდეს.

და ვრეცხე,
ვხარშე
გუშინ — გუფთა,
ამ დილით — კვერცხი...
(თან პიაცოლა,
ბრეგოვიჩი,
შვიდკაცა,
ვერდი)...
ვხეხე და ვადნე მზითვის კოვზი და თმაში ვერცხლი
. . .
აღარც კი მახსოვს, რომ ძველ დროში
ლექსებსაც ვწერდი.

* * *

ბეჭზე მოგეხარა ხერხემალი,
მკლავებზე დოლაბები აგისხამს.
გინდა, სისხლი იყო, სეფექალი,
მაგრამ გიყურებ და
ძვალი ხარ.

მაგრამ მდუმარებას იხუვლებენ
წლები... და გტოვებენ მიყოლებით.
ქუჩაში, ბიჭები რომ გიყურებენ,
შენ უფრო მიწისკენ იყურები.

თმებმა მოიწყინეს სავარცხელი,
მკერდქვეშ კი მიხურული კარი ჩანს.
გინდა, გოგო იყო კაბაჭრელი,
მაგრამ გიყურებ და
ქალი ხარ.

ანა სისვაძე

ჰეი, ანუბის!

საკუთარ სულში გამომწყვდეულ ანუბისს ვგავარ,
ხსნას რომ ეძიებს — ამ ძებნას კი არ უჩანს ბოლო,
უძილობისას ხშირად იღებს არნახულ წამალს,
რათა ეს ღამეც (როგორც ყველა) გადააგოროს
უდარდოდ, უხმოდ, უდრტვინველად, უმტკივნეულოდ,
თუ არ იწვალე, ამ სხეულსაც რაღა აქვს ფასი?!
მაგრამ, ვაი, რომ დაცოდვილდი, სულო ეულო,
და თითქოს გტანჯავს ეს ცოდვებიც არაფრის მსგავსი!
ხორცში გიძვრება ამ კედლის ხმა, როგორ კანკალებ
და ამ ქაოსში სარკეს ჰყურებ, რამ გაგაღიმა?!
ახლა ყელიდან სისხლის კვალი დაიწანწკარებს,
მერე მიხვდები, ძვირფასია ყოველი დილა
იმ ყოველ დღესთან, რომლებშიაც სინანულს აქსოვ
და რომელ დღეთაც ასე ფლანგავ მხოლოდ ტირილში.
ვინ გიშლის, ღამე ტკივილებით რომ გამოაცხო
დიდი მინდორი, თან ნერგებიც თესო, ვინ გიშლის?!
მაგრამ არა გაქვს ამ სიცოცხლის ჟინი, არა გაქვს!
რამ დაგამუნჯა უბედობის რწმენით შემკულო,
წყალი გწყურია, დამჩატება სულის ქარდაქარ,
გსურს, რომ მაღლიდან შენს მიწიერ ყოფას შეჰყურო.
მაგრამ ადრეა, რაც არ უნდა ბევრი იხვეწო,
ან რაც არ უნდა ბევრს წიოდე, ბევრი იძახო,
რომ თურმე ახლა არსებობაც არ შეგიძლია,
და ცდილობ, ერთი დარდი მაინც გადაინახო
შემდგომ დღისათვის, რათა იქნებ რამენაირად
ეს სატანჯველი ხვალისთვისაც გაიხანგრძლივო,
შენ, ყოველ წუთზე მოვლენილო მკვლელო ამირად,
შენივ სხეულის, წვალებაზე ცუდად აცრილო.
მაგრამ ადრეა. თუ იაზრებ, ეულო, ნეტავ,
გუშინ ნაბრძოლს რომ გაფრთხილება უფრო სჭირდება,
ვიდრე წლების წინ დანაკარგავ დროების ელდას
მინაში ნაკრავ ლეშებივით გადავიწყება.
ერთი სული გაქვს, სისხლმა დიდზე დაიმდინაროს,
საკუთარ სულში გამომწყვდეულ ანუბისს ჰგავხარ,
დღეს შეიძლება, შენმა ხორცმა ვეღარ იაროს,
მაგრამ იცოდე, პოეტები ფრინავენ მაღლა.

ოთხი კედელი

თოვს. მდუმარების ჟამთაცვალებამ
ჩემს სულს ცისფერი მიწა არგუნა.
მანდ ალბათ კედლებს შუა ბობოქრობ,
აქ მწუხარებამ დაისადგურა.
გეძახდი შორით და სადღაც ნისლში
გაქრი, წაიღე მთელი სამყარო.
მე სად წავიღო ეს მძიმე ლოდი?
შენზე ფიქრები სად გადავყარო?
ახლა მიწიდან გიმზერ, ძვირფასო,
თავად ზღვის ცრემლებს მაქსოვ ზემოდან.
იხსენებ დღეებს, როცა წვიმიან
ტალახში ვხტოდით ერთი ეზოდან
ერთ ორღობეში, როგორც შვლის ნუკრებს
სჩვევიათ ცეკვა მზის დაისობას...
თან ელოდები ვარდისფერ ნისლში
მომავალ მზერას და მაისობას.
ადრეა დარდი, შენი სიცოცხლე
ამ წუთისოფელს ჯერ არას ავნებს,
და როცა დროოც გაგივა, ჩემო,
მწვანე თვალებით მეიასამნე.
რადგან არცერთი წუთი ცხოვრების
აღარც ბეღურობს, აღარც არწივობს,
მანამ ვეცდები, სუნთქვა, რომელიც
შენი წილია, გავახანგრძლივო.
როცა მზის ღობე ნაცრემლ ყაყაჩოს
მარგალიტებად გამონათდება,
იმ შემოდგომის მოსვლისთანავე
საკუთარ ფრთებსაც გავშლი აფრებად.
იქ წამოგიყვან, საცა ჯვრისწერა
ეს საოცნებო ჩვენი შედგება,
საცა სიცოცხლის რემისიები
ანგელოზებად მოგვეგებება.
მანამ ვეცდები, სუნთქვა, რომელიც
შენი წილია, გავახანგრძლივო,
არც გაზაფხულო, არც შემოდგომავ,
არც ბეღურავ და აღარც არწივო...
თოვლო, რომელმაც ჩემს საცხოვრებელ
მიწას ცისფერი ფერი არგუნე.
მანდ ოთხ კედელთა შუა ბობოქრობ,
აქ მწუხარებამ დაისადგურა.

გოლო მოგონებას

შენს ხელზე ვარდი ამოიშალა
და ყაყაჩოსფრად დაიწყო სუნთქვა,
ოჰ, საამდენო ვიში და სულთქმა
გუნებამ როგორ არ მოიშალა?!
სახლის კედელზე დუმს რენუარი,
საათს ისარი მარჯვნივ ეხრება,
უკვე ვიგემე შენი შეხება,
სახეს კი ვმატებ მეტ ფერუმარილს,
რომ მოგეწონო და მოწიწებით
თვალები თვალში შემომინათო
და მერე გულმა მზისფერ ინათოს,
ააყვავილოს ნაძვის წიწვები.
რომანტიკოსობს ცის ნატამალი,
სხივად დაღვრილი ჩემში ეშვება,
მართლა მშვიდი ვარ — რაღაც გეშლება,
მემეგობრება: შავი ტრამალი,
ქარიან დღენი, სცენა თეატრის,
ყაყაჩოები და ლეპორელო,
დანტე, სოფოკლე, დიდი ჰომერო
და მაინც გული შენზე შემნატრის.
დარდი დამყვება თითქოს აკვნიდან,
მაგრამ როცა ვწერ, ჩემში ნათება
ამონათდება, ამონათდება
და სხივად მიმზერს ტაძრის სარკმლიდან.
ქარის ხმა შენი — როგორც ალერსი
დაუმეგობრდნენ ჩემს ყრუად სმენას,
არ შემიძლია ამდენი თმენა,
ყოველდღე ვუმზერ დანას ალესილს
და მერე შენ გწერ, ჩემო სამებავ,
მოიდუმალო ვარ ვიცი შენთვის,
ალბათ სულერთიც — იქნებ არც მელი,
აი, ესაა ჩემთვის წამება.
ახლა როგორღაც ზურგს უკან მწარე
ხმა ისმის დიდი და შემზარავი,
ო, არ არსებობს ამის წამალი,
ეს ხომ ეროსი დემონობს მწვავედ!
დამწიფებულ გონს სწყურიხარ, ეროს,
ვფიქრობ, ვერავინ შეძლებს, ძვირფასო,
შენივე ყოფა რომ დაგიფასოს
და გვერდი, როგორც ზღვამ დაგიმშვენოს
(ჩემსავით)...
მხოლოდღა მენა, ჩაკარგულს მგელში,
ვინძლო გრძნობებით გავხელდე ახლა,
გადმოგეფარო საბნად და სახლად
სუსტ არსებაში დაღვრილი ლეში.
მომემატება სივარდისფერე,
მოიასამნედ გადავიქცევი,
მაგრამ შორს ხარ და სისხლად ვიქცევი,
როცა ვხედავ, რომ თავს შეიფერებ.
გეძახი ლექსით, რადგან აქ უფრო
მომემატება გამბედაობა,
ხანმოკლე არის ჩვენი რაობა,
აქ ხანგრძლივია ღმერთის საუფლო.
და ამ გრძნობებზე მეტად აყოლილს
ვფიქრობ, დრო არის სახლის კარებთან
ისევ მოხვიდე — ჩემთან და შენთან
გაისმას ხელზე კოცნის ამბორი.
მერე კი ვიგრძნო, შენი მკლავები
რომ ეხვევიან ჩემს მკლავებს ძლიერ,
დასცილდებიან წამებს მინიერს
და როგორც ღამე — გავინაბები.
კვლავ შენზე ფიქრში, ინის იანო,
მიმეძინება, როგორაც მორფევსს,
ერთ მონატრებას მეორე მოსდევს
და გთხოვ, რომ მთლად არ დააგვიანო.



თინათინ ხუტურიძე

წერტილის შემდეგ სხვა სახელი მოუხდებოდა

ნინი ელიაშვილის ლექსებზე საუბარი ადვილი არ არის. ძალიან რთულია, აღწერო, გაარჩიო თუ ძლიერებად და ნაკლებად ძლიერებად დაალაგო. ამ პროცესს ლექსის შეუდარებელი ქირურგის აწ განსვენებული დავით წერედიანის სკალპელი სჭირდება — მას შეეძლო თვალის და გონების ალესილი მახვილებით მოეხელთებინა და უზუსტესი დიაგნოზი დაესვა — გაეჭრა, დაეთვალიერებინა და შეეფასებინა ლექსის ჯანსაღი თუ არაჯანსაღი ორგანოები.

შევეცდები, მთელი გონებითა და გრძნობით, მეტ-ნაკლები სიზუსტით გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებები, რომელზეც არ შემეძლო, არ დამეწერა, რადგან ნინი ელიაშვილი თანამედროვე ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი უძლიერესი პოეტია და მისი ლექსები ნამდვილად იმსახურებს არა მხოლოდ ჩემი, როგორც რიგითი პოეტ-მკითხველის, არამედ ლიტერატურის კრიტიკოსების შეფასებას.

ნინის ლექსებს პირველად სოციალურ ქსელში გავეცანი და, რა თქმა უნდა, მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი პოეზია. მოგვიანებით კი მისი პოეტური კრებული — „სხვა სახელი მოუხდებოდა“ წავიკითხე. წავიკითხე მეტროში (ყოველ დღე მეტროთი ვმგზავრობ — ერთი ბოლოდან მეორეში გადავადგილდები) და იმდენად შემძრა ემოციურად, რომ ერთ-ერთ გაჩერებაზე ბაქანზე გამოვედი სული რომ მომეთქვა. ეს იყო არაჩვეულებრივი პოეზიისგან მიღებული შოკი, რომელმაც მთელი ჩემი გონის თუ სხეულის პარალიზება გამოიწვია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნინის ლექსები რთულია დაალაგო ძლიერებად და სუსტებად, რადგან ყველა ლექსი ღირებულია, როგორც პოეტური პროდუქტი — ის არ წერს მხოლოდ წერისთვის, არ იხარჯება მხოლოდ იმისთვის, რომ „ოფლი გამოიდინოს“, მე ვიტყოდი, რომ თითოეული ლექსი თუ სტრიქონი სისხლითაა დაწერილი და ავტორის სიცოცხლითაა აწონილი. მიუხედავად იმისა, რომ ნინის ლექსების უმრავლესობა რითმიანია, ყოველგვარი სტანდარტული ჩარჩოებისგან თავისუფალია და ეს სხვაგვარად შეუძლებელიცაა მისი პიროვნული ღირსებებიდან, შეხედულებებიდან გამომდინარე. წაკითხვისთანავე ხვდები, რა უმაღლესი ხარისხის გულწრფელობას ავლენს ავტორი და ქმნის ასეთივე უმაღლესი სინჯის ლექსს/ლექსებს — როგორც პოეტი, ადამიანი, მოქალაქე, მეგობარი თუ შეყვარებული...

ლექსი „ვინც ჩემში ცხოვრობს“ პოეტური შეფასების უმაღლეს რანგს განეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილი ღირსებებით:

თუ ვერცერთ ყულფში ვერ გაჰყავი თავი, ძმაკაცო,
თუკი ვერაფრით შეაგროვე იმ თოკის ფული,
წამო, წავიდეთ და ბოსტანში, როგორც სატაცურს,
როგორც ოხრახუშს, როგორც ნიორს,
როგორც მათ ხნულებს,
გიჩვენებ ჩემს გულს,
რომ მათსავით სუფთა მაქვს გული.
მე შემიძლია სიმყრალეში ხელი დაგტაცო,
თუკი დათრგუნავ თავის ყულფში გაყოფის სურვილს.
.....
მე, თითქოს ძალით მაყენებს და ტანსაცმელს მაცმევს,
ვიღაცა, ვისაც, რატომღაც კვლავ ვეიმედები.
შენ კარგად მიცნობ ჩემში ცხოვრობს კარღია კაცი,
თავისი დიდი საქმეებით, სენტიმენტებით,
ის მთელ სამყაროს ნათესავის საფლავში გაცვლის.
.....
ჯერ კი ადრეა, ჯერ ადრეა, ჯერ მუჭში ვყავარ,
ჯერ მხოლოდ ეჭვით ვიმზირები მიწიდან ცაში.
.....
ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორი ნაბიჭვრები ვართ,
როგორ მოვტაცეთ ლამაზ ქალებს
ლურჯი ზღაპრები.
ეს ყველაფერი კარგად ვიცი, ვიცი ზეპირად
და ის მაკვირვებს, რომ ვყვავილობ და
რომ არ ვლპები.
თავს კი არ ვიკლავთ,
ყოველ ღამე თავს ვაღებინებთ —
სხვები კი, სხვები რა მარტივად გვაიაფებენ
და ჩვენ კი ვუსმენთ,
სხვა გზა რა გვაქვს, ვუსმენთ დებილებს.

ამ ლექსის შემდეგ სტროფებში პოეტი მკაცრად და დაუნდობლად ამხელს უპირველესად საკუთარ თავს და ზოგადად პერსონა „პოეტს“ — ხალხისგან/მკითხველისგან „წმინდანად“, უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანად შერაცხილს — რომ ეს ასე არ არის. ცხოვრება მკაცრია და ულმობელი და ეს ულმობელი ხელი პოეტებსაც სხვებივით მარტივად მისწვდება. პირველი „მსხვერპლი“ კი თავადაა, — ის თან ეზიზღებათ და თან უყვართ, თან ეფერებიან და თან დაუნდობლად ექცევიან. პოეტი ამ დაუნდობლობაში სხვებს, რიგით ადამიანებს არ აწმენდს ხელებს და ზუსტად ეს გაორებაა ავტორისთვის თავზარდამცემი:

ხანდახან ისე გამკაცრდება ხოლმე ცხოვრება,
გინდა წახვიდე ვინმეს მონად, ვინმეს მსახურად
(გადახვევაა — მისი ხმა სულ მემახსოვრება.
მისი თვალები ცად მახურავს, ცებად მახურავს).
რატომ ვიქეცით სიყვარულში ნამდვილ ღორებად.
ეს პოეტები, ეს ღმერთები რამ გაგვაღორა.
რა მოვუხერხო ამ შეტევებს, ამ გაორებას.

წამოდი, წამო! თითებიც თუ ველარ მოვხარეთ
და ველარავის მოვეფერეთ რაღა აზრი აქვს.
ჩვენი ცხოვრება კი არადა ჩვენი დომხალი
მაინც რა თესლად ლამაზია, რა ლამაზია.
მე კი არ ვიშვი, ციდან მოვწყდი, თუ გადმომღვარეს
და რჩეულობა, მეგობარო, დასწრებაზეა.
რამდენს შრომობენ. რამდენს კლავენ.
რამდენს ოხრავენ.

მე კი სხვაგან ვარ. კარგად იცი, ახლა როგორ ვარ,
როგორიც ყველას ვეზიზღები და თან ვუნდივარ...

ავტორი ლექსებში ღიად საუბრობს თავის სისუსტეებზე, თითქოს სურს მკითხველს ფრთხილად გამოუტყდეს, რომ „არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის“, მაგრამ ის, რასაც ის სისუსტედ მიიჩნევს, ჩემი აზრით, მისი ყველაზე ძლიერი მხარეა და ამას თავისი გამორჩეული პოეტური ხერხებით არაერთგან ადასტურებს:

გადარჩებოდა ეს ოცნება ასე მეგონა
სხვა ოცნებებზე ოდნავადაც არ მიზრუნია
დღეს ჩემ ოთახში შენი კაბის ტკბილი სუნია
როგორ ავუხსნა ცუდადყოფნა ვფიქრობ მეგობარს
რომ ჩემი მოსვლა იყო დიდი გაუგებრობა
რომ რაც ამიხდა არაფერი არ მისურვია.
.....
ვოცნებობ ხოლმე ვოცნებობ და მუდამ ადრეა
ან მუდამ გვიან ოცნებებიც ველარ ვისწავლე
როგორ გართულდა ყველაფერი როგორ მარტივად
მიყვარდი შენ და ჩვენი ბინა და ორი ცალი
სუყველაფერი ორი ცალი ჭიქა ჯაგრისი
მხოლოდ ბალიში მქონდა ერთი
როგორც მარტომყოფს
„რა კარგი იყავ სიყვარულო“ რა უკარგესი
მერე სიგიჟე პოლიცია საავადმყოფო.

ერთის მხრივ პოეტისთვის თითქოს ბოლომდე შეცნობილ-გააზრებულია ამქვეყნიური იმედგაცრუებები ადამიანებისა თუ მოვლენების მიმართ, მეორეს მხრივ კი, ვერ ეგუება თავსდატეხილ უსამართლობებს და თითქოს ლექსებით ცდილობს, მოგვიყვეს, მოზიარე გაგვხადოს, ალბათ ეს ტკივილი ცოტათი მაინც რომ შეიმსუბუქოს:

აღარ გამოჩნდა არასოდეს ჩემი ცხრათვალა
მზე გული ისევ გამჭვირვალე წვიმით მევსება
ვგრძნობ ფეხაკრეფით მეპარება ცივი ზამთარი
რა უნდა გითხრან მეტი ჩემმა მკვდარმა ლექსებმა
მე ვისაც ვიწყებ დაუწყებლად ისე მამთავრებს
არც მღალატობს და არც სიტყვებით მეალერსება.

ამ შეგუება-ვერშეგუებას დაღს ასვამს ავტორის სინანული, რომელიც თავგანწირვამდე მისულ საკუთარ თავს მხოლოდ ასე ანუგეშებს:

აღარ ვსაუბრობ აღარ ვჩივი თავს არ ვიმართლებ
ყველა ოცნება აუხდენლად გამომელია
მე არაფერი გამაჩნია ბრალი იმათი
ვინც სამომავლო იმედებზე ისევ მღერიან
„ასი წელია ქალაქ-ქალაქ გეძებ თინათინ
და ეცემიან ქალაქები ასი წელია“.

ლექსი, რომელიც რითმას არღვევს, მაგრამ კალაპოტს არ ტოვებს, ტალღების ნაზი რხევით ცდილობს, მზერა მოგვტაცოს და მეტიც — თან გაგიყოლოს:

კუკარაჩა მოკლეს
კუკარაჩა მოკლეს
კუკარაჩა
და მისი ლურჯი თვალები
თითქოს ყველაფერი უკან დამრჩა
თითქოს ყველაფერს თავს ვანებებ
შენ ხომ არ გინახავს გაყოფილი
ჩემი გზა მტკვარი და არაგვი
და თითქოს ცაზე მზე არ ყოფილა
და თითქოს ცაზე მზე არა გვაქ
ტკივილზეც ვიცოდი ჩაცინება
ტკივილზეც სიცილი ვისწავლე
და ბასრი მზერების აცილებაც
ვისწავლე რომ მხოლოდ მიწაა...

იშვიათ პოეტს შეუძლია ნინი ელიაშვილის მსგავსად მოიხელთოს ისეთი უზუსტესი და უსათუთესი სიტყვები, რომლითაც სტრიქონებს ააგებს და ლექსად აქცევს სიყვარულსა თუ მეგობრობაზე, იმედგაცრუებასა თუ სინანულზე, სიცოცხლესა თუ სიკვდილის ახლოს ჩავლაზე. და ამ ყველაფერს ავტორი საოცარი ოსტატობით აკეთებს, — მის ვერც ერთ ლექსში ვერ ნახავთ გაცვეთილ ფრაზებს, ბანალურ გამოთქმებს, მეტაფორების ასლებს და სკა-



ბრეზსაც კი. არასდროს ერიდება აღიაროს დაცემა და დაცემის შემდგომი განცდების გადმოცემა, თავის თავის სარკეში დანახვა — რაც არ უნდა ძნელი და აუტანელი იყოს. ის არ გვპირდება არაფერ „კარგს“, მაგრამ პირდაპირ გვეუბნება, რასაც ხედავს და განიცდის. „არაფერი კარგი“ იმდენად კარგია ლიტერატურული გაგებით და ხარისხით, რომ შეიძლება ითქვას, ეს არის ავტორის ყველაზე ძლიერი მხარე. და ის ამ ყველაფერს ხედავს ზუსტად, შეულამაზებლად, განიცდის ძალიან გულწრფელად და გადმოსცემს არაჩვეულებრივად, როგორც პოეტი:

არც არაფერი არ ყოფილა არცა კარავი
არც ცეცხლი ცეცხლში არეკლილი ღმერთი კარავთან
და დამნაშავე რომ ჩემ გარდა თითქმის არავინ
არ იყო რომ ეს სიხარული დაპატარავდა

კი არა სევდად გადაიქცა უფრო დანდობის
ვიდრე გაწირვის ვიდრე ქარის ვიდრე ბრალდების
მთელი სიცოცხლე სიკვდილს ვანდომებ
მთელი სიკვდილი ვერ ვიბადები.
.....
როგორ ბედავენ როგორ რისკავენ
რომ ჩაანაცვლონ რაღაც ახალით

გზები რომლებიც უკვე დამთავრდნენ
გზები რომლებსაც ველარ შეცვლიან
იმ მკვდრებით ვცხოვრობ ვინც კი მართალთა
მხარეს იბრძოდნენ
ვინც ვერ იპოვა და სულ ეძია.

პოეტი თავისი ყოფით თითქოს ერიდება გარშემომყოფების შეწუხებას, ცდილობს, შეუმჩნეველი დარჩეს. როგორც თავად ამბობს ერთ-ერთ თავის ლექსში „სულ იყვავილოს და არ დალპეს“, მაგრამ ამ შეუმჩნევლობით, ვერახდენილი ოცნებებით, ვერდაბადებით, სიცოცხლეში სიკვდილის მოლოდინით უფრო შესამჩნევი ხდება მისი პოეტური ხმა, რომლის ექოც აზანზარებს გარშემო ყველაფერს, რასაც/ვისაც მისწვდება. სწორედ ეს ანიჭებს პოეტს, რომ იყოს ყველასგან გამორჩეული სიტყვის დიდოსტატი:

ვინ გამოვდექ და ვინ ისურვე
ბევრჯერ აღმდგარი ლეში მკვდრეთით
შემოგთავაზე კირის გული
და მარმარილოს ცივი მკერდი.

შენ ხომ იცი რომ მომისვრიან
ვძულვართ სიცოცხლემისჯილები
მერე დაჯდება კომისია
და ჩემს სევდაზე იმსჯელებენ.

ნინი ელიაშვილის პირველი პოეტური კრებული „წერტილის შემდეგ“, რომლითაც „ლიტერა 2020"-ის და წინანდლის პრემიის გამარჯვებული გახდა, მისი სადებიუტო ნაშრომია. ამ კრებულში ავტორის იგივე განცდებია გადმოცემული, რაც მეორეში, მაგრამ უფრო ნედლი და მძაფრი პოეტური სახეებით — თითქოს მთელი ძალით მოსჩქეფს სისხლი გადახსნილი არტერიიდან, მაგრამ ეს შვებას ჰგვრის, რადგან ადგილს უთავისუფლებს ახალ სისხლს, რომელიც ლექსებით კვებავს მის გულსა და გონებას.

აქ ავტორი უფრო მეტად განიცდის გაუცხოებას საზოგადოების, საყვარელი ადამიანის, მეგობრებისა და საკუთარი თავისგანაც კი და თავს იმხნევებს „უდროობაში მოგონილ მოგზაურობით“ , ვეშაპის მუცელში, ბნელ სინათლეში მჯდარი მადლობასაც კი იხდის ასეთი ყოფისთვის, რომელმაც სინამდვილისგან იხსნა, იმ მახინჯი სინამდვილისგან, რომელიც მას წალეკვით ემუქრებოდა:

ვიცი, რომ დღესაც გადამყლაპავ, შავო ვეშაპო.
მე აღარ მტკივა, თუმცა ცოტა დამრჩა შეშლამდე.
ვიბადებოდი და ამიტომ მეუცნაურა,
თორემ დღეს უკვე გვერდს სკვერივით
ვუვლი ეშაფოტს.
.....
ვიცი,რომ დღესაც გადამყლაპავ და მომათავსებ,
ბნელ სინათლეში, სადაც ვიგრძნობ ჩემს უქათქათესს
ოცნებას როგორ ეფინება შავი ლაქები
და მარცვლებივით რომ ხშირდება ფიქრის თავთავზე
ეჭვები. განა რამეა ან განა მაშინებს.
ყველა ჩაყლაპვით სინამდვილეს გადამარჩინე.
ვზივარ და გიცდი ამაღამაც. და ვიკარგები
ჩემს ყველასაგან მიტოვებულ მაღალ სახლშივე.

პოეტის ნებისმიერ ლექსში ჩანს მისი დაკვირვებული თვალი, ადრეული მეხსიერების საცავებიდან დღის სინათლეზე ამოტანილი უწვრილესი კენჭიც კი, რომელიც მისთვის ახლა უკვე გლობალურ მნიშვნელობას იძენს. ფართოდ თვალახელილი, იშვიათ პოეტურ ხერხებს იყენებს და უზუსტესად აფასებს:

აღარ დარჩება ცოტა ხანში აღარაფერი
ამ სურვილიდან. ამ ეჭვიდან. ამ ღიმილიდან.
მოვიმარაგე ყველაფერი რაც კი გაფრენას
დასჭირდებოდა, არ მოვსულვარ რადგან სარბენად
თუმცა არცერთი გამომივიდა.

ასეთი იყო ეს ამბავი, მე რომ გადამხდა.
დიდი ეჭვი მაქვს , შეიძლება ისევ გადამხდეს.
ვიღაც მომდევდა ბავშვობიდან მუდამ მხარდამხარ.
ყოველთვის რაღაც ზეციურის სურდა დანახვა
ის კი არ ჩანდა და რომ ვწყვეტდი მერე არტახებს...

არაერთ ლექსში სწუხს ავტორი თავის შემაწუხებელ ერთგულებაზე, რომელსაც უნიჭობას უწოდებს, რომელმაც გარშემომყოფები დააფრთხო, მაგრამ თან მშვიდადაა, რადგან მხოლოდ საკუთარი თავის გარშემო ბრუნავს და ნამდვილ სახეს არავის აჩვენებს, თითქოს რაღაც უხილავ, მაგრამ მტკიცე ჯავშანს იქსოვს და ეს ჯავშანი სხვა არაფერია, თუ არა ლექსები — პოეტური შედევრები, რომლებიც მისთვის ერთგვარ, ტყვიაგაუმტარ კანად იქცა:

შემაწუხებლად ერთგული ვარ. რასაც ვმალავდი,
ყველას სცოდნია. ვერ ავუბი მხარი მასკარადს.
ჩუმად მიყვარდა და მიყვარდა თურმე აშკარად.
შემაწუხებლად ერთგული ვარ, რადგან ღალატის
ნიჭი არა მაქვს. წასასვლელად რომ ააჩქარა
ყველა, სწორედ ეს უნიჭობა იყო. მანამდე
ვცდილობდი, თუმცა ვერ შევძელი, მათ ვერ გავანდე,
რომ მჭირდებოდნენ და დავმალე,
როგორც ლაჩარმა.

ნინის ლექსი „ჩემს გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემზე იცი“, აპოგეაა მის კრებულში (თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი აპოგეა მრავლადაა მის ლექსებს შორის) და თითქოს ყველა იმ სათქმელს უყრის თავს ერთად, რაც დანარჩენ ლექსებშია გაფანტული. აქვე უნდა აღინიშნოს ალიტერაციული პოეტური ხერხები, რომელსაც ავტორი მიმართავს და ლექსს საოცარ მუსიკალურობას და ემოციურ სიტკბოს ანიჭებს. ამ ლექსში, პოეტი გულწრფელობის ყველაზე მაღალ მწვერვალზეა ასული და გვახსენებს, რომ არ მოვტყუვდეთ, რადგან ის ჩვეულებრივი „ხორციელი“ ადამიანია და სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ სიყვარულიც და იმედიც, რადგან საკუთარ თავს თავადვე გაურბის, თვალს არიდებს და არ ეიმედება:

ჩემს გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემზე იცი.
არც მიფიქრია ამის მეტი რამე გცოდნოდა.
მე გავიქეცი სახლიდან და სამეგობროდან.
პირნათლად ვიხდი ამ გაქცევის
ტკივილს და სირცხვილს.
ჩემს გარეთაა ყველაფერი რაც ჩემზე იცი.

გადიან. მერე შემოდიან. ისევ გადიან.
ასე, წრიალში დღე კვდება და ღამე იხრება.
მწკრივში ჩამდგარი, რნევა-რწევით, როგორც იხვები,
ფიქრები ტბისკენ მიიწევენ. ისე ცხადია
კარი, — გადიან. შემოდიან. ისევ გადიან.
.....
მასში ჩაძირულს დამიფარა მზერა ხავსებმა.
ჯერ ცრუობს, თუმცა ეს დღეც წინას დაემსგავსება.
ჩემს გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემში გიყვარს.
ჩემს გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემში მოგწონს.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ხარისხის არსი მის გამძლეობაშია — დროში, სივრცეში და ადამიანთა გონებაში. ასეა პოეზიაც — ლექსი, რომელმაც პირველ წაკითხვაზე აღგაფრთოვანა და ათი-ოცი წლის შემდეგაც იგივე განცდას გიჩენს, მის ხარისხში უკვე ეჭვი აღარ გეპარება. მე დარწმუნებული ვარ, ნინი ელიაშვილის ლექსები ამ კატეგორიას მიეკუთვნება — ცეცხლგამძლე ყუთი, სადაც საგანძური საიმედოდაა დაცული და მრავალი წლის შემდეგ მის ხარისხს ვერავინ დაიწუნებს.

ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის კრიტიკოსებმა, ამ არაჩვეულებრივი პოეტის თითოეულ ლექსზე უნდა ისაუბრონ, როგორც თანამედროვე ქართული პოეზიის გამორჩეულ ხმაზე, რომელიც ასე ძლიერად ისმის და განსაკუთრებულ სახეებს ქმნის, იშვიათ ფერებს გვთავაზობს, როგორც სინტაქსურად ასევე მხატვრული და ჟანრობრივი თვალსაზრისით. ნინი ელიაშვილის პოეზია იმდენად მომხიბვლელია (და ეს მომხიბვლელობა არაა მხოლოდ გარეგნული ეფექტი, — ის მთლიანად შიგნიდან მოდის), რომ მისი სათავეები ღრმა ენობრივ შრეებში უნდა ვეძებოთ, ეს კი ალბათ იმის ბრალია, რომ ლექსებში სიცოცხლე ისეთი ძალით სჩქეფს, იძულებულს გხდის მასში იმოგზაურო, ან პირიქით — სამყაროს გარშემო გიშვებს სახეტიალოდ, მის შესაცნობად.

ნინი ელიაშვილის ლექსებიდან წამოსული მაგიური რეალიზმის უტეხ სხივებს გემოვნებიანი მკითხველი ვერსად გაექცევა. ის განუკურნებელ სენს ჰგავს, რომელიც რაღაც უცხო, მომაჯადოებელ ყვავილად გაშლილა და ამოუცნობი, გამაბრუებელი სურნელითა და ფერებით სამუდამო ხავსივით მოჰკიდებია ჩვენი ცნობიერების სქელ კედლებს.

მწერალი

ნატო დავითაშვილი

ნატო დავითაშვილს შეხვედრამდე ვიცნობდი — მგონი, უკვე 12 წელია, მესმის საუბრები მასზე, მის ლილეზე, მის ლომებზე, ნისლებზე, წასვლებსა და დაბრუნებებზე. მესმის ფანტასტიკური შეფასებები, ვხედავ ფანტასტიკის მოყვარულთა აღტაცებას და სხვა მკითხველის გაუბედავ ნაბიჯებს მისი წიგნებისკენ.

ბოლოს და ბოლოს შევხვდით. ოპერასთან პატარა მყუდრო კაფეში უნდა დავმსხდარიყავით, მაგრამ ის კაფე და მთელი დაღმართი ხარაჩოებში რომ დაგვხვდა, იქვე ოპერის ბაღში ჩამოვსხედით. ფენტეზის გამომგონებელთან ინტერვიუს ალბათ სწორედ ის ამინდი შეეფერება, იმ დღეს რომ იყო, ძლიერ ქარს თითქოს შორეული სამყაროებიდან მოჰქონდა ნატოს ხმა და დიქტოფონმაც ჯერ ქარი ჩაწერა და შემდეგ სიტყვები.

მოკლედ, ვიწყებთ ინტერვიუს მწერალთან, რომელმაც ბევრი კარგი წიგნი დაწერა.

— კარგად მახსოვს, დაახლოებით 10-12 წლის წინ „ლიტერატურული გაზეთისთვის“ ვამზადებდით ინტერვიუს გია ქარჩხაძესთან. ახალ გამოცემებსა და ავტორებზე ლაპარაკობდა. დიდხანს შეჩერდა თქვენზე. მაშინ პირველად გავიგონე თქვენი სახელი, თუმცაკი უკვე მეორე წიგნს ბეჭდავდით. და შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს გიამ აღმოგაჩინათ, როგორც ავტორი. ასე იყო? შეგიძლიათ გაიხსენოთ პირველი გამოცემები და თქვენი გამოჩენა?

— პირველი წიგნი „ამბავი ლილე ირელისა“ ჯორჯი ვაშატელის ფსევდონიმით დავწერე, მწერლობას არ ვაპირებდი, ფენტეზი მიყვარდა, მინდოდა, ამ ჟანრში ქართულ მითოლოგიაზე დაფუძნებული წიგნები შექმნილიყო. ძალიან ბევრ ადამიანს, მათ შორის მწერლებს, ფოლკლორისტებს, გავუზიარე კიდეც იდეა, შევთავაზე, ემუშავათ, ამ საქმეს თუ მიხედავთ, სიუჟეტების მოგონებაშიც კი დაგეხმარებით-მეთქი, მაგრამ ვერავინ დავაინტერესე. ბოლოს ვიფიქრე, ჩემი შვილი ხომ მაინც წაიკითხავს და პირველი წიგნი „სულაკაურის გამომცემლობაში“ მივიტანე. ჯერ თავი შეიკავეს — ერთობლივად ჟანრისა და მითოლოგიის გამოყენება ქართული ლიტერატურისთვის ახალი და უცხო იყო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათმა შვილმა წაიკითხა — იმ დროს მშობლები მგონი ლონდონის წიგნის ბაზრობაზე იყვნენ — და როცა დაბრუნდნენ, ჰკითხა, მეორე ნაწილი სად არის, საინტერესო წიგნიაო. ასე დაბეჭდეს. შემდეგ გია ქარჩხაძის ლიტერატურულ კონკურს „ოქროს ბუმბულში“ ვმონაწილეობდი, ანონიმურად უნდა გაგვეგზავნა ტექსტები, მეორე წიგნი გავგზავნე — „როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“ და გავიმარჯვე. ეჭვიც შეეპარათ, თარგმანი ხომ არ არისო, ქართული ლიტერატურისთვის იმდენად უჩვეულო ტექსტი იყო, მაგრამ მერე გაცხადდა, რომ წიგნი სწორედ მე დავწერე. ასე რომ, შეიძლება ითქვას, როგორც ავტორი ნატო დავითაშვილი გიამ აღმომაჩინა.

— საერთოდ, როგორ დაიწყეთ წერა? თუ არ ვცდები, კომაროველი ხართ და უმაღლესი განათლებაც ტექნიკური გაქვთ.

— დიახ, კომაროვი დავამთავრე, განათლებით გამოთვლითი ტექნიკის, პროგრამირების სპეციალისტი ვარ. ერთხანს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვასწავლიდი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ფენტეზის ვწერ, უფრო მეტად პრაქტიკოსი აღმოვჩნდი, სადაც პრაქტიკულად შემეძლო ჩემი ცოდნისა თუ უნარების გამოვლენა, მუშაობა იმ სფეროში ვარჩიე. კოსმოსური ხომალდები რამდენად გამოიყენებდნენ ჩემს სახეთა ამოცნობის უნიფიცირებულ პროგრამებს, ეს იმდენად წარმოუდგენელ მომავლად მივიჩნიე, რომ ბოლოს ვთქვი, დამანებეთ თავი, ეს საჩემო საქმე არ არის-მეთქი და გამომცემლობა „ოაზისი“ დავაარსე — ასე დავიწყე საგამომცემლო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება. ჩვენ უფრო მეტად სხვა გამომცემლობებს ვემსახურებოდით, ვიდრე საკუთარ წიგნებს ვბეჭდავდით. მარჯანიშვილის 5 ნომერში ვიყავით, გამომცემლობა „საქართველოს“ მეზობლად, ბატონი ვახტანგ ჯავახაძის წიგნებზეც მიმუშავია, წლები გავატარე მის გვერდით. ჩვენთან გაკეთდა ქართული ფულის ერთეულის, ლარის მონახაზი, პასპორტის მაკეტი, რომლის ავტორები ბაჩა და ნოდარ მალაზონიები იყვნენ, ჩვენთან მზადდებოდა მაშინდელი გაზეთების მესამედი, ლამის 24-საათიანი სამუშაო ციკლი გვქონდა, რუტინული, ფიზიკურად რთული. კომპიუტერული ტექნიკის შემსწავლელი სკოლაც გავხსენი. კომპიუტერული ტექნოლოგიების ცნობადობის ასამაღლებლად კი გაზეთ „კომპიუტერულ ოაზისს“ ვუშვებდით.

„

რეალობის გარღვევის შესაძლებლობა

“

— პირველი წიგნი რომ დაწერეთ, თქვენი გამომცემლობა ჯერ კიდევ არსებობდა?

— კი, როგორ არა.

— და მაინც არ დაბეჭდეთ იქ.

— არა, არავითარ შემთხვევაში. საკუთარ თავს არ უნდა დაუბეჭდო.

— „ამბავი ლილე ირელისა“ თქვენი პირველი ტექსტი იყო?

— პირველი ტექსტი იყო, თუ არ ჩავთვლით ბავშვობაში, 12-13 წლისა რომ ვყვებოდი ზღაპარს პატარა დინოზავრ დინდინელაზე, რომელიც შემდეგ გამოიცა კიდეც, მაგრამ ფორმატით, მასშტაბით, სამუშაოს მოცულობით ეს არ არის ის ტექსტი, რომელსაც პირველ წიგნად ჩავთვლიდი.

— „ლილეს“ დიდხანს წერდით?

— სამი წელი ვწერდი.

— არაერთი რეცენზია თუ კრიტიკული წერილი წავიკითხე თქვენი შემოქმედების შესახებ, ყველგან ლაპარაკია ინტერტექსტუალობაზე, ჰიპერტექსტუალობაზე, იმაზე, თუ როგორ საზრდოობს ტექსტი ქართული მითით, უფრო მეტად მთის მითოსით. თქვით, რომ ფენტეზი გიყვარდათ. და მითები? მითები ასე ღრმად თქვენი ნაწარმოებებისთვის შეისწავლეთ?

— ამისთვის შევისწავლე, ყოველდღე 5-6 საათი ვკითხულობდი, ვაკონსპექტებდი, ვეძებდი, ვიკვლევდი, ვწერდი... ძალიან ბევრი მქონდა წასაკითხი. ყველაფერი უნდა მცოდნოდა, უნდა გამეცოცხლებინა მითების სამყარო — რით იკვებებოდნენ, რა ეცვათ, რა იარაღით იბრძოდნენ, როგორ გამოიყურებოდნენ... მაგალითად, ოქრომჭედლობაზე რომ წერ და სევადას ახსენებ, დეტალების ცოდნაც გჭირდება, ხომ? ასევე გზები, მშენებლობა, გარემო. უამრავი სამუშაო მქონდა. ისტორიულ წყაროებსაც ვეცნობოდი, მხოლოდ ფოლკლორსა და მითოლოგიას კი არა. მაგალითად, ძველი კოლხების გარეგნობის აღწერას სტრაბონთან მივაგენი. ჩემი ნაცნობი ბუკინისტებიც იმ პერიოდში ძალიან მეხმარებოდნენ, სასწრაფოდ გამაგებინებდნენ ხოლმე — მგონი, საშენო წიგნიაო და მივვარდებოდი. თუ მჭირდებოდა, ვყიდულობდი ან ორი დღით წამოვიღებდი, ფინანსურადაც რთული იყო ყველა საჭირო წიგნის ყიდვა. კატალოგი გავაკეთე ჩემთვის — ყველაფერს ხომ ვერ დავიმახსოვრებდი და მივუთითე, საიდან რა მქონდა ამოწერილი, მივაკითხავდი ხოლმე, როცა დამჭირდებოდა.

ქართული ფენტეზისთვის ლექსიკის მორგებაც საფიქრელი მქონდა. ხანდახან თითო სიტყვაზე ძალიან დიდხანს მიფიქრია, ვერ მომირგია კონტექსტისთვის, შინაარსისთვის. ერთ მაგალითს გავიხსენებ: ღვთისშვილები მითოსური გმირები არიან, რომლებიც ბრძოლაში უნდა შევიდნენ, როგორ გგონიათ, კაცი რომ იარაღით შევარდება ბრძოლის ველზე, რაღაც ხომ უნდა დაიყვიროს? თანამედროვე ადამიანი ალბათ შეიგინებდა, ჩემი გმირი ღვთისშვილი პირქუში — ჯერ რა სახელი ჰქვია — კი ქაჯებს ებრძვის. ორი კვირა ვერ გავაგრძელე წერა. შემდეგ მოვიფიქრე: რაკი ქაჯები ბალნიანი არსებები იყვნენ, შერკინების წინ ღვთისშვილმა ასე დაუძახა: „თქვე დედაბალანგასატრუსებო!“

ახლა უკვე ისე ვარ, რომ სად მთავრდება მითი და სად იწყება ჩემი გამონაგონი, ხანდახან აღარც მახსოვს.

— იმ სამი წლის განმავლობაში, მითებსა და გამონაგონს შორის, ლილე როგორ გამოიძერწა?

— როცა ვწერდი, ჩემს შვილს ვუყვებოდი ერთ ყოჩაღ ბიჭზე, მისი სახელი, ლილე, დავაკავშირე მზესთან, სინათლესთან, გვარის შერჩევაში კი დამეხმარა სულხან-საბას „სიტყვის კონა“, რომლის კითხვაც, სიმართლე გითხრათ, რომანების კითხვას მერჩივნა. სწორედ „სიტყვის კონაში“ ვეძებდი იმ სიტყვებს, გამოგონილ სამყაროს რომ გააცოცხლებდა. ფენტეზის ხომ განსაკუთრებული ლექსიკა აქვს, ვერ დაწერ სიტყვას, რომელიც არ უხდება იმ სამყაროს, რომელიც უცხოა იმ ამბისთვის. და ლილემაც განსაკუთრებულად მოიხდინა გვარი, ირელი. ეს რომ გაირკვა, ამბების მოგონებას რაღა დაუდგებოდა წინ.

— მე კი ამბის გამოგონება ყველაზე რთული მგონია.

— ეგ ძალიან მარტივად გამომდის. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიუჟეტისთვის გარემოს მორგება, ლექსიკის ზუსტად მოძებნა, ენა, თხრობის სტილის შერჩევაა, ამაზე ყველაზე მეტს ვფიქრობ და ვმუშაობ. თანაც ყოველი ამბავი თავისებურ გადმოცემას მოითხოვს, ყურადღება უნდა მიაქციო წინადადებების წყობას, ჟღერადობას... აბსოლუტურად სხვა სამუშაოა. წიგნის პირველ გვერდებს უამრავჯერ ვკითხულობ, თხრობის რიტმი, სტილი რომ გავითავისო. და ამ ყველაფერთან შედარებით, სიუჟეტის გამოგონება ძალიან ადვილი მეჩვენება.

— მათემატიკური აზროვნება და ზუსტი მეცნიერებების ცოდნა ვისაც აქვს, თითქოს სხვა ტიპის ავტორია, სხვანაირად წერს. თქვენ ასე არ ფიქრობთ? და საინტერესოა, თუ გეხმარებათ მწერლობაში თქვენი ტექნიკური განათლება?

— ძალიან ბევრი თანამედროვე ავტორი ტექსტის შიდა სტრუქტურებს არ აღიარებს, უგულებელყოფს, მე კი ამის გარეშე ვერ და არ ვწერ. როგორც კომპიუტერულ პროგრამას სჭირდება ბლოკსქემა, ისე — ტექსტს. აუცილებლად უნდა გავიაზრო რას და როგორ დავწერ, უნდა ვიცოდე ტექსტის დასაწყისი და ფინალი, ვხედავდე იმ უბნებს, სადაც სიუჟეტურმა ხაზმა უნდა გაიაროს, ვიცოდე რიტმი, რომლითაც უნდა გაიაროს, ვხვდებოდე, სხვადასხვა სიუჟეტური ხატი როგორ და როდის უნდა შეეჯახოს ერთმანეთს, ანუ როგორი ფორმა ექნება ჩემს ტექსტს — ნაწნავის თუ ყვავილის? თუ პარალელური ამბები უნდა მოვყვე? მთელ ამ კონსტრუქციას წინდაწინ ვხედავ და ეს ძალიან მეხმარება. და როდესაც სხვის ნაწარმოებს ვკითხულობ, თუკი მასშიც ამოვიცნობ წინასწარ განსაზღვრულ სქემას, თუნდაც ქაოსი იყოს სიუჟეტში, მაშინვე ვხვდები, რომ სწორედ ქაოსია წიგნის სტრუქტურა.

— და ამის საფუძველი მათემატიკური აზროვნებაა?

— დიახ, ალბათ ასეა. გრაფიკს რომ აგებ, თითქოს მშრალია, მხოლოდ ხაზოვანია, ხომ? მაგრამ რანაირად არის მშრალი, როცა დედამიწაც კონკრეტულ ტრაექტორიაზე მოძრაობს, სამყაროსაც თავისი მოძრაობა აქვს, უჯრედს — თავისი აგებულება, აღნაგობა... ალბათ ტექსტიც ასეა და ეს უნდა ჩანდეს მასში. ხშირად ექსპერიმენტიც ჩამიტარებია — მინდოდა, მომეყოლა ორი ამბავი, რომელიც ერთსა და იმავე თემაზეა, მაგრამ ერთმანეთთან არ იკვეთება, გმირები ერთმანეთს არ ხვდებიან, თუმცა მკითხველისთვის აშკარაა ავტორის ჩანაფიქრი.

მართალია, ფენტეზის ცოტა ალმაცერად უყურებენ, მაგრამ საწერად უდიდესი ლოგიკა გჭირდება, უდიდესი პასუხისმგებლობა გმართებს, მით უმეტეს მითოსს თუ იყენებ. ვიღაცამ დაწერა, ჟონგლიორობს მითებითო. ვიფიქრე, მთლად ურიგო სპეციალისტი არ ვყოფილვარ, ჟონგლიორობა თუ შემიძლია-მეთქი. ცხადია, ვხუმრობ, ფოლკლორისტი არ ვარ, კლასიკური თვალსაზრისით ლექციებს მითოლოგიაზე არ ჩავატარებ, მე მხოლოდ იმას ვყვები, თუ

როგორ ვხედავ მითებს, გაბნეულ თქმულებებს ერთ სამყაროში ვაქცევ, ერთმანეთთან ვაკავშირებ, რაც მოყოლილია, იმას ვაცოცხლებ და რაზეც დუმან მითები, იმას ვიგონებ. ეს არის ჩემი წიგნები.

— როგორია კარგი ფენტეზი?

— ფენტეზი კარგია, როდესაც ვერ ხვდები, რომ გამოგონილ სამყაროზე კითხულობ, კარგია, როცა ნაამბობი ლოგიკურად არის შეკრული და შენც იმდენად ბუნებრივად ხდები მისი ნაწილი, რომ ფანტაზია რეალობა გგონია. იმ სამყაროსთვის ლოგიკა მთავარია, მას თავისი წესები აქვს. როდესაც ამხელა წიგნს წერ, ისე უნდა განავითარო სიუჟეტი, რომ კონტექსტიდან არაფერი იყოს ამოვარდნილი, ყველაფერი ერთმანეთს ლოგიკურად, ჯაჭვივით ებმოდეს. ფენტეზიში ზღაპარი არ უნდა შეერიოს. და, რა თქმა უნდა, ამბავი, ამბავი, ამბავი! ფენტეზი კარგი ამბის გარეშე არაფერია.

— რამხელა შემოქმედებითი ენერგია სჭირდება ალბათ მწერალს, რომ ერთი გმირის ცხოვრება ისე განავითაროს, წიგნიდან წიგნში ჰყვებოდეს, თანაც მკითხველს კი არ გაუნელდეს ინტერესი მის მიმართ, არამედ გაუცხოველდეს. „იროელთა ქრონიკები“ შვიდი წიგნია, შვიდივე ლამის ზეპირად იცის თქვენმა მკითხველმა.

— ფენტეზის განსაკუთრებული მკითხველი ჰყავს. მაგალითად „იროელთა ქრონიკების“ ახალი წიგნი რომ გამოდიოდა, ახალს კი არ კითხულობდნენ — ძალიან ბევრია ასეთი — პირველი წიგნიდან იწყებდნენ და ასე მიდიოდნენ ბოლო გამოცემამდე. ამიტომ ექვსჯერ, შვიდჯერ აქვთ წაკითხული მთელი სერია, წარმოიდგინეთ. „ლილეს“ ერთ-ერთი ასეთი მკითხველი სამხედროა, ავღანეთში არაერთი მისიით ნამყოფი, იქ რომ მიდიოდა, თითქოს თილისმად „ლილე“ მიჰქონდა და მის ჯარისკაცებსაც უკითხავდა, ყველანი ცოცხლები და უვნებლები ვბრუნდებოდითო. ასეთი მკითხველი განძია. პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ თითქმის ყველა მკითხველს ვიცნობდი, ახლა ძალიან გაფართოვდა წრე.

— „იროელთა“ ციკლი დაამთავრეთ?

— დავამთავრე. ბოლოს დავწერე ამ ამბის დასაწყისი. „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ რომ მაქვს ნახსენები, აი, ის ნისლები საიდან მოვიდნენ, ამაზეა წიგნი. ასეც ჰქვია — „გრძელი ამბავი ნისლთა მოსვლისა“. იქ ვყვები, განვმარტავ, რა რატომ ხდება წინა თხზულებებში. ჩვენი მითოლოგიის წინარეისტორიის მოგონებაც ვცადე, მაგალითად, ქაჯებს და დევებს რომ ვახსენებთ მითებში, საიდან მოვიდნენ ისინი? ახალი ფენტეზური რასების შექმნაც ვცადე. ჩემთვის ამ წიგნის წერა ძალიან საინტერესო პროცესი გამოდგა.

ზოგადად, ყველა ჩემი წიგნი იმაზეა, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი ძალაუფლებისთვის. ლილე კი იმიტომ არის ჩემთვის საინტერესო, რომ მისთვის ეს არ არის მთავარი, არ ეძებს ამას. ჩემი ერთ-ერთი ბოლო წიგნიც, „მთავრის შვილობილები“ სწორედ ამაზეა: ადამიანისა და ძალაუფლების ურთიერთდამოკიდებულების კვლევაა.

— „მთავრის შვილობილები“ ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებია, თუმცა შემდეგ სამეცნიერო ფენტეზითაც დაინტერესდით და „ორსის ორდენის სამხეცე“ დაწერეთ.

— დიახ, ვიფიქრე, სამეცნიერო ფანტასტიკას თუ გავუმკლავდები-მეთქი და დავწერე კრებული, რომელსაც „პეპლის მტვერი“ ჰქვია და 2020 წლის საბას „შორტ ლისტშიც“ კი მოხვდა.

— სამეცნიერო ფანტასტიკა და ფენტეზი რამდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან? სამუშაოს სირთულეს ვგულისხმობ.

— ფანტასტიკის ნაწილია ორივე, ოღონდ სამეცნიერო ფანტასტიკაში ტექნოლოგიური მიმართულებები უნდა გამოიყენო, ტექნიკური კავშირები და მიზეზშედეგობრივი მხარე უნდა აჩვენო. ფენტეზიში ეს არ მოგეთხოვება, იქ ფსევდოკავშირებს აგებ და იქაურ წესებსა და კანონებს თავად იგონებ. სამეცნიერო ფანტასტიკა კი ტექნოლოგიურ ცოდნას მოითხოვს, ამიტომ ამ ჟანრში ძალიან ცოტა მუშაობს საქართველოში. პირადად ჩემთვის, ამ ეტაპზე სამეცნიერო ფანტასტიკის წერა უფრო რთული მეჩვენება, რადგან შესაბამისი ცოდნის დასაგროვებლად უფრო მეტ დროს მოითხოვს. დაგროვების შემდეგ ორივე ჟანრი თანაბარი სირთულის ხდება.

— ესე იგი, რთული საწერია.

— რა თქმა უნდა, რთულია. მინდოდა, ორი ხომალდის შეპირისპირება მომხდარიყო და მოთხრობის სამიოდე გვერდის დასაწერად, რამდენიმე კვირა ვკითხულობდი სპეციალურ ლიტერატურას, რათა მცოდნოდა, რა ტიპის ხომალდები არსებობს, რამდენნაირი თანამგზავრია, რა ნაწილებისგან შედგება, რა ფუნქციები აქვს. რომ იტყვი, რაღაც გაფუჭდაო, ხომ უნდა თქვა, რა გაფუჭდა კონკრეტულად?

„ორსის ორდენის სამხეცეზე“ რომ ვმუშაობდი, მინდოდა, თანამედროვე ფიზიკის კანონებით დამეწერა და კვანტური ფიზიკიდან ტექსტში რაღაც შევიტანე, თუმცა მთლიანობაში ნაწარმოები ფიზიკისგან შორს არის, მხოლოდ იდეაა შავი ხვრელის, დროის ცვლილების. ამაზე ავაგე, მოდელს მოვარგე.

— შეგცვალათ ამ ჟანრმა?

— კი არ შემცვალა, თავი გამართობინა, გონება დამაკავებინა, ცხოვრება საინტერესო გამიხადა. ვერ წარმომიდგენია, მთელი ის პერიოდი სხვა რაღაც მეკეთებინა.

— თქვენ თვითონ რომელი ავტორის მკითხველი ხართ?

— ბევრი კარგი წიგნი გადაითარგმნა ბოლო ხანებში. ადრე ქართულად არ ვკითხულობდი იმიტომ, რომ თარგმანები არ არსებობდა. ჰერბერტი მიყვარს და, სხვათა შორის, ითარგმნა ქართულად მისი „დიუნი“. სამეცნიერო ფანტასტიკის მკითხველი მზად უნდა იყოს ცოდნით. ალბათ ქართველებს ტექნიკური მიმართულებები ნაკლებად გვიტაცებს, ამიტომაც სამეცნიერო ფანტასტიკის მოყვარული მკითხველი შედარებით ნაკლებად გვყავს.

— სხვადასხვა გამომცემელთან იბეჭდებით — „სულაკაური“, „ქარჩხაძე“, „წიგნები ბათუმში“, „საუნჯე“ და ასე შემდეგ. ახლა „ინტელექტი“ თავიდან ბეჭდავს ყველაფერს. ერთი გამომცემელი რატომ არ გყავთ?

— თავდაპირველად „ლილე“ რომ გამოიცა, გამომცემლობაში მითხრეს, ჩვენში ფენტეზი პოპულარული ჟანრი არ არის და მეორე წიგნს ალბათ მკითხველი არ ეყოლებაო. მეორე წიგნი, როგორც გითხარით, ქარჩხაძის გამომცემლობამ გამოსცა, მაგრამ როცა მასთან „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ მივიტანე, თავი შეიკავეს, ავდექი და სხვასთან წავიღე, ეს არ ნიშნავს, რომ გია ქარჩხაძესთან თანამშრომლობა გავწყვიტე, მომდევნო წიგნები ისევ მან დამიბეჭდა, მაგრამ შემდეგ საქმე გაჭიანურდა, ახალი ტექსტი 2-3 წელი არ გამოიცა, არადა, ციკლი გრძელდებოდა, მკითხველი ელოდებოდა, შეტევაზეც კი გადმოდიოდნენ, ბოლოს ის წიგნი „ბათუმელებთან“ გამოვეცი. განა ვინმეზე ნაწყენი ვარ, ყველას პატივს ვცემ, დიდად ვემადლიერები, ბევრი რამ მომცეს, ბევრი გააკეთეს ჩემი წიგნებისთვის, მაგრამ მაინც მათი მიმართულების ავტორი არა ვარ, აქ რომ იყოს გამომცემლობა, რომლისთვისაც ფენტეზი იქნება პრიორიტეტული ჟანრი, მაშინ მუდმივად მასთან ვიმუშავებდი. სამწუხაროდ ასე არ არის.

— ახლა ხომ სკოლაში ასწავლით?

— ახლა „ნიუტონში“ ვარ და ბავშვებს ქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორზე დაფუძნებულ შემოქმედებით წერას ვასწავლი.

— ვფიქრობდი, პროგრამირების ან მათემატიკის პედაგოგი იქნებოდით.

— მეც იმავეს ვფიქრობდი, როცა მუშაობა შემომთავაზეს, მაგრამ მითხრეს, რასაც წერ, ის ასწავლეო. მეც სილაბუსები, პროგრამა მოვამზადე და დავიწყეთ.

— უკუკავშირი როგორი გაქვთ, რამდენად საგრძნობია?

— არაჩვეულებრივი ბავშვები არიან. უკუკავშირი რომ არ მქონდეს, არ ვიცი, ვერ ვიმუშავებდი ალბათ. ისეთ რაღაცებს მიწერენ, ისეთ იდეებს მაწვდიან, მეუბნებიან, ჩვენ ამას ვერასდროს დავწერთ და იქნებ თქვენ გამოიყენოთო. ძალიან ბევრი რამ გადამატანინეს, ბევრ რამეში დამეხმარნენ, პირადი პრობლემის, ჯანმრთელობის პრობლემის გადალახვაში. არც იცოდნენ არაფერი, შევდიოდი, ვატარებდი გაკვეთილებს... რომ არ მყოლოდნენ, ძალიან გამიჭირდებოდა. მათთან ყველაფერი მავიწყდებოდა. დღეში 6-7 საათი რომ გავიწყდება საფიქრალი, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. ყოველწლიურად დაახლოებით 300 მოსწავლე მყავს, განა ცოტანი არიან, მაგრამ კერძო სკოლის გარეთაც რომ შეიძლებოდეს ამ საგნის სწავლება, ძალიან გამიხარდებოდა.

— ახლა რაზე მუშაობთ და რა გეგმები გაქვთ?

— როგორც გითხარით, პანდემიის პერიოდში დავამთავრე დიდი წიგნი, „გრძელი ამბავი ნისლთა მოსვლისა“, 700 გვერდზე მეტია — მთელი იმ წლების ნაწერის, ნაკვლევის, გამოგონილის და ნაფიქრის შეჯამებაა. ის „ინტელექტმა“ გამოსცა. წიგნზე მუშაობა დიდი გონებრივი და ფიზიკური დატვირთვა იყო ჩემთვის, თანაც პანდემიის ფონზე. ჩავთვალე, რომ დასვენება მჭირდებოდა. ზოგჯერ ვამბობ, აღარ დავწერ-მეთქი, მაგრამ რვეული მაქვს საინტერესო სიუჟეტებით და მათი მიტოვება მენანება. ამასთან, 12 წელიწადია, სკოლაში ვთხზავ და ვუყვები ბავშვებს ზღაპრებსაც, რომლებიც არ ჩამიწერია. ახლა გადავწყვიტე, დავწერო და წიგნად გამოვცე. მაგალითად, მითოლოგიურ გმირს რომ ვაცნობ, პერსონაჟზე რომ ვილაპარაკებ, ვეუბნები, ეს მითია, მოდი ახლა ცოტა ჩვენც მოვიგონოთ-მეთქი, ისინი თავის შეთხზულს მიყვებიან, მე ჩემსას მოვუთხრობ... სწორედ იმ ამბების დაწერა მინდა, ორი უკვე მზად მაქვს „ინტელექტისთვის“ და ახლა ცოტა დიდ ზღაპარს ვწერ და მკითხველთან უკუკავშირის მიზნით, მათაც თანაავტორებად ვხდი. მკითხველის გარეშე ეს წიგნი ვერ იარსებებს. აი, ეს მაქვს გეგმაში.

— მინდა, შეგახსენოთ ტერი პრეტჩერის სიტყვები, სწორედ თქვენგან რომ მოვისმინე: „ფენტეზი წარმოადგენს პლაზმას, სადაც სხვადასხვა რამის გადატანა შეგიძლია, ის გეტო არ არის. ფენტეზი დაახლოებით არის ზღვა, სადაც სხვა ფორმებს შეუძლიათ შეცურონ“. ასეა?

— ტერი პრეტჩეტი ის ავტორია, ფენტეზის შეფასება რომ არ შეეშლება. რისი თქმაც არ უნდა მინდოდეს, მხოლოდ ფანტასტიკის ჟანრი უხდება. სამყარო, სადაც სიუჟეტი უნდა განვითარდეს, მოითხოვს ჩვენი რეალობისგან განსხვავებულ რეალობას, სხვა შესაძლებლობების, ფერების, განსხვავებული მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკის, და ასე შემდეგ, დამატებას. ბევრი მკითხველისთვის, ლიტერატურის კარგი მცოდნეებისთვისაც კი, განსხვავებულობა ისეთი მკვეთრი ფერებისაა, მათზე ისე დომინანტურად მოქმედებს, იბნევიან, სამყაროს ნაწილად ვერ მოიაზრებენ და მათ მიღმა ნაწარმოების ვერც ლიტერატურულ ღირებულებას ამჩნევენ, ვერც სათქმელსა და ვერც თხრობის სტილს. უფრო მეტიც, ფანტასტიკას — ფენტეზის, საიფაის — არ კითხულობენ. იმის გააზრებასაც კი გაურბიან, რომ რეალობის გარღვევა და ამ რეალობით შემოსაზღვრული კედლების მიღმა გადახედვა მოუწევთ. ჩვენთან ეს განსაკუთრებულად მკაფიოდ ჩანს. არადა, თუ გვინდა მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ნაწილი ვიყოთ, ჟანრული პროზა მეტად სერიოზულად უნდა მივიღოთ. პირადად რეალობის გარღვევის შესაძლებლობა უფრო მიტაცებს და საინტერესოდ მეჩვენება.

ესაუბრა თამარ ჟურული

ნესტან ეგეტაშვილი

ელაიდა

დასასრული

მერე პასპორტების კონტროლის რიგში იდგა, ცოტა ხანს თავის ჩემოდანს ელოდებოდა, გასვლამდე თმაზე ხელი გადაისვა, ნეტავ სარკეში მაინც ჩამეხედაო, გაიფიქრა და კარიც მის მიახლოებისთანავე გაიხსნა. უამრავ სახეს შორის თვალებით თავის ბიჭებს ეძებდა, შორიდან მაღალი კაცის ზურგს მოჰკრა თვალი, რატომღაც ქმარს მიამსგავსა, რომ შემოტრიალდა თავის თავზე მაშინღა გაეღიმა, საიქიოდან ხომ არ გამოუშვებდნენ ჩემს დასახვედრადო. მერე იქვე ავტობუსის ბილეთი იყიდა, კარგია რომ არ დამხვდნენ, ამხელა გზაზე რამე ხიფათს არ გადაჰყროდნენო, ამოიჩურჩულა და ავტობუსისკენ წავიდა.

აეროპორტის შენობიდან როგორც კი გავიდა, სახეში საშინელი ქარი ეცა, მერე კი კართან ჩამწკრივებული უპატრონო ძაღლები კუდის ქიცინით შემოეხვივნენ. ჩაიმუხლა და გაძვალტყავებული, ბეწვში ბირკებასხმული ნაგაზი გულში ჩაიკრა. გაახსენდა, მზიას რომ აცინებდა, ჩავალ თუ არა, სამშობლოს მიწას ვემთხვევიო. მიწას ვერა, მაგრამ ჭკვიანთვალება ნაგაზს კი კოცნიდა. მერე ჩანთიდან სახლიდან წამოღებული, ხელუხლებელი საგზალი ამოიღო და ძაღლებს გაუნაწილა. ავტობუსში მოკალათდა და მაშინღა შეამჩნია, შავ პალტოზე ძაღლის ბეწვები რომ ჰქონდა აკრული. ავტობუსიდან ისევ ჩავიდა და პალტო გულდასმით გაისუფთავა. სავარძელზე ხელახლა დაჯდა და ინტერნეტი ჩართო. დიდხანს იფიქრა, დაერეკა თუ არა ბიჭებთან, ღამის ორი საათი ხდებოდა და არ გავაღვიძოო, ერიდებოდა. ბოლოს ორივეს მისწერა. მალევე გადმოურეკა ჯერ ერთმა, მერე — მეორემ. ერთს ნამძინარევი ხმა ჰქონდა, მეორე სუფრიდან ურეკავდა, თითქმის ყვიროდა, რომ მეგობრების ხმა როგორმე გადაეფარა. ელაიდამ მძღოლს დაწვრილებით გამოჰკითხა, ავტობუსი რამდენ ხანში ჩავიდოდა მის ქალაქში, ბოლო გაჩერება სად ჰქონდა და ყველაფერი ბიჭებს მოახსენა. ხუთ საათზე მანდ ვიქნებითო, დაჰპირდა ორივე და მგზავრობით გატანჯულმა ელაიდამაც მშვიდად ჩაიძინა.

მთელი გზა საშინელი ქარი ქროდა, ციოდა. მშობლიურ ქალაქს რომ მიუახლოვდა, ქარი ჩადგა და წვიმა წამოვიდა. საათს დახედა, ხუთი ხდებოდა, მაგრამ გარშემო ისევ წყვდიადი იდგა. ავტობუსი რომ გაჩერდა, ელაიდამ თმა ხელით შეისწორა და ფანჯრის მინაში არეკლილ საკუთარ თავს თვალი შეავლო. მერე პალტოზე შერჩენილი ნაგაზის ბეწვები ჩამოიფერთხა, სავარძლის ქვეშიდან დიდი ჩანთა გამოიღო, მძღოლს გამოემშვიდობა და დანარჩენ მგზავრებთან ერთად ავტობუსიდან ჩავიდა. იქვე რამდენიმე კაცი იდგა, მაგრამ თავისი ბიჭები ვერ დაინახა. მერე მანქანები მოათვალიერა — ავტობუსთან მხოლოდ რამდენიმე ტაქსი ჩამომდგარიყო. საბარგულიდან უზარმაზარი ჩემოდანი გადმოათრია და იქვე შორიახლოს დადგა. მგზავრები ნელ-ნელა გაიფანტნენ, წვიმდა და ჩქარობდნენ. მალე ცარიელი ავტობუსიც დაიძრა, იქვე ჩამომდგარი ტაქსებიც მგზავრებით გაივსო და სიბნელეში გაუჩინარდა. ელაიდა მარტო დარჩა. ღია ცის ქვეშ იდგა, სახეზე აწვიმდა, თავის ჩაბნელებულ ქალაქს გასცქეროდა, მაგრამ ვეღარაფერს ცნობდა, ყველაფერი თან ნაცნობი და თან უცხო ეჩვენებოდა. ან თვითონ იყო უკვე უცხო. აღარ იცოდა, რა ექნა, საით წასულიყო, თავის სახლისკენ მიმავალი გზაც თითქოს დავიწყებოდა. რატომღაც თავისი ანცი ტყუპები გაახსენდა, ფეხების ბრახუნით რომ არბოდნენ და ჩამორბოდნენ ხის კიბეზე. მერე თითქოს რაღაც აკლიაო, ჯერ თავის ჩემოდანს დახედა, მერე ხელით მხარზე გადაკიდებული მოზრდილი ჩანთა შეამოწმა. მქონდა კიდევ რამეო, თავს ჰკითხა და ვარდისფერი პიონების ყუთი გაახსენდა. ავტობუსი სადაც იდგა, იქით გაქანდა, მაგრამ კაი ხნის წასული იყო. აეროპორტში დამრჩებოდაო, გული დასწყდა, თავი ვეღარ შეიკავა და ატირდა. იდგა და ტიროდა. ცრემლები და წვიმის წვეთები სახეზე ერთად ჩამოსდიოდა...

როალდ დალი

გენეზისი და კატასტროფა: ნამდვილი ამბავი

— ყველაფერი კარგადაა, — თქვა ექიმმა, — იწექით და მოდუნდით, — მისი ხმა შორიდან მოისმოდა და გეგონებოდათ, ქალს უყვირისო, — ვაჟი შეგეძინათ!

— რა?

— მშვენიერი ვაჟი შეგეძინათ. გესმით, ხომ? მშვენიერი ვაჟი. გაიგონეთ, როგორ ტიროდა?

— ექიმო, ხომ კარგადაა?

— რა თქმა უნდა, კარგად არის.

— გთხოვთ, ნება მომეცით, ვნახო.

— ცოტა ხანში ნახავთ.

— დარწმუნებული ხართ, რომ არაფერი აწუხებს?

— სავსებით დარწმუნებული ვარ.

— კვლავ ტირის?

— შეეცადეთ, დაისვენოთ. სანერვიულო არაფერია.

— ექიმო, რატომ შეწყვიტა ტირილი? რა მოხდა?

— ნუ აღელდებით, გთხოვთ. ყველაფერი რიგზეა.

— მისი ნახვა მინდა. გევედრებით, მაჩვენეთ.

— ძვირფასო ქალბატონო, — თქვა ექიმმა და ხელზე მოუთათუნა, — მშვენიერი, ძლიერი, ჯანმრთელი ბავშვი შეგეძინათ. ნუთუ არ გჯერათ, რასაც გეუბნებით?

— ის ქალი ბავშვს რას უშვრება?

— თქვენი ვაჟი კოხტად უნდა გამოიყურებოდეს. ახლა მას დაბანენ, სულ ესაა და ეს. რამდენიმე წუთი უნდა გვადროოთ.

— შეგიძლიათ, დაიფიცოთ, რომ ჯანმრთელია?

— ვფიცავ. ახლა დაწექით და დაისვენეთ. თვალები დახუჭეთ. მიდით, თვალები დახუჭეთ... აი, ასე, ასე უკეთესია. ყოჩაღი გოგო...

— ექიმო, ვლოცულობდი, ისე ძლიერ ვლოცულობდი მისი სიცოცხლისთვის...

— რასაკვირველია, იცოცხლებს. რას ამბობთ, რატომ არ უნდა იცოცხლოს?

— სხვებმა ვერ...

— უკაცრავად?

— ჩემი სხვა შვილები დაიღუპნენ, ექიმო...

ექიმი საწოლთან იდგა და ახალგაზრდა ქალის ფერმკრთალ, გადაღლილ სახეს დაჰყურებდა. იმ დღეს ეს ქალი პირველად ნახა. ქალი და მისი ქმარი ქალაქში ახალი გადმოსულები იყვნენ. სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, რომელიც მშობიარობაში დასახმარებლად ამოსულიყო, ექიმს მოახსენა, რომ ახალგაზრდა ქალის ქმარი ადგილობრივ სასაზღვრო საბაჟოზე მუშაობდა. ეს წყვილი სამი თვის წინათ მეტად მოულოდნელად გადმოსახლდა — სკივრისა და ჩემოდნის ამარა. კაცი, სასტუმროს მეპატრონის ცოლის თქმით, ლოთი იყო, ერთი ქედმაღალი, დესპოტი, მოძალადე ლოთი, ახალგაზრდა ქალბატონი კი სათნო და მორწმუნე გახლდათ, მუდამ დანაღვლიანებული. არასდროს გაუღიმია. ამ რამდენიმე კვირის მანძილზე სასტუმროს მეპატრონის ცოლს მის სახეზე ერთხელაც არ შეუნიშნავს ღიმილის რაიმე ნიშანწყალი. ჭორიც დადიოდა, რომ ქმრისთვის ეს მესამე ქორწინება გახლდათ, პირველი ცოლი გარდაცვლილა და მეორე კი, მეუღლეს რაღაც უსიამოვნო მიზეზთა გამო გაჰყრია. თუმცა, ეს მხოლოდ ჭორი იყო.

ექიმი დაიხარა და ქალს ზეწარი გულმკერდამდე წამოაფარა.

— არაფერი გაქვთ სანერვიულო, — თავაზიანად თქვა ექიმმა, — სრულიად ჯანმრთელი ბავშვი გყავთ.

— ექიმო, ზუსტად იგივე მითხრეს სხვებზეც, მაგრამ ყველა მათგანი დამეღუპა. ბოლო თვრამეტი თვის განმავლობაში სამივე შვილი დავკარგე, ამიტომ ზედმეტადაც ნუ განსჯით ჩემს შფოთვას.

— სამი?

— ეს მეოთხეა... ოთხ წელიწადში.

ექიმმა უფარდაგო იატაკს უხერხულად მოაშორა ერთი ფეხი და მეორეზე გადაიდო.

— ექიმო, ალბათ, ვერც კი წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ყველა მათგანის დაკარგვა, ნელა-ნელა, სათითაოდ, ერთმანეთის მიყოლებით. მათ ვხედავ ხოლმე. გუსტავის სახეს ახლა ისე ცხადად წარმოვიდგენ, თითქოს საწოლში ჩემ გვერდით იწვეს. ექიმო, გუსტავი ისეთი საყვარელი ბიჭუნა იყო... თუმცა, სულ ავადმყოფობდა. საშინელებაა, როცა მუდამ ავად არიან და მათ დასახმარებლად არაფრის გაკეთება არ ძალგიძს.

— ასეა.

ქალმა თვალები გაახილა, რამდენიმე წამით ექიმს მიაშტერდა, შემდეგ კვლავ მოხუჭა.

— ჩემს პატარა გოგონას იდა ერქვა. ქრისტესშობამდე რამდენიმე დღით ადრე დაიღუპა. სულ რაღაც ოთხი თვე გავიდა. ექიმო, როგორ მინდა, რომ იდა გენახათ...

— ახლა ხომ ახალი ბავშვი გყავთ.

— ჰო, მაგრამ იდა ისეთი ლამაზი იყო...

— დიახ, — მიუგო ექიმმა, — ვიცი.

— როგორ თუ იცით? — წამოიძახა ქალმა.

— დარწმუნებული ვარ, რომ მშვენიერი ბავშვი გყავდათ. თუმცა, ეს ახალშობილიც ხომ ისეთია, — ექიმმა საწოლს ზურგი აქცია, ფანჯარას მიუახლოვდა, გაჩერდა და გარეთ დაიწყო ყურება.

— ექიმო, იცით, რა თქვა ჩემმა ქმარმა, როცა ოტო დაიბადა? ოთახში შემოვიდა, აკვანში მწოლიარე ოტოს დახედა და მკითხა: „რატომ უნდა იყოს ჩემი ყველა შვილი ასე მომცრო ზომისა, ასეთი სუსტი?“

— მჯერა, რომ ამას არ გეტყოდათ.

— მან ოტოს აკვანში ჩარგო თავი, გეგონებოდათ, პაწაწინა მწერს გულდასმით ათვალიერებსო და თქვა: „მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ნუთუ არ შეიძლებოდა, უკეთესი ეგზემპლარები მიგვეღო? ეს არის და ეს“. და სამი დღის შემდეგ ოტო უკვე მკვდარი იყო. მესამე დღესვე მოვნათლეთ და სწორედ იმავე საღამოს გამოგვეცალა ხელიდან. მას გუსტავი მიჰყვა, შემდეგ — იდა. ყველა მათგანი დაიღუპა, ექიმო... და უცებ მთელი სახლი დაცარიელდა.

— ახლა ამაზე აღარ იფიქროთ.

— ეს ბავშვი მომცრო ზომისაა, არა?

— ჩვეულებრივი ბავშვია.

— მაგრამ პაწაწინა...

— შესაძლოა, ოდნავ პატარაა, თუმცა, ასეთი მცირე ზომისანი ხშირად მათზე გაცილებით დიდებზე უფრო ჯანმრთელები არიან. წარმოიდგინეთ, ფრაუ ჰიტლერ, მომდევნო წელს, ამ დროისთვის, უკვე სიარულს ისწავლის. ამის გაფიქრებაც კი საოცარია.

ქალს ხმა არ ამოუღია.

— სამი წლის შემდეგ გაუჩერებლად აჭიკჭიკდება და თავისი ტიტინით გაგაგიჟებთ. უკვე ხომ არ შეგირჩევიათ მისთვის სახელი?

— სახელი?

— დიახ.

— ვერ გეტყვით. არ ვარ დარწმუნებული. ვგონებ, ჩემმა ქმარმა თქვა, რომ თუ ბიჭი იქნებოდა, ადოლფუსს დავარქმევდით.

— იმას გულისხმობთ, რომ ადოლფი ერქმევა?

— დიახ, ჩემს ქმარს ადოლფი მოსწონს, რადგან ალოისს ამსგავსებს. ჩემს ქმარს ალოისი ჰქვია.

— მშვენიერია.

— ო, არა, — წამოიყვირა ქალმა და მოულოდნელად ბალიშიდან თავი წამონია, — ზუსტად ეს მკითხეს, როცა ოტო დაიბადა! რაც იმას ნიშნავს, რომ ესეც დაიღუპება!

— ის ახალი ექიმი თქვენ ხართ, ხომ ასეა?

— ნამდვილად.

— და აი, ჩვენც ბრაუნაუში ვართ...

— ასეა.

— მეშინია, ექიმო.

— შეეცადეთ, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

— ამ მეოთხეს საიდან უნდა დაჰყვეს იღბალი?

— მსგავსი ფიქრებისგან უნდა გათავისუფლდეთ.

— არ შემიძლია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილები ამგვარად რაღაც მემკვიდრული მიზეზის გამო იღუპებიან. ნამდვილად ასე უნდა იყოს.

— სისულელეა.

აპრილის წვიმიანი, მოღრუბლული ნაშუადღევი იყო. ქუჩის გადასწვრივ წითელსახურავიან სახლებს მიაპყრო მზერა და შენიშნა, როგორ თქაფუნობდნენ კრამიტზე წვიმის უზარმაზარი წვეთები.

— ექიმო, იდა ორი წლისა იყო... ისეთი ლამაზი, რომ დილიდან, როგორც კი ჩავაცმევდი, საღამომდე, სანამ ლოგინში უვნებელს არ ჩავაწვენდი, თვალს ვერ ვწყვეტდი. წმინდა წყლის შიშით ვიყავი შეპყრობილი, რომ ბავშვს რაღაც დაემართებოდა. გუსტავი დაიღუპა, ჩემი პატარა ოტოც დავკარგე და მხოლოდ იდა დარჩა ჩემს იმედად. ხანდახან ღამღამობით ვდგებოდი, მის პატარა საწოლთან მივიპარებოდი და ბაგეებთან ყური ახლოს მიმქონდა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად სუნთქავდა.

— შეეცადეთ, დაისვენოთ, — თქვა ექიმმა და საწოლისკენ შემოტრიალდა, — გთხოვთ, დაისვენეთ.

ქალს გაფითრებული, უსიცოცხლო სახე ჰქონდა, ნესტოებისა და ბაგეების გარშემო მოცისფრო-მონაცრისფრო ელფერი დაჰკრავდა. ოფლით გაჟღენთილი თმის რამდენიმე კულული შუბლზე ჩამოშლოდა და კანზე მისწებებოდა.

— როდესაც ის დაიღუპა... ექიმო, კვლავ ორსულად ვიყავი, როდესაც ეს მოხდა. ახალშობილი ოთხი თვისა იქნებოდა, იდა რომ გარდაიცვალა. „არ მინდა!“ დაკრძალვის შემდეგ ვიყვირე; „აღარ გავაჩენ! უკვე საკმარისად დავმარხე შვილები!“ ჩემი ქმარი კი... ამ დროს ლუდით სავსე უზარმაზარი კათხით ხელში ნება-ნება დასეირნობდა სტუმრებს შორის... მოულოდნელად მომიბრუნდა და მომმართა: „შენთვის ახალი ამბავი მაქვს, კლარა, კარგი ამბავი“. წარმოგიდგენიათ, ექიმო? ჩვენი მესამე შვილი ის-ის იყო, დავმარხეთ, ეს კი ლუდის კათხით ხელში იდგა და მეუბნებოდა, რომ ჩემთვის კარგი ამბავი ჰქონდა. „დღეს მაცნობეს, რომ ბრაუნაუში დავინიშნე, — მითხრა მან, — შეგიძლია, ერთიანად დაიწყო ბარგის ჩალაგება. კლარა, შენთვის ეს ახალი დასაწყისი იქნება, ახალ ადგილას ვიცხოვრებთ და ახალი ექიმიც გეყოლება...“

— გთხოვთ, აღარ ილაპარაკოთ.

— სათანადოდაა შეხვეული? — იკითხა ექიმმა, — აქ საშინლად ცივა.

— რასაკვირველია, კარგად არის შეფუთნილი.

თეთრ შალის მოსახვევში მჭიდროდ გახვეულ ჩვილს მხოლოდ პაწაწინა ვარდისფერი თავი მოუჩანდა. სასტუმროს მეპატრონის ცოლმა ჩვილი დედის გვერდით ფრთხილად მიაწვინა.

— ესეც ასე, — თქვა მან, — ახლა შეგიძლიათ, მოისვენოთ და იმდენ ხანს უყუროთ, რამდენ ხანსაც თქვენს გულს მოესურვება.

— ვგონებ, უნდა მოგეწონოთ, — ღიმილით თქვა ექიმმა, — შესანიშნავი ჩვილია.

— რა მშვენიერი ხელები აქვს! — შეჰყვირა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, — როგორი გრძელი, თლილი თითები!

ახალშობილის დედა არ გატოკებულა. შესახედად თავიც კი არ შემოუტრიალებია.

— მიდი! — წამოიყვირა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, — არ გიკბენს!

— შეხედვისაც მეშინია. ვერც კი ვბედავ, დავიჯერო, რომ კიდევ ერთი ბავშვი შემეძინა და ის სავსებით ჯანმრთელია.

— ნუ სულელობ!

ნელა-ნელა დედამ თავი მოატრიალა და მზერა მიაპყრო პატარა, უჩვეულოდ მშვიდ სახეს, რომელსაც მის გვერდით, ბალიშზე დაევანებინა.

— ეს ჩემი ბავშვია?

— რა თქმა უნდა.

— ო... მაგრამ ის ხომ ასეთი მშვენიერია.

ექიმი მოტრიალდა, მაგიდასთან მივიდა და თავისი ნივთების ჩანთაში ჩალაგებას შეუდგა. დედა საწოლზე მიწვა და ახალშობილს დაუწყო ცქერა, უღიმოდა, ეხებოდა და ნებიერ მდგომარეობაში სიამოვნებისგან უჩვეულო ხმებს გამოსცემდა.

— გამარჯობა, ადოლფუს! — წაუჩურჩულა, — გამარჯობა, ჩემო პატარა ადოლფ.

— სუ! — წამოიძახა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, — მისმინეთ! მგონი, თქვენი ქმარი მოვიდა.

ექიმი კარს მიუახლოვდა, გამოაღო და დერეფანში გაიხედა.

— ჰერ ჰიტლერ?! ეს თქვენ ხართ?

— დიახ.

— შემობრძანდით, გეთაყვა.

ხაკისფერ უნიფორმაში გამოწყობილმა ტანმორჩილმა მამაკაცმა უხმაუროდ შემოაბიჯა ოთახში და ირგვლივ მიმოიხედა.

— გილოცავთ! — ახარა ექიმმა, — ვაჟი შეგეძინათ.

მამაკაცს უზარმაზარი ბაკენბარდები იმპერატორ ფრანც იოზეფის სტილში საგულდაგულოდ ჰქონდა მოვლილი და ლუდის სუნად ყარდა.

— ვაჟი?

— დიახ.

— როგორ არის?

— თავს კარგად გრძნობს. ისევე, როგორც თქვენი მეუღლე.

— მშვენიერია, — იგი შემობრუნდა და თავმომწონე ნაბიჯებით ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდა მწოლიარე მეუღლეს, — აბა, კლარა, — ულვაშებში ჩაიღიმა, — როგორ ჩაიარა ყოველივემ? — და დაიხარა, რომ ბავშვისთვის თვალი შეევლო. შემდეგ კიდევ უფრო მეტად დაიხარა. სწრაფი, მკვეთრი მოძრაობებით სულ უფრო და უფრო მოიხარა, იმდენად, რომ მისი სახე ახალშობილის პირისახეს უკვე სულ რაღაც თორმეტი დუიმით თუ დაშორებოდა.

ცოლს გვერდულად დაედო თავი ბალიშზე და მეუღლისთვის მავედრებელი მზერა მიეპყრო.

— ჩვილს განსაცვიფრებელი ფილტვები აქვს, — საგანგებოდ გამოაცხადა სასტუმროს მეპატრონის მეუღლემ, — უნდა მოგესმინათ, როგორ ჩხაოდა, ამ ქვეყანას რომ მოევლინა.

— მაგრამ... ღმერთო ჩემო, კლარა...

— რა მოხდა, ძვირფასო?

— ეს ხომ იმაზე უფრო პატარაა, ვიდრე ოტო იყო.

ექიმმა რამდენიმე ნაბიჯი სწრაფად გადადგა წინ:

— ამ ბავშვს არაფერი სჭირს.

ქმარი თანდათან მხრებში გაიმართა, საწოლს მოშორდა და ექიმს გახედა. ექიმი გაოგნებული და შეძრწუნებული ჩანდა.

— ექიმო, არ ღირს თავის მოტყუება, — თქვა ალოისმა, — ვიცი, ეს რასაც ნიშნავს. კვლავ იგივე განმეორდება.

— აბა, ახლა ყური დამიგდეთ... — მიუგო ექიმმა.

— იცით, ექიმო, დანარჩენებს რა დაემართათ?

— დანარჩენები უნდა დაივიწყოთ, ჰერ ჰიტლერ. მიეცით შანსი ამ ახალშობილს.

— ასეთ პატარასა და უსუსურს?!

— ჩემო ძვირფასო ბატონო, ის ხომ სულ ეს ესაა, რაც ამ ქვეყანას მოევლინა.

— თუნდაც ასე იყოს.

— რის მიღწევას ცდილობთ? — წამოიყვირა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, — გინდათ, რომ ჩვილობაშივე დამარხოთ?

— კმარა! — უკმეხად მოუჭრა ექიმმა.

ახლად მომშობიარებული ქალი აქვითინდა. გულამომჯდარი ქვითინისგან მთელი სხეულით თრთოდა.

ექიმი ალოისს მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო.

— გულისხმიერად მოეპყარით, — ჩასჩურჩულა, — გთხოვთ, ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

შემდეგ მხარზე მაგრად მოუჭირა ხელი და საწოლის თავთან მის შეუმჩნევლად მიჩოჩებას შეეცადა. ქმარი ყოყმანობდა. ექიმმა ახლა უფრო უხეშად ჩაავლო ხელი და ყველა თითის საშუალებით დაჟინებულად მისცა ნიშანი. როგორც იქნა, ქმარი უხალისოდ დაიხარა და ცოლს ლოყაზე ფაქიზად აკოცა.

— კეთილი, კლარა, — თქვა ქმარმა, — ახლა კი, გეყოფა ტირილი.

— დაუცხრომლად ვლოცულობდი მისი სიცოცხლისთვის, ალოის.

— ჰო.

— თვეების მანძილზე ყოველდღე დავდიოდი ეკლესიაში და მუხლებზე დაჩოქილი ვევედრებოდი ღმერთს, რომ ამ ბავშვს სიცოცხლის შესაძლებლობა მისცემოდა.

— ჰო, კლარა. ვიცი.

— სამი გარდაცვლილი ბავშვი... მეოთხეს ვეღარ გადავიტან, ნუთუ არ გესმის?

— ცხადია, მესმის.

— მან უნდა იცოცხლოს, ალოის. აუცილებლად, აუცილებლად... ო, ღმერთო, ულხინე მას ამიერიდან...

თარგმნა ირინა ნოზაძემ

მურად მთვარელიძე

გაუმარჯოს ჰარი პოტერს!

იმ დღეს ქალაქის ერთადერთ მოედანზე აღმართული საათი მოულოდნელად გაჩერდა. ამან კი იმ პატარა ქალაქში დროის გაჩერება გამოიწვია. აბა, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, უპირველეს ყოვლისა, ის ადამიანები, ვინც იმ წუთებში მოედანზე იმყოფებოდნენ. ამ დროს კი იქ საკმაოდ ბევრი ხალხი იყრიდა ხოლმე თავს...

საათის ისრები ორს უჩვენებდა და წინ აღარ მიდიოდა. მოედანზე მყოფი ადამიანები თითქოს ერთ ადგილზე გაიყინნენ, ფეხებს ამოძრავებდნენ, მაგრამ გადაადგილებას ვერ ახერხებდნენ, იქვე, მსუბუქი თუ სატვირთო ავტომანქანებიც ადგილზე გაქვავებულიყვნენ...

როგორც კი მოქალაქეებმა შექმნილი მდგომარეობა გააანალიზეს, ჯერ ერთმანეთში გადაძახილი დაიწყეს, მერე და მერე კი საპროტესტო შეძახილებიც გაისმა.

ქალაქის მთავარი მესაათე, რომელიც იმ საათის ძირში, სინამდვილეში კი საათის სადგამ ყუთში ცხოვრობდა, იმ წუთას, როცა საათის ისრებმა ორი უჩვენა და გაჩერდა, თავისი ყუთი-სახლის კარში იდგა და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა. მისი გართობის საგანიც ეს იყო... როცა დრო გაჩერდა და მოედანი საპროტესტო შეძახილებმა მოიცვა, ის მაშინვე შეწვდა საათის მთავარ მექანიზმს, რომელიც ზუსტად მის თავთან იყო, ბევრი უტრიალა, მაგრამ ვერაფრით ვერ აამუშავა და რომ დარწმუნდა საათს ვერ აამოძრავებდა, თავისი საცხოვრისის კართან მდგარმა ხალხს მხრების აჩეჩვითა და ხელების მტევნების წაღმა-უკუღმა ტრიალით ანიშნა — საათს ვერაფერი მოუხერხა.

ქალაქის თავი, რომელსაც დროის შეჩერებამ თავისი სამუშაო ოთახის აივანზე გამოსულს მოუსწრო, ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა და ჰპირდებოდა, რომ მალე აამუშავებდნენ საათს, რაც იმას ნიშნავდა, დრო ჩვეულებრივად გააგრძელებდა მდინარებას.

ამასობაში, დროის გაჩერებიდან საკმაო ხანი გავიდა და ახლა წესით საღამოს შვიდი საათი მაინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ საათი ისევ შუადღის ორს უჩვენებდა და მზეც კვლავ ჰორიზონტზე იდგა.

— დავიღალე, დავიღალე!.. — ჩურჩულებდა მზე და თავის მწველ სხივებს დედამიწაზე კიდევ უფრო მცხუნვარედ გზავნიდა. წესით მას ახლა დასალიერი უნდა ჰქონოდა გადავლილი და თავისი ღამის საბრძანებელში ნებივრობა უნდა დაეწყო, მაგრამ ამ პატარა ქალაქის ერთმა უგუნურმა საათმა ამის საშუალება არ მისცა.

— ვაიმე, რაღა გვეშველება მზე რომ ძალიან დაიღალოს და ცაზე თავი ვეღარ შეიკავოს? — გულში ფიქრობდნენ ქალაქის მცხოვრებნი და დედამიწიდან ამხნევებდნენ, რომ ცოტა კიდევ მოეთმინა, ცოტაც გაეძლო და როგორც ქალაქის თავი ჰპირდებოდათ, საათიც ამუშავდებოდა.

სკოლებში გაკვეთილებიც უსასრულოდ გრძელდებოდა — მასწავლებლები ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ, იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ლამის წაქცეულიყვნენ, მოსწავლეებს კი თავი მერხებზე დაედოთ და მეტის გაძლება აღარ შეეძლოთ.

საბავშვო ბაღებში ბავშვებს ეძინათ და ეძინათ და გაღვიძებას არც აპირებდნენ, აღმზრდელები კი იქვე ისხდნენ და თვლემდნენ და თვლემდნენ...

საავადმყოფოში ექიმები ავადმყოფებს სინჯავდნენ და სინჯავდნენ და დიაგნოზის დასმას ვერ ახერხებდნენ, გაჩერებული დრო ამის საშუალებას არ აძლევდა...

მატარებლებიც ერთ ადგილას გაჩერებულიყვნენ, საიდანაც მგზავრები გადმოსვლას ვერ ახერხებდნენ და იქიდან უმისამართოდ ილანძღებოდნენ...

ქალაქის ერთადერთ მუზეუმში ახალი ექსპოზიცია უნდა გახსნილიყო და ამისთვის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ გამოფენა ვერაფრით იხსნებოდა...

ასევე ერთადერთ ბიბლიოთეკაში შესული მკითხველები წიგნებს ითხოვდნენ, მაგრამ ბიბლიოთეკარები ადგილიდან ვერ იძვროდნენ...

სასეირნო პარკში კარუსელები აღარ ტრიალებდნენ და საწყალ ბავშვებს მასზე ჯდომა აღარ შეეძლოთ, მაგრამ ვერც გადმოდიოდნენ...

ბატუტზე მხტომი ბავშვები — ზოგი ჰაერში გაჩერებულიყო, ზოგი ასახტომად გამზადებული იმავე ფორმაში დარჩენილიყო, ზოგიც ძირს გაგორებულიყო...

— აღარ მინდა საქანელაზე! — უყვიროდა პატარა გოგონა მამას, რომელიც იქვე იდგა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდა, რომ ალმაცერად გაჩერებული საქანელადან გოგონა ჩამოესვა...

— დამღალა ამ უცნაურ „აიწონა-დაიწონაზე“ ასე გაუნძრევლად ჯდომამ, — შეწუხებული ამბობდა შვიდიოდე წლის ბიჭი და „აიწონა-დაიწონას“ მეორე ბოლოში მჯდომ მისივე ასაკის გოგონას სთხოვდა ის მაინც მიშველებოდა, მაგრამ ვერც გოგონა ახერხებდა ძელიდან ადგომას...

მაღაზიებში მყიდველები დახლებთან, ზოგიც სალაროსთან იდგა და პირველები საჭირო პროდუქტის აღებას, მეორენი კი ფულის გადახდას ვერ ახერხებდნენ და მოლარეს უაზროდ შეჰყურებდნენ,

როგორც უკვე გითხარით, როცა იმ პატარა ქალაქის მთავარი მოედნის საათი გაჩერდა, ყველა იმ მდგომარეობაში დარჩა, რომელშიც საათის გაჩერების ბოლო წუთას იყვნენ.

— კი მაგრამ, რა გახდა ასეთი? — გაჰყვიროდნენ მოედანზე შეკრებილი მოქალაქეები და მიუხედავად დიდი სურვილისა, ადგილიდან დაძვრას ვერ ახერხებდნენ.

არავინ იცის, ასე რამდენ ხანს გაგრძელდა. საათი ხომ გაჩერებული იყო და დროს როგორღა დაითვლიდნენ?!

ამას კი ყველა ხედავდა, რომ ამდენი ხნის შემდეგაც ისევ შუადღე იყო და მზეც უკანასკნელ ძალას იკრებდა, ძირს რომ არ ჩამოვარდნილიყო.

— მეტი აღარ შემიძლია, ნამდვილად მოვწყდები ამ ადგილიდან! — შესჩივლა მზემ მშობლიურ ცას და თვალებში საოცარი სევდა ჩაუდგა.

— ცოტაც გაუძელი, ცოტაც! — გაამხნევა ცამ მზე და შეეცადა ღრუბლის ბალიში აეღო, რომ მზე მასზე მაინც დამჯდარიყო, მაგრამ იმ ცაზეც ხომ გაჩერებულიყო დრო და ამას როგორ შეძლებდა?!.

* * *

იმ დროს, როცა ამ ჩვენს პატარა ქალაქში დრო გაჩერდა, დედამიწის მეორე პოლუსზე, ასევე პატარა ქალაქის მთავარ მოედანზე მდგარი მთავარი საათის ისრებმა, შუაღამის ორ საათზე, საოცარი სისწრაფით დაიწყეს მოძრაობა.

მოქალაქეებმა თავიდან თითქოს ეს ვერ შენიშნეს, რადგან ყველას ეძინა, მაგრამ ისე მალე წამოვიდა დილა, ჯერ გაოცდნენ, მერე განცვიფრებულებმა ცას დაუწყეს ყურება და ყველა მოწმე გახდა უცნაური სანახაობისა: აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მთვარე გამალებული გარბოდა, მერე სასწრაფოდ ამოვიდა მზე და ასევე სირბილით გადაჭრა მთელი ცა, მერე ისევ მთვარე, მერე ისევ მზე... ხალხი დაძინებას ვერ ასწრებდა, რომ უკვე თენდებოდა და ის იყო მუშაობას უნდა შესდგომოდნენ, რომ უკვე ღამდებოდა.

— დავიღალე, დავიღალე, მეტი სირბილის თავი აღარ მაქვს, — შესჩიოდა მზე დედა ცას.

— სად შემიძლია ასეთი ჩქარი სირბილი, — ბუზღუნებდა მთვარე...

სკოლებში მოსწავლეები შერბოდნენ და მალე ისევ უკან გამორბოდნენ, მერე ისევ შერბოდნენ, მერე ისევ გამორბოდნენ და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. მასწავლებლებს გაკვეთილის ახსნა დაწყებული არ ჰქონდათ, რომ გამოსვლის ზარი ირეკებოდა...

საბავშვო ბაღებში ბავშვებს დააძინებდნენ თუ არა, მაშინვე გაღვიძების დრო მოდიოდა და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად...

ქალაქის ერთადერთ მუზეუმში ექსპოზიცია ექსპოზიციას ცვლიდა, ერთი გაიხსნებოდა თუ არა, დამთვალიერებლები სანამ ბოლოში გავიდოდნენ, ეს გამოფენა იხურებოდა და ახალი იხსნებოდა, მალევე ისიც იხურებოდა და დაბნეული დამთვალიერებლები წინ და უკან გარბოდნენ და გამორბოდნენ.

საავადმყოფოებში ექიმებს ჯერ ერთი პაციენტი არ ჰყავდათ გასინჯული, რომ მეორის სინჯვას იწყებდნენ, მერე მეორეს სასწრაფოდ ცვლიდა მესამე, მესამეს — მეოთხე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ექიმები ავადმყოფთა სხეულზე ფონენდოსკოპის დადებას და აღებას ვერ აუდიოდნენ, ხელები სტკიოდათ, ხოლო პაციენტები ღრმად სუნთქვისგან ლამის იატაკზე გაშხლართულიყვნენ...

მატარებლები გარბოდნენ და გამორბოდნენ. მგზავრები სადგურზე ჩამოსვლას ვერ ასწრებდნენ, ეს რკინიგზის სადგურიც დაიღალა, აბა, რა ექნა, მგზავრებს ხომ არ გასწირავდა? როგორც კი დარწმუნდებოდა, რომ მგზავრები ჩამოსვლას ვერ ასწრებდნენ, მატარებელი კი უკვე მიდიოდა, თვითონ სადგური ამოძრავდებოდა თავისი ბაქნებით და მატარებელს აედევნებოდა, რათა მგზავრები სამშვიდობოს ჩამოეყვანა.

ქალაქის ერთადერთი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები თაროებიდან წიგნების გადმოღებას და უკან დაბრუნებას ვერ აუდიოდნენ. მკითხველს რომ წასაკითხად წიგნს გადასცემდნენ, თავის სამუშაო მაგიდასთან არ იყვნენ მისულები, რომ იგივე მკითხველი წაკითხულ წიგნს უკან აბრუნებდა...

→

მურად მთვარელიძე

გაუმარჯოს ჰარი პოტერს!

დასასრული

სასეირნო პარკში კარუსელი ტრიალებდა და ტრიალებდა და ბავშვებს აღარ შეეძლოთ მასზე გაძლება.

ბატუტზე მოხტუნავე ბავშვები მაღლადაბლა ხტოდნენ და ხტოდნენ და ძირს ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ.

აიწონა-დაიწონა გაუთავებლად აიწონებოდა და დაიწონებოდა და მის თავსა და ბოლოში მჯდომ შვიდიოდე წლის გოგოსა და ბიჭს ერთი სული ჰქონდათ, როდის გაჩერდებოდა, რომ იქიდან უხიფათოდ გადმოსულიყვნენ.

საქანელა ისე ქანაობდა, მასზე მჯდომი გოგონას მამა ვერაფრით ახერხებდა მის გაჩერებას, რომ ბავშვი იქიდან გადმოეყვანა...

ერთი სიტყვით, რაც იმ პატარა ქალაქში საათი აჩქარდა, ყველას და ყველაფერს მოსვენება დაეკარგა და ცხოვრებაც აუტანელი გახდა...

* * *

ასე ცხოვრება რომ ძალიან გაუჭირდათ, ორივე ქალაქის მაცხოვრებლებმა ეჭვი ერთ ადამიანზე მიიტანეს, რომელიც ამ ორი პოლუსის შუა ნაწილში ცხოვრობდა . ის ადამიანი ცნობილი მეცნიერი იყო, კოსმოსს იკვლევდა. შესაბამისად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლუსების ქალაქების მცხოვრებთ ეჭვიც კი არ ეპარებოდათ, რომ მათი ცხოვრების არევ-დარევაში მისი ხელი ერია. ამიტომაც არც აციეს და არც აცხელეს და საჩივარი ზეპირი შეტყობინებით გაუგზავნეს.

მეცნიერთან ორივე ქალაქის მცხოვრებთა საპროტესტო ხმები ერთდროულად მივიდა და როცა მოისმინა, თავიდან ხუმრობად ჩათვალა, თუმცა მასთან ასე არავინ ხუმრობდა, მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ რაღაც ისეთს აბრალებდნენ, რაც აზრადაც არასოდეს მოსვლია...

სიმართლე რომ ითქვას, მეცნიერი ჯერ გაოცდა, მერე აღშფოთდა, მერე კი ღრმად ჩაფიქრდა და ის ხალხი, ვინც სრულიად უსაფუძვლოდ უჩიოდა, შეებრალა კიდეც, ამიტომ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დახმარებოდა და მათი პრობლემები მოეგვარებინა.

— მაგრამ როგორ? — ფიქრობდა მეცნიერი, — ეს ხომ არც ისე იოლია!..

ხალხი ამასობაში კიდევ უფრო მეტად აღელდა. ის კი არა, მზემ და მთვარემაც კი მეცნიერს სხივების საპროტესტო ნოტა გაუგზავნეს და შეუთვალეს — თუ ამ გაუგებრობას სასწრაფოდ ბოლოს არ მოუღებდა, ყველა მის კოსმოლოგიურ კვლევას ვეტოს დაადებდნენ და კოსმოსის კარს არა მარტო მას, არამედ ყველა დედამიწელს გადაუკეტავდნენ.

— ესეც მე დამბრალდება!.. — საგონებელში ჩავარდა მეცნიერი, — თუ მზემ და მთვარემ ჩვენთან თანამშრომლობა გაწყვიტა, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ის ხომალდი, რომელიც ახლა კოსმოსშია გასული ან უკვალოდ გაქრება ან...

მეცნიერს მეტის წარმოდგენაც კი აღარ უნდოდა, მაგრამ ის კი გაიაზრა ამ ყველაფერს მთელ მსოფლიოში რა ამბავი მოჰყვებოდა...

დროის შეჩერება-აჩქარების საკითხებით ის არასოდეს ყოფილა დაინტერესებული, თუმცა თავისი სიმართლის დამტკიცება ახლა უკვე აღარ შეეძლო — მაინც არავინ დაიჯერებდა და ამიტომ გონივრული გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

დროც აღარ ითმენდა, რამე უნდა ეღონა.

ბოლოს, ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, მეცნიერი ნამდვილად დარწმუნდა ერთ ამბავში: თავისი გათვლით იგი იმ აზრამდე მივიდა, რომ საქმე ჯადოქრობას ეხებოდა. ახლა საჭირო იყო მთელი თავისი ნაკითხობა და ცოდნა მოემარჯვებინა და ჯადოსანი ცნობილი პერსონაჟები გაეხსენებინა, რომელთაგან ერთ-ერთზე არჩევანს გააკეთებდა.

* * *

შუაღამისას ჰარი პოტერის საძინებელ ოთახში მობილური ტელეფონი აწკრიალდა...

ჰარი მიჩვეული იყო გვიან ზარებს და არ გაჰკვირვებია, თუმცა ნომერი ვერ იცნო და ამიტომ ღილაკს ხელი საკმაოდ გულგრილად დააჭირა.

ტელეფონში მამაკაცის ოდნავ დაბნეული ხმა გაისმა.

ჰარის არც ეს გაჰკვირვებია, ამ ბოლო ხანებში მას ძირითადად ასეთი დაბნეული ადამიანები ურეკავდნენ და დახმარებას სთხოვდნენ.

ცოტაოდენი შესავლის შემდეგ ჩვენთვის უკვე კარგად და ისედაც ცნობილმა მეცნიერმა, რომელსაც ჰარი შორიდან იცნობდა, მას დედამიწის სამხრეთისა და ჩრდილოეთ პოლუსებში არსებულ ორ ქალაქში შექმნილი უცნაური მდგომარეობის შესახებ აუწყა და არც ის დაუმალავს, რომ ორივე ქალაქის მცხოვრებნი ამ ყველაფერს მას აბრალებდნენ.

— მინდა, იცოდე, რომ ამ საკითხებზე მე საერთოდ არ ვმუშაობ. უფრო მეტიც, კომპეტენტურიც არ ვარ და მიუხედავად იმისა, რომ მათი დახმარების დიდი სურვილი მაქვს, ამას ვერაფრით შევძლებ. ამიტომ შენს იქით გზა არ მაქვს, მინდა გთხოვო, რომ ეს საათები ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნო! ამით ხალხიც მოისვენებს და მეც დიდ დახმარებას გამიწევ, რადგან ვერავის დავარწმუნებ, რომ ამ საქმეში ჩემი ხელი არ ურევია.

— ვიფიქრებ! — თქვა ჰარი პოტერმა და ის იყო, მობილური უნდა გაეთიშა, რომ მეცნიერის ვედრებით სავსე ხმა გაისმა:

— ღვთის გულისათვის, იქნებ დროულად დაგვეხმარო, თორემ ყოველი გაჩერებული თუ აჩქარებული წუთი ხალხს კიდევ უფრო მეტად გააღიზიანებს.

ეს ბოლო სიტყვები ისეთი ვედრებით იყო ნათქვამი, ჰარი მიხვდა, რომ ეს გამოჩენილი მეცნიერი მართლაც ცუდ დღეში აღმოჩენილიყო. ამიტომ პირველ რიგში მისთვის უნდა ეშველა, რაც თავისთავად, იმ ორი ქალაქის მოსახლეობის შველაც იქნებოდა.



— კარგი, ასე იყოს, — თქვა ჰარი პოტერმა დაბალი ხმით და მეცნიერს ღამე მშვიდობისა უსურვა.

— უეჭველად ვოლდემორის ნამოქმედარი იქნება, — თავისთვის ჩაილაპარაკა ჰარიმ და თავისი მეგობრები რონი და ჰერმიონი იხმო...

* * *

— ამით დამთავრდა? — გაოცებული მზერით მომმართა ჩემმა შვილიშვილმა და ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალები შემომანათა.

— ჰო, რატომ გაიოცე? — გამომცდელად შევხედე ჩემს ხუთი წლის შვილიშვილს.

— ვფიქრობ, რაღაც აკლია! — მითხრა დიდივით და შევნიშნე, რომ ცნობისმოყვარე მზერა ახლა წყენით შეეცვალა.

— არაფერიც არ აკლია! — ჩემს სიტყვაზე დავდექი მე, — განა ყველაფერი გასაგები არ არის?

— საათები? — იყვირა ბიჭმა.

— რა საათები?

— ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლუსის ქალაქების მთავარი მოედნების საათები! — უშეცდომოდ გაიმეორა და წყენა ახლა ტუჩების კიდეებში ჩაუდგა.

— ახლა ისინი გამართულად მუშაობენ! — ვთქვი მე და ჩემი ოთახიდან გასასვლელად მოვემზადე.

— და შენ ამბობ, რომ სკოლებში ბავშვები ჩვეულებრივად მიდიან და გაკვეთილებიც ჩვეულებრივად ტარდება და საბავშვო ბაღებშიც ყველაფერი წესრიგშია? — რატომღაც ამ ორ დაწესებულებაზე გაამახვილა ყურადღება და მე მივხვდი რატომაც. საბავშვო ბაღში თვითონაც დადიოდა, სკოლისათვის სამზადისი კი უკვე დაეწყო.

— ალბათ ასეა, თორემ მაგასაც გავიგებდით! — თითქმის კარებიდან მივაძახე და ის იყო ჩემი სამუშაო ოთახის კარი უნდა მიმეხურა, სადაც ზუსტად ამ თემაზე მოთხრობა მქონდა დასამთავრებელი, რომ ისევ ვედრებით სავსე თვალებით მომაჩერდა და უკმაყოფილოდ თქვა:

— მოიცა, მოიცა, რაღაცას ვერ ვხვდები!..

— რას ვერ ხვდები? — თბილად ვკითხე და სკამისკენ წავედი.

— თავისით ამუშავდნენ?

— თავისით როგორ ამუშავდებოდნენ? — გამეცინა.

— აბა, მესაათეები მიხვდნენ, რაც სჭირდათ?

— ღმერთო, ჩემო პატარა, რა გემართება?! — ნაწყენი სახე მივიღე და ცნობისმოყვარედ მივაჩერდი.

— აბა?

— აბა? — გამოვაჯავრე და ტუჩები მოვმუწე.

შვილიშვილი ერთხანს გაიტრუნა, მერე თითქოს რაღაც აღმოაჩინაო, მთელი ხმით შესძახა:

— ჰარი პოტერი, ჰარი პოტერი, გაუმარჯოს ჰარი პოტერს!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — შევძახე და პატარას შუბლზე ვაკოცე.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004